მოხსენება სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

ივნისი, 2025 – მაისი, 2026

სარჩევი

შესავალი 5

1. დემოკრატიული განვითარება 6

1.1. სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება 6

1.2. ადამიანის უფლებები და მათი დაცვის ინსტიტუციური მექანიზმები 11

2. ეკონომიკური განვითარება 21

2.1. მაკროეკონომიკური პოლიტიკა და სწრაფი ეკონომიკური განვითარება 21

2.2. ეკონომიკური რეფორმები 26

2.3. დასაქმება 28

2.3.1. მეწარმეობის განვითარება 28

2.3.2. ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარება 30

2.4. საგარეო სავაჭრო ურთიერთობები 32

2.5. ტურიზმი 33

2.6. ენერგეტიკა 34

2.7. ტრანსპორტი და ლოგისტიკა 36

2.8. ინტერნეტიზაცია და ციფრული ტრანსფორმაცია 40

2.9. სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება 41

2.10. ინფრასტრუქტურა 46

2.10.1. საგზაო ინფრასტრუქტურა 46

2.10.2. წყალმომარაგება 46

2.10.3. სივრცითი განვითარება და სამშენებლო პოლიტიკა 47

2.11. გარემოს დაცვა 48

3. სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება 52

3.1. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 52

3.1.1 ჯანმრთელობის დაცვა 52

3.1.2. სოციალური დაცვა 57

3.2 განათლება, მეცნიერება, ახალგაზრდობის პოლიტიკა 60

3.2.1 განათლება 60

3.2.2 მეცნიერება 64

3.2.3 ახალგაზრდობის პოლიტიკა 65

3.3. კულტურა, სპორტი 66

3.3.1 კულტურა 66

3.3.2 სპორტი 69

4. საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა 70
4.1 საგარეო პოლიტიკა 70
4.2 თავდაცვა 82

შემოკლებები და აბრევიატურები

ADB	აზიის განვითარების ბანკი
BSEC	შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია
CAF	ორგანიზაციული თვითშეფასების ევროპული ინსტრუმენტი
DTRA	ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტო
EA	ევროპული აკრედიტაციის თანამშრომლობის ორგანიზაცია
EECC	ევროპული ელექტრონული საკომუნიკაციო კოდექსი
ETOC	ნატოს საგანმანათლებლო კატალოგი
EUDA	ევროკავშირის ნარკოტიკების სააგენტო
EUMM	ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია
FIS	საერთაშორისო სათხილამურო ფედერაცია
GCC	სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო
GDDEI	საქართველოს თავდაცვისა და შეკავების გაძლიერების ინიციატივა
HRC	გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო
ICRC	წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი
ILP	ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა
IPRM	ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი
IT	ინფორმაციული ტექნოლოგიები
JICA	იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო
JMOC	საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრი
JTEC	ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი
MSW	საზღვაო ერთი ფანჯრის სისტემა
PCS	ნავსადგურების გაერთიანების სისტემა
PFMS	სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემა
PIFC	სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა
REITs	უძრავი ქონების საინვესტიციო ფონდები
SME	მცირე და საშუალო საწარმო
UNESCO	გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია
UPU	მსოფლიო საფოსტო კავშირი
WB	მსოფლიო ბანკი
WHO	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

შესავალი

წარმოდგენილი სამთავრობო პროგრამის განხორციელების ანგარიში მოიცავს 2025 წლის 1 ივნისიდან 2026 წლის მაისის ჩათვლით პერიოდს და ასახავს საქართველოს მთავრობის პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულების პროცესსა და მიღწეულ შედეგებს. ანგარიში ეფუძნება ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების შეფასების საფუძველზე განსაზღვრულ სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და წარმოაჩენს შესაბამის პერიოდში განხორციელებულ ღონისძიებებსა და პროგრესს.

საქართველოს მთავრობამ საანგარიშო პერიოდში განაგრძო **ეფექტიანი, გამჭვირვალე და მოქალაქეზე ორიენტირებული საჯარო მმართველობის განვითარება**. მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული **ციფრული მმართველობის, საჯარო სერვისების მოდერნიზაციისა და ინსტიტუციური გაძლიერების** მიმართულებით. გაფართოვდა იუსტიციის სახლების ქსელი, MY.GOV.GE-ზე ხელმისაწვდომი გახდა, დაახლოებით, 400 სერვისი, ხოლო მიწის სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიულმა დაფარვამ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე 95%-ს გადააჭარბა. გაგრძელდა **საჯარო სამსახურის რეფორმა** და **რეგიონული განვითარების** პროექტები, მათ შორის, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მნიშვნელოვანი ინსტიტუციური და საკანონმდებლო რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავდა ანტიკორუფციული სისტემის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გაძლიერებას.

ამასთან, 2025 წლის ივნისში შეიქმნა მთავრობის ეფექტიანობის დეპარტამენტი, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო უწყებების პროექტების, პროგრამების, სახელმწიფო შესყიდვებისა და საქართველოს მთავრობის დავალებების შესრულების მონიტორინგს.

მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდა **უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვაზე**. გაძლიერდა **სამართალდამცავი სისტემა, კიბერუსაფრთხოება და ანალიტიკაზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა.** გაფართოვდა **ორგანიზებულ დანაშაულსა და ნარკოტრაფიკთან ბრძოლის შესაძლებლობები,** ასევე გაგრძელდა **სასაზღვრო უსაფრთხოების, მიგრაციის მართვისა და პენიტენციური სისტემის რეფორმა.** განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არასრულწლოვანთა დაცვის მექანიზმებს. საერთაშორისო შეფასებებით, საქართველო ინარჩუნებს პროგრესს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

2025 წელს საქართველო გლობალურად გამორჩეული იყო მაღალი ეკონომიკური ზრდით, რომელმაც 7.5% შეადგინა. 2025 წელს მშპ-მ გადააჭარბა 100 მილიარდ ლარს, ხოლო მშპ ერთ სულზე **28,235 ლარს – 10,297 დოლარს** გაუტოლდა.

ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა რეკორდულ, 4.7 მლრდ დოლარს მიაღწია. გაგრძელდა **ენერგეტიკული და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება,** მათ შორის, რკინიგზისა და რიკოთის მაგისტრალის პროექტები.

სოციალური პოლიტიკის მიმართულებით, აღსანიშნავია, რომ გაიზარდა პენსიები და სოციალური დახმარებები, გაფართოვდა ჯანდაცვის დაფარვა (95%), **გაიზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა და შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა.** გაგრძელდა დევნილთა, ეკომიგრანტთა და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა.

განათლების სფეროში მიმდინარეობს სისტემური რეფორმა, განახლდა პროგრამები და ინფრასტრუქტურა, გაიზარდა კვლევების დაფინანსება.

კულტურისა და სპორტის მიმართულებით, გაფართოვდა პროექტები, დაფინანსდა ასობით ინიციატივა და განვითარდა ახალი სპორტული ინფრასტრუქტურა.

საგარეო პოლიტიკაში საქართველო აგრძელებს მრავალვექტორულ თანამშრომლობასა და ევროკავშირთან ჰარმონიზაციას. პარალელურად, აქტიურად მონაწილეობს რეგიონულ და საერთაშორისო პროექტებში. გაგრძელდა **სამშვიდობო პოლიტიკა** ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ და ჰუმანიტარული ჩართულობის პროგრამები.

თავდაცვის სფეროში მიმდინარეობს გრძელვადიანი ტრანსფორმაცია 2035 წლამდე ხედვით. ვითარდება საჰაერო თავდაცვა, დაზვერვა, საინჟინრო და კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობები, ინერგება უპილოტო სისტემები და ძლიერდება თანამედროვე მართვისა და კომუნიკაციის ინფრასტრუქტურა.

1. დემოკრატიული განვითარება

1.1. სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება

საქართველოს მთავრობა აგრძელებს ეფექტიანი, გამჭვირვალე და შედეგებზე ორიენტირებული მართვის სისტემის განმტკიცებას, რაც სრულად შეესაბამება ევროპული საჯარო მმართველობის პრინციპებს. აქტიურად მიმდინარეობს ინსტიტუციური პროცესების გაუმჯობესება, მომსახურების ხარისხის ამაღლება და მოქალაქეზე ორიენტირებული სერვისების განვითარება.

საანგარიშო პერიოდში, საჯარო მმართველობის ევროპული პრინციპების შესაბამისად, გაგრძელდა საჯარო მმართველობის რეფორმა, რომლის ფარგლებშიც, დაიწყო საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგიული ჩარჩოს განახლება. **საჯარო სამსახურის განვითარების მიმართულებით,** საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის (HRM) სტრატეგიის შემუშავების მიზნით, მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები.

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების სრულყოფისა და საკანონმდებლო ცვლილებებთან ჰარმონიზაციის მიზნით, შეიცვალა ათამდე ნორმატიული აქტი. საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, განისაზღვრა საჯარო სამსახურის სისტემაში ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის წესი და პირობები. დამატებით, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, შემუშავდა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა საჯარო დაწესებულებებში შეთავსებით ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების წესი.

შეიქმნა ახალი და ასევე განახლდა უკვე არსებული ვებგვერდები, მათ შორის, შეიქმნა ახალი ვებგვერდი – www.hr.gov.ge; განახლდა და ამოქმედდა ელექტრონული სასწავლო პლატფორმა – www.elearning.hr.gov.ge, რომელიც საშუალებას იძლევა, მასზე განთავსდეს ონლაინ კურსები,

საგანმანათლებლო რესურსები და აქტივობები. გარდა ამისა, **მიმდინარეობს საჯარო სექტორში დასაქმების ცენტრალიზებული პლატფორმის – www.vacancy.hr.gov.ge და საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის – www.ehrms.ge განვითარება.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, 2025 წლის პირველი სექტემბრიდან, საჯარო სექტორის მასშტაბით, **გამოცხადდა სამთვიანი ანაზღაურებადი სტაჟირების კონკურსი,** რომლის ფარგლებშიც, ჯამურად, გამოქვეყნდა **338 დაწესებულების 1688 ვაკანსია 3179 პოზიციაზე,** როგორც საჯარო დაწესებულებებში, ისე საჯარო დაწესებულების სისტემაში შემავალ საბიუჯეტო ორგანიზაციებში. შედეგად, შეირჩა **1421 სტაჟიორი.** 2026 წელს სტაჟირების ხელშეკრულება გაუგრძელდა 492 სტაჟიორს, ხოლო სისტემაში დასაქმდა 199 პირი.

კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით, განხორციელდა მნიშვნელოვანი ინსტიტუციური და საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა მიზანია ანტიკორუფციული სისტემის დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და კოორდინაციის გაძლიერება. 2026 წლის 2 მარტიდან გაუქმდა ანტიკორუფციული ბიურო და მისი პრევენციული ანტიკორუფციული ფუნქციები, როგორიცაა – თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგი, ინტერესთა შეუთავსებლობის პრევენცია, საჯარო სამსახურში ეთიკისა და კეთილსინდისიერების სტანდარტების გაძლიერება, კორუფციის რისკების შეფასება, მამხილებელთა დაცვის მექანიზმების დახვეწა, პოლიტიკური ფინანსებისა და უცხოური დაფინანსების მონიტორინგი – გადაეცა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, რომელიც არის კონსტიტუციური ორგანო და სარგებლობს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით. საკანონმდებლო ცვლილებებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურს დამატებითი უფლებამოსილებები მიენიჭა, მათ შორის, საინფორმაციო-ანალიტიკურ მონაცემებზე პირდაპირი წვდომა და სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა, რამაც ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად გაზარდა. გაძლიერდა ინტერესთა შეუთავსებლობის რეგულაციები და სანქციები, ასევე დაინერგა ფინანსურ და კორუფციულ დანაშაულებში მსჯავრდებული პირების ეკონომიკური ინტერესების გაცხადების ახალი მექანიზმები, რაც ზრდის გამჭვირვალობასა და ზედამხედველობის ეფექტიანობას.

საქართველოს მიერ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განხორციელებული თანმიმდევრული რეფორმები და მიღწეული პროგრესი დადებითად აისახა საერთაშორისო რეიტინგებსა და ინდექსებში. ქვეყანა ლიდერ პოზიციებს იკავებს როგორც მთავრობისა და ბიუჯეტის გამჭვირვალობის, ისე კანონის უზენაესობისა და ეკონომიკური თავისუფლების მიმართულებით. საერთაშორისო შეფასებები ადასტურებს, რომ საქართველო რეგიონში ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად რჩება კორუფციის პრევენციისა და გამჭვირვალე მმართველობის უზრუნველყოფის კუთხით.

2025 წლის ივნისში, **სახელმწიფო მმართველობის ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერების მიზნით,** შეიქმნა მთავრობის ეფექტიანობის დეპარტამენტი, რომლის ფუნქციას წარმოადგენს გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგი და სახელმწიფო უწყებების საქმიანობის შეფასება. დეპარტამენტი ახორციელებს სახელმწიფო უწყებების პროექტების, პროგრამების, სახელმწიფო შესყიდვებისა და მთავრობის დავალებების შესრულების მონიტორინგს. 2025 წელს განხილულ იქნა

114,860,551 ლარის ღირებულების სახელმწიფო პროგრამები და შესყიდვები, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაიზოგა 67,413,621 ლარი.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, მათ შორის, მთავრობის ეფექტიანობისა და ბაზრის კვლევის დეპარტამენტების მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად, ბიუჯეტის სასარგებლოდ, საერთო ჯამში დაზოგილმა სახსრებმა შეადგინა – 291,567,771 ლარი.

შეიქმნა ბაზრის კვლევის ელექტრონული მოდული – MRS, რომელიც სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წინა მოსამზადებელ ეტაპზე ყველა დაინტერესებულ პირს აძლევს თანაბარ შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს ბაზრის კვლევაში და წარადგინოს თავისი შეთავაზება.

ამასთან, 2026 წლის პირველი იანვრიდან დეპარტამენტის საქმიანობიდან მიღებულმა პირდაპირმა ეკონომიამ შეადგინა 67,000,000 ლარი. მონიტორინგის შედეგად კორექტირებული ტენდერებიდან კი – 34,000,0000 ლარი, რაც ჯამურად შეადგენს 101,000,000 მილიონ ლარს.

სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, საანგარიშო პერიოდში **იუსტიციის სახლის მომსახურების არეალი** გაფართოვდა 4 ახალი ფილიალით (გლდანი, საგარეჯო, ტოლები და ხელვაჩაური). ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურად გრძელდება კიდევ ოთხ არეალზე – ზოტში, ჭალაში, მცხეთასა და ახმეტაში. ამჟამად, მთელი საქართველოს მასშტაბით, ოპერირებს **127** იუსტიციის სახლი.

ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში **მობილური იუსტიციის სახლების მომსახურების არეალი,** დამატებით, **79** დასახლებული პუნქტით გაფართოვდა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ეტაპზე იუსტიციის სახლის სერვისებზე წვდომა უზრუნველყოფილია ქვეყნის მასშტაბით ყველა მუნიციპალურ ერთეულში. საქართველოს მასშტაბით, დღეის მდგომარეობით, ოპერირებს 20 მობილური იუსტიციის სახლი.

ელექტრონული სერვისების ერთიან **პორტალზე – MY.GOV.GE ხელმისაწვდომია 400-ამდე სერვისი.** პორტალზე რეგისტრირებულ **მომხმარებელთა რაოდენობა შეადგენს 380 000-ამდე ფიზიკურ და 331 000-ამდე იურიდიულ პირს**, ხოლო დღიური ტრანზაქციების საშუალო მაჩვენებელი 50 000-ს აღწევს. საანგარიშო პერიოდში MY.GOV.GE-ს მობილურ აპლიკაციაში მიმდინარეობდა ახალი სერვისებისა და უსაფრთხოების მექანიზმების ინტეგრაცია.

ახალი მეთოდოლოგიური მიდგომის საფუძველზე, 6 საჯარო დაწესებულებაში **შეიქმნა/ადაპტირდა 12 სახელმწიფო სერვისი, ხოლო 8 საჯარო დაწესებულებაში განახლდა 16 სახელმწიფო სერვისის მიწოდების პროცესი.** ამასთანავე, სახელმწიფო სერვისების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის კომპონენტი დაინერგა, დამატებით, 3 საჯარო დაწესებულებაში.

ერთიანი მიდგომები, სხვადასხვა მიმართულებით, დაინერგა სახელმწიფო სერვისების გამცემ 18 საჯარო დაწესებულებაში, სადაც მომხმარებელთა ჩართულობით 80-ზე მეტ სახელმწიფო სერვისზე გავრცელდა დიზაინისა და მიწოდების ახალი სტანდარტი, ხოლო 47 სერვისის თვითღირებულება გადაანგარიშდა ახალი მეთოდოლოგიით. ხარისხის მართვის მიზნით, მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის კომპონენტი დაინერგა 9 საჯარო დაწესებულებაში,

ხოლო ორგანიზაციული თვითშეფასების ევროპული ინსტრუმენტი (CAF) – 7 საჯარო დაწესებულებაში.

2025 წლის ოქტომბრიდან სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ **დაიწყო ახალი თაობის ბიომეტრიული პასპორტებისა და პირადობის მოწმობების (ID ბარათი) გაცემა,** რომლებიც გაძლიერებული დამცავი ნიშნებითა და ეროვნული სიმბოლიკით დატვირთული დიზაინით გამოირჩევა.

2025 წლის 1 სექტემბრიდან ბინადრობის ნებართვების ჩამონათვალს დაემატა **ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სფეროში დასაქმებული პირის დროებითი ბინადრობის ნებართვა.** აღნიშნული კატეგორია 3 წლის ვადით გაიცემა იმ შრომით იმიგრანტებზე, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეებზე, საერთაშორისო კომპანიის ხელმძღვანელებსა და მათი ოჯახის წევრებზე, რომლებიც საქმიანობას IT სფეროში ეწევიან.

2025 წლის ივლისიდან მომხმარებლებისთვის **ხელმისაწვდომია ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის პირველი მულტიფუნქციური გეოპორტალი, მეტამონაცემების ეროვნული კატალოგი და მეტამონაცემების რედაქტორი (ვალიდატორი) – NSDI.GOV.GE**, რომელიც ერთიან ციფრულ პლატფორმაზე უზრუნველყოფს წვდომას სხვადასხვა სივრცით მონაცემზე. ამ დროისათვის, ეროვნულ გეოპორტალზე უკვე **რეგისტრირებულია 23 სუბიექტი და გამოქვეყნებულია 106 მეტამონაცემი.**

სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ **დაასრულა დამისამართების ტექნიკური სამუშაოები.** დამუშავდა 45 692 ქუჩის, შესახვევისა და ჩიხის (ჯამში – 20 169 კმ) მონაცემი. ჯამში, შეიქმნა **354 927 ახალი მისამართი.**

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, მოქალაქეებისთვის **აიზომა 157 2000-ზე მეტი მიწის ნაკვეთი** (ჯამური ფართობით – 1 121 400-ამდე ჰა), ხოლო **საკუთრების უფლება დარეგისტრირდა 1 551 500-ზე მეტ მიწის ნაკვეთზე.** საანგარიშო პერიოდში აზომილია 310 052, ხოლო რეგისტრირებულია 250 699 მიწის ნაკვეთი.

მიწის სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში განხორციელებული საამზომველო სამუშაოების შედეგად, **ქვეყნის საკადასტრო დაფარულობის მაჩვენებელმა** საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე **95%-ს გადააჭარბა.**

მიწის სისტემური რეგისტრაციის შედეგად შექმნილი მაღალი ხარისხის საკადასტრო მონაცემების შენარჩუნებისა და მიწის ადმინისტრირების სისტემის გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველსაყოფად, იქმნება სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს **ამზომველის ინსტიტუტი.**

2022 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 აპრილამდე ბიზნესსუბიექტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, სარეგისტრაციო მონაცემები კანონთან შესაბამისობაში მოეყვანათ. საანგარიშო პერიოდში, დადგენილი წესით, **რეგისტრაცია გაიარა 106 600-ამდე სუბიექტმა**, რომელთაგან **74 026 ახალი სუბიექტია**, ხოლო კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებულმა 32 600-ამდე ბიზნესსუბიექტმა უზრუნველყო მონაცემების კანონის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობა. რეფორმის შედეგად, **414 000-ზე მეტი ბიზნესსუბიექტის საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემები შეესაბამება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონს.**

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ფუნქციონირებს **„გონიერი კონტრაქტის“** პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, დისტანციურად განახორციელონ უძრავ ქონებაზე ნასყიდობისა და იპოთეკის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ტრანზაქციები და ვირტუალური ვიზიტის მეშვეობით მიიღონ შესაბამისი მომსახურება.

საქართველოს ციფრული რუკის შექმნის მიზნებისთვის, დარგის ექსპერტთა ჩართულობით, **მომზადდა ფიზიკური, ტოპოგრაფიული და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის რუკების პროექტები.** გრძელდება მუშაობა სხვადასხვა თემატური შინაარსის ოფიციალურ ციფრულ რუკაზე, რომელიც განკუთვნილია როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში გამოსაყენებლად.

შემუშავდა და დამტკიცდა სახელმწიფო **სერვისების ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც საფუძვლად დაედო ქვეყანაში სახელმწიფო სერვისების ერთიანი, სტანდარტიზებული კატალოგის შექმნას.** ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის პორტალზე (roi.gov.ge) უკვე ინტეგრირდა შესაბამისი მოდულები.

საანგარიშო პერიოდში **განახლდა მონაცემთა გაცვლის ერთიანი სისტემა (G3)**, რაც უზრუნველყოფს საჯარო სექტორში ტრანზაქციების უწყვეტობასა და ციფრული სერვისების შეუფერხებელ მიწოდებას. სისტემა **ერთმანეთთან აკავშირებს 300-ამდე ორგანიზაციას** (სამინისტროებს, სხვა საჯარო დაწესებულებებს), აერთიანებს 176 სერვისსა და 530 ქვესერვისს, ხოლო ტრანზაქციების წლიური რაოდენობა 100 მილიონს აჭარბებს.

გრძელდება სანოტარო არქივის დიგიტალიზაციის პროექტი, რომლის ფარგლებშიც, დაგეგმილია პალატის არქივში დაცული სანოტარო აქტების სრულად გაციფრულება.

გრძელდებოდა მუშაობა ევროკავშირის ორ ფუნდამენტურ სამართლებრივ აქტზე: **eIDAS რეგულაციასა (EU No 910/2014) და NIS2 დირექტივაზე (EU 2022/2555)**. აღნიშნული აქტები არეგულირებს **ელექტრონულ იდენტიფიკაციას, სანდო მომსახურებასა და კიბერუსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დანერგვას.**

მომხმარებლისთვის სერვისების ოპტიმიზაციისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ამჟამად **სატესტო რეჟიმში მუშაობს სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნის ახალი ვებგვერდი,** რომლის სრულყოფის შემდგომ, დაგეგმილია ხელოვნური ინტელექტის მექანიზმებზე დაფუძნებული ინოვაციური სერვისების დანერგვა.

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში, 2025 წლის 1 ივნისიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მუნიციპალიტეტებს საკუთრების უფლებით გადაეცათ **952 ერთეული უძრავი ქონება.**
რეგიონული განვითარებისა და უთანაბრობების შემცირების ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის ფარგლებში, მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი იქნა მიმართული როგორც ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობისკენ, ისე ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ. კერძოდ, **2025 წელს** მცირე ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით გამოყოფილი **5 მილიონი ლარის** ფარგლებში, განხორციელდა მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო

საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა, ხოლო **15 მილიონი ლარით 26 მუნიციპალიტეტში** დაფინანსდა 37 ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პროექტი. 2026 წელს, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის ფარგლებში, **5.3 მილიონი ლარი** გათვალისწინებულია მაღალმთიან დასახლებებში მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად, ხოლო **14.7 მილიონი ლარი** – ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების დასაფინანსებლად.

2025 წელს, **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან,** მუნიციპალიტეტებს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოეყოთ 590 მლნ ლარი, მუნიციპალიტეტების თანადაფინანსების გათვალისწინებით, დაფინანსდა 642,7 მლნ ლარის ღირებულების 1195 ინფრასტრუქტურული პროექტი.

2026 წლის 28 აპრილის მდგომარეობით, გამოყოფილია 454.0 მლნ ლარი; მუნიციპალიტეტების თანადაფინანსების გათვალისწინებით, დაფინანსებულია 479.0 მლნ ლარის ღირებულების 863 ინფრასტრუქტურული პროექტი.

გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 2025-2026 წლებში, მუნიციპალიტეტებს გამოეყოთ 18 მლნ ლარზე მეტი; თანადაფინანსების გათვალისწინებით, დაფინანსდა 20 მლნ-მდე ლარის ღირებულების 54 ინფრასტრუქტურული პროექტი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 2025-2026 წლებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნა **81 660 000 ლარი** და შერჩეულ იქნა **7780-ამდე** ინფრასტრუქტურული პროექტი.
სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, საანგარიშო პერიოდში, წარმატებით მიმდინარეობდა საქმიანობა **სახელმწიფო ენის პოპულარიზაციასა** და ცოდნის დონის ამაღლებაზე, ასევე, ძალისხმევა იყო მიმართული **ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის** გაზრდაზე.

სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, გაძლიერდა ძალისხმევა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიმართულებით, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე პოზიტიურად აისახა.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში განხორციელდა ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიები, რომლებიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო სერვისების, სოციალური პროგრამების, ჯანდაცვის, განათლებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას.

1.2. ადამიანის უფლებები და მათი დაცვის ინსტიტუციური მექანიზმები

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად ადამიანის უფლებების დაცვა და შესაბამისი სტანდარტების გაუმჯობესება დარჩა. ამ

მიმართულებით, საქართველოს მთავრობამ განაგრძო ინსტიტუციური განვითარებისა თუ პრაქტიკული რეფორმების განხორციელება, რაც მიზნად ისახავს უფლებებზე დაფუძნებული მმართველობის განმტკიცებასა და დემოკრატიული პროცესების გაღრმავებას. პარალელურად, გაგრძელდა **„ადამიანის უფლებათა დაცვის 2022 – 2030 წლების ეროვნული სტრატეგიით“** გათვალისწინებული აქტივობების ეტაპობრივი განხორციელება.

2025 წლის 10 ივლისს **დამტკიცდა „კიბერუსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლების 2025 – 2030 წლების სტრატეგია“ და შესაბამისი სამოქმედო გეგმა** და აქტიურად მიმდინარეობდა დოკუმენტით განსაზღვრული აქტივობების შესრულება.

საანგარიშო პერიოდში, **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში კვლავ აქტიურად გაგრძელდა სტრუქტურული ცვლილებების პროცესი**, მათ შორის, **ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის** ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში შეიქმნა 18 ახალი განყოფილება.

აგრეთვე, ცვლილება შევიდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დებულებაში და ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარ სამმართველოში შეიქმნა **თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის** სამმართველო.

დამატებით, ცვლილება შევიდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის №1006 ბრძანებაში, რომლითაც **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტში** შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული – **ბადრაგირების მთავარი სამმართველო.** მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის მოქმედების **არეალი გაფართოვდა** და დამატებით ამოქმედდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის (ქ. ქუთაისი), კახეთისა (ქ. თელავი) და შიდა ქართლის (ქ. გორი) პოლიციის დეპარტამენტებში.

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა **„კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი.** ამასთან, შეიქმნა ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – **კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანის რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის ცენტრი.**

სამართალდამცავთა კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელ სპეციალიზებულ პოლიციელთა და გამომძიებელთა მომზადების პროგრამის ფარგლებში, გადამზადდა შსს-ის 167 მოსამსახურე. ასევე გამომძიებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსზე – „არასრულწლოვანთა გამოკითხვის სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ასპექტები“ – სწავლება გაიარა 19-მა გამომძიებელმა. გარდა ამისა, 2025 წელს შსს პოლიციის აკადემიაში დაინერგა ბავშვთან და ბავშვის საკითხებზე მომუშავე შსს-ის მოსამსახურეთა სპეციალიზებული ტრენინგი – „ბავშვისთვის უსაფრთხო და ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნა“.

2025 წლის პირველი სექტემბრიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტს მიეცა პროგრამული წვდომა სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ საოპერაციო პროგრამაზე – ERC 112, **სექსუალური**

ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებულ მონაცემებზე, რათა დეპარტამენტმა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის მიმართულებით ეფექტიანი მონიტორინგი და დროული რეაგირება.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და აქტიური ჩართულობით, დაიგეგმა და განხორციელდა **არასრულწლოვანებზე ორიენტირებული არაერთი საინფორმაციო კამპანია,** მათ შორის, „მე მომავალში"; „უფლებები ბავშვებისთვის"; „ნუ წაართმევ ბავშვობას".

საანგარიშო პერიოდში, საგანში – „ციფრულ მტკიცებულებებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები" – სწავლება გაიარა 79-მა გამომძიებელმა. ასევე, კურსის – „კიბერდანაშაულის გამოძიება, ციფრული მტკიცებულებების მოპოვება-დამუშავება და კიბერუსაფრთხოება" – ფარგლებში, სწავლება გაიარა 64-მა გამომძიებელმა.

გარდა ამისა, 2025 წელს შსს პოლიციის აკადემიაში დაინერგა კიბერუსაფრთხოებისა და კიბერჰიგიენის ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც 88 დეტექტივი (ანალიტიკოსი) გადამზადდა.

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში, შინაგან საქმეთა სამინისტროს აქტიური მუშაობის შედეგად, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა **15 კანონიერი ქურდი, აგრეთვე ქურდულ სამყაროსთან დაკავშირებულ სხვა დანაშაულებში მხილებული 335 პირი**. მასშტაბურია **ნარკოტიკულ დანაშაულებზე** სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემულ პირთა რაოდენობაც, რამაც საანგარიშო პერიოდში **8 000-ს გადააჭარბა.**

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და დამტკიცდა **„ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2025 – 2028 წლების ეროვნული სტრატეგია"** და მისი **„2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა".**

2025 წლის 17 დეკემბერს მიღებულ იქნა **„საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონი,** რომლის თანახმად, ნარკოტიკული საშუალების ან მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უკანონო გადაზიდვის, აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ქვემდებარეობისთვის მიკუთვნებული სხვა დანაშაულების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით, შეიქმნა **ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის ერთობლივი ცენტრი** და სამუშაო ჯგუფები, აგრეთვე განისაზღვრა მათი საქმიანობის წესი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად განაგრძობს საერთაშორისო საპოლიციო სტრუქტურებთან თანამშრომლობას. საანგარიშო პერიოდში, უცხოელ კოლეგებთან ევროპოლის, ინტერპოლისა და სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით, გაიცვალა 13 000-ზე მეტი ოპერატიული ხასიათის ინფორმაცია 25 000 პირთან დაკავშირებით.

ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროექტ „EMPACT-ის" ფარგლებში, აქტიურად თანამშრომლობს ევროპოლთან. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს, განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობით, აქვს ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოებს შორის. ამჟამად, საქართველო გაწევრიანებულია ევროპოლის 9 ანალიტიკურ პროექტში.

დღეის მდგომარეობით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან საზღვარგარეთის ქვეყნებში წარგზავნილია **19 პოლიციის ატაშე**, რომლებიც, ჯამში, ფარავენ 38 ქვეყანასა და 2 საერთაშორისო ორგანიზაციას, ასევე 2019 წლიდან, ადმინისტრაციული შეთანხმების საფუძველზე, საფრანგეთის რესპუბლიკაში წარგზავნილია პოლიციის 2 ოფიცერი.

გარდა ამისა, იგეგმება პოლიციის ატაშეს წარგზავნა **არაბთა გაერთიანებულ საამიროებში,** საიდანაც დამატებით დაიფარება **კატარი, საუდის არაბეთი და ქუვეითი.**

საანგარიშო პერიოდში, მტკიცებულებათა მოპოვების მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფისა და საგამოძიებო პროცესის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, გაგრძელდა **ლაბორატორიების ტექნიკური მოდერნიზაცია** და კვლავ აქტიურად მიმდინარეობს ექსპერტიზის ლაბორატორიების აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. ასევე, შეიქმნა მაღალტექნოლოგიური მოძრავი კრიმინალისტიკური ლაბორატორიები.

ცალკეული საექსპერტო მიმართულებებით, საექსპერტო-კრიმინალისტიკურმა დეპარტამენტმა გაიარა განმეორებითი აკრედიტაცია (რეაკრედიტაცია), ISO17025 და ISO17020 სტანდარტის შესაბამისად. დამატებით, 3 ექსპერტიზის ლაბორატორიას ISO 17025 საერთაშორისო აკრედიტაცია მიენიჭა.

საანგარიშო პერიოდში, **დნმ-ის ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნის მიმდინარე პროექტის** ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურმა დეპარტამენტმა დაასრულა მეთოდების ვალიდაცია და მიმდინარეობს ბიოლოგიური საცნობარო ნიმუშების შეგროვება, მათი შემდგომი პროფილირებისა და დნმ-ის მონაცემთა ბაზაში ატვირთვის მიზნით.

2025 წლის ნოემბრის თვეში ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტომ (DTRA) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს ქიმიური ნიმუშების ტრიაჟის ლაბორატორია (ვაგონკონტეინერის სახით) და ლაბორატორიისათვის საჭირო სხვადასხვა დასახელების პორტაბელური ხელსაწყოები გადასცა.

ასევე აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, **ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად,** რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკის უფრო ეფექტიანი დამუშავების მიზნით, აქტიურად მიმდინარეობდა ახალი მოდულის, „რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკის", შემუშავების პროცესი.

დღეის მდგომარეობით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა ტერიტორიული ორგანო დაკომპლექტებულია, ჯამში, 101 დეტექტივით (ანალიტიკოსით), რაც უზრუნველყოფს ანალიტიკური მიმართულებით ფუნქციონირების გაძლიერებასა და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის მხარდაჭერას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად განაგრძობს **ადამიანის უფლებების დაცვის** კუთხით მუშაობას, რომლის ფარგლებშიც, ინტენსიურ რეჟიმში ახორციელებს სამართალწარმოების მონიტორინგს, მათ შორის, იმ საქმეების, რომლებიც უკავშირდება მოწყვლად ჯგუფებს. ასევე, ძალადობის მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომების ეფექტიანად უზრუნველყოფის მიმართულებით, მუშაობას განაგრძობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეული – **მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური.**

2026 წლის თებერვალში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, კერძოდ, ზუგდიდში ამოქმედდა ერთიანი მომსახურების ცენტრი, რომელიც საჯარო ადმინისტრირების მოდერნიზაციისა და სერვისების ინტეგრაციის მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ინიციატივაა.

საანგარიშო პერიოდში, **საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების** აღრიცხვის ბარათის შევსების გაციფროვნებისა და მონაცემთა ერთიანი ბაზის ეფექტიანად ამოქმედების მიზნით, ყოველდღიურ რეჟიმში გრძელდება საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის (სსკ) აღრიცხვის ბარათების შევსების მონიტორინგი, რის შედეგადაც, დღეის მდგომარეობით, შესაძლებელია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის გენერირება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების აღრიცხვის ელექტრონული ბაზიდან.

2025-2026 წლებში, **საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით,** განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, მათ შორის, 2026 წლის 17 მარტს საქართველოს პარლამენტმა, **საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით,** მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც, მათ შორის, ცვლილება შევიდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. დასახელებული საკანონმდებლო ცვლილებებით პასუხისმგებლობა გამკაცრდება ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე.

საანგარიშო პერიოდისთვის უკვე სრულად შესრულებულია „საქართველოს და ევროკავშირს (EU), ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას (Euratom) და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება (AA)“, მართვის მოწმობების თაობაზე 2006 წლის 20 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/126/EC დირექტივის მოთხოვნებთან საგამოცდო პროცესის შესაბამისობაზე. კერძოდ, „B“, „BE“, „C“, „C1“, „D“, „D1“, „CE“, „DE“, „C1E“, „D1E“ კატეგორიების/ქვეკატეგორიების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა გახდა **ორეტაპიანი.** კერძოდ, დაემატა პრაქტიკული გამოცდის მე-2 ეტაპი – **რეალურ საგზაო მოძრაობაში გამოცდის ჩაბარება.**

2025 წლის 21 ივნისს ძალაში შევიდა „საქართველოს მთავრობასა და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ეროვნული მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და გადაცვლის შესახებ“ შეთანხმება.

2025 წლის პირველი ივნისიდან 2026 წლის პირველ მაისამდე პერიოდში, ქვეყნის მასშტაბით, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ვიდეოსამეთვალყურეო ინფრასტრუქტურა. აღნიშნულ პერიოდში დამონტაჟდა 1318 ვიდეოკამერა, რომელთაგან 1170 არის ზოგადი ხედვის ვიდეოსამეთვალყურეო კამერა, ხოლო 148 – სახელმწიფო სანომრე ნიშნების ავტომატური ამოცნობის ფუნქციით აღჭურვილი ე. წ. „ჭკვიანი“ ვიდეოკამერაა.

ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მოეწყო საშუალო სიჩქარის კონტროლის 40 სექცია, რომელიც, საერთო ჯამში, მოიცავს 159 კილომეტრი სიგრძის გზის მონაკვეთს.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის შესაძლებლობების განვითარების, სასაზღვრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ოპერატიულ-საგამოძიებო კომპონენტის გაძლიერებისა და უწყების ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით.

დანაშაულის პრევენციისა და მასზე ეფექტიანი რეაგირების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე დაინერგა სახის ამომცნობი ანალიტიკური სისტემა, რომელიც განახლდა 2025 წელს, კერძოდ, გაუმჯობესდა ამოცნობის ხარისხი და შემცირდა ამოცნობის დრო.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაძლიერდა **სასაზღვრო პოლიციის** ოპერატიულ-საგამოძიებო კომპონენტი, რაც პირდაპირ კავშირშია სახმელეთო საზღვრის დაცვასა და კონტროლთან. 2025 წლის 1 ივნისიდან დღემდე, სასაზღვრო პოლიციაში გამოძიება დაიწყო 257 დანაშაულზე და ბრალი წაეყენა 265 პირს.

საანგარიშო პერიოდში, აგრეთვე, აქტიურად მიმდინარეობდა სასაზღვრო პოლიციის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროცესი, რომლის ფარგლებშიც, სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ჯავა-ონის სამმართველოში, საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე, **აშენდა „მამისონის“ სასაზღვრო სექტორი.** ასევე, მიმდინარეობს ლაგოდეხის სამმართველოს სასაზღვრო სექტორის „დიკლოს/ომალოს“ მშენებლობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს **სსდ – სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით აშენდა** სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის 6 ახალი სასაზღვრო პოსტი; მიმდინარეობს სასაზღვრო სექტორებისა და პოსტების განახლება.

აღსანიშნავია, რომ **სახელმწიფო საზღვრის დაცვის მიმართულებით,** განახლდა სასაზღვრო პოლიციის სწრაფი რეაგირების სამმართველოს შეიარაღება. სწრაფი რეაგირების ბაზაზე აშენდა სასროლი სახლი და სამთო მომზადების კოშკი. აღსანიშნავია, რომ 2025 წლის ნოემბერში წარმატებით განხორციელდა საქართველო-თურქეთის რესპუბლიკის სასაზღვრო ქვედანაყოფების ერთობლივი წვრთნაც.
ასევე, **სპეციალური დანიშნულების ავიაციის დეპარტამენტმა** შეასრულა 428 დავალება და მონაწილეობა მიიღო 16 სამაშველო ოპერაციაში.

საანგარიშო პერიოდში, **სასაზღვრო პოლიციაში** აქტიურად მიმდინარეობდა სწავლებები, რის შედეგადაც, გადამზადდა სასაზღვრო პოლიციის 982 თანამშრომელი.

საანგარიშო პერიოდში, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის (DoD) თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) მხარდაჭერით, პროექტის – „შესაძლებლობების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა საქართველოსთვის GT&S“ – ფარგლებში, შსს სსდ – საქართველოს სასაზღვრო პოლიციას გადაეცა სხვადასხვა სახის აღჭურვილობა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაგრძო აქტიური მუშაობა მიგრაციული ნაკადების მართვის მიმართულებით, რომლის ფარგლებშიც, საქართველოდან გაძევებული არალეგალურად მყოფი უცხოელების რაოდენობამ შეადგინა 2 154 პირი. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში გატარდა სპეციალური საიმიგრაციო კონტროლის 92 ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც, გადამოწმდა 9 000-ზე მეტი პირი.

განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებებიც, კერძოდ, 2025 წლის 26 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო **„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებები.**

საგულისხმოა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს მუშაობას **უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის კუთხით.**

გარდა ამისა, განხორციელდა რეადმისიის პროცესების ეფექტიანი ადმინისტრირება და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა. აღნიშნულ პერიოდში განხილულ იქნა რეადმისიის შესახებ 2 501 განაცხადი, საიდანაც 2 485 პირზე მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება, ხოლო 16 შემთხვევაში – მიღებულ იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება. 2025 წლის 21 ივლისს, ქ. თბილისში, ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმებას.

საქართველოს საკვანძო სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე განსაზღვრულია ევროპის სასაზღვრო და სანაპირო სააგენტოს (FRONTEX) საკოორდინაციო პუნქტები: თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტები, ბათუმისა და ფოთის პორტები და სარფის სასაზღვრო-გამტარი პუნქტი. აღნიშნულ ლოკაციებზე Frontex-ის ოფიცრების მოვლინებასა და განთავსებას რეგულარული ხასიათი აქვს და საანგარიშო პერიოდშიც აქტიურად მიმდინარეობდა.

გარდა ამისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს აქტიურ მონაწილეობას Frontex-ის ერთობლივ ოპერაციებში, ისევე, როგორც წარმატებით თანამშრომლობს Frontex-ის რისკების ანალიზის ქსელებთან.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის** ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დეპარტამენტის ფუნქციური შესაძლებლობების გაფართოებასა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში, გაგრძელდა და მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოები ჩაუტარდა დროებითი განთავსების ცენტრის შენობა-ნაგებობას, გაძლიერდა უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები, რამაც, საერთო ჯამში, გააუმჯობესა დეპარტამენტის ოპერატიული შესაძლებლობები და რეაგირების მექანიზმები.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს **სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის** მიერ, საგანგებო სიტუაციების ეფექტიანი მართვის მიზნით, გაგრძელდა ქვეყნის მასშტაბით შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად **განახლდა სახანძრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომელთა სამსახურებრივი მოხმარების ნივთები და აღჭურვილობა,** აგრეთვე **მცურავი და სამთო-სამაშველო საშუალებების ავტოპარკი**.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის სტრატეგიულ განვითარებასა და ინსტიტუციურ გაძლიერებასაც. შემუშავდა სამსახურის განვითარების 10-წლიანი გეგმა, გაფართოვდა ძირითადი დეპარტამენტები, შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეულები. ოპერატიული მართვის გაუმჯობესების მიზნით, ჩამოყალიბდა ცენტრალიზებული რეგიონული ცენტრები, ხოლო პროფესიული განვითარების კუთხით, დაინერგა ახალი სასწავლო პროგრამები და განხორციელდა მასშტაბური გადამზადება.

ამასთან, 2025 წლის პირველი სექტემბრიდან, „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, ფუნქციონირება შეწყვიტა ეროვნული უსაფრთხოების საბჭომ, ხოლო კრიზისული მართვის ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც ასევე უზრუნველყოფს ეროვნული სიტუაციური ოთახის ფუნქციონირებას.

საანგარიშო პერიოდში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა მნიშვნელოვნად გააძლიერა საერთაშორისო თანამშრომლობა და პროფესიული განვითარების მიმართულება, რის შედეგადაც, **243** თანამშრომელი გადამზადდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა და პარტნიორი ქვეყნების მიერ ორგანიზებულ 34 სასწავლო კურსში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

საანგარიშო პერიოდში, **საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის ციფრული განვითარების მიმართულებით,** განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, მათ შორის, eFss სისტემის გაუმჯობესება. ასევე, სსიპ – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს ელექტრონული პლატფორმისთვის შემუშავდა მართვის პანელი, ავტორიზაციისა და რეგისტრაციის მოდულები და სერვისებზე ერთიანი განაცხადის ფორმა, ხოლო სერტიფიცირებულ პირთა რეესტრის სისტემაში შეიქმნა მონაცემთა ბაზის არქიტექტურა და ელექტრონული ინფორმაციის გაცვლის სერვისი. პარალელურად, მიმდინარეობს ინციდენტების აღრიცხვისა და ანალიზის პორტალის განვითარება. დამატებით, შემუშავების პროცესშია წყალმომარაგების შეწყვეტის შესახებ შეტყობინებების ერთიანი საინფორმაციო პორტალი, ხოლო ტესტირების რეჟიმში დაინერგა ტრანსპორტის მართვის ელექტრონული სისტემა, რაც მიზნად ისახავს ოპერატიული მართვისა და ინფორმაციული სისტემების ეფექტიანობის ზრდას.

მომსახურების გაწევის ეფექტიანობისა და საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, 2025 წლის 17 დეკემბრიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - მომსახურების სააგენტოს სარგებლობაში არსებულ შენობაში ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრის დანაყოფმა.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში საპატრულო **პოლიციის დეპარტამენტის სერვისებით** ისარგებლა **288 623-მა** მოქალაქემ. კერძოდ, ერთიანი მომსახურების ცენტრში საპატრულო პოლიციის სერვისებით ადგილზე მიმართვით 196 987 მოქალაქეს გაეწია მომსახურება, ხოლო საპატრულო პოლიციის დისტანციური მომსახურებით 156 607-მა მოქალაქემ ისარგებლა.

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა **ახალი ციფრული პროდუქტები** – იზოლატორების ადმინისტრირების აპლიკაცია – დროებითი მოთავსების იზოლატორებში საკნების დაკავება-გათავისუფლების მართვა და აღრიცხვა; **მწვანე საზღვრის საშვები** – დაინტერესებული პირებისთვის მწვანე საზღვარზე გადაადგილებისთვის სპეციალური საშვების გაცემის აპლიკაცია (პირველი ეტაპი); უცხოელების შრომითი საქმიანობის ნებართვების საძიებო – უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქართველოში შრომითი საქმიანობის ნებართვების საძიებო პორტალი.

საკანონდებლო ცვლილებების თანახმად, 2026 წლის პირველი მარტიდან **შსს პოლიციის აკადემიას მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი,** რის საფუძველზეც, შსს პოლიციის აკადემიაში განხორციელდება საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საპოლიციო საქმის სამწლიანი საბაკალავრო პროგრამა, რომლის მიზანია პოლიციის სისტემაში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და დასაქმება.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 სექტემბრის №1649 განკარგულების საფუძველზე, **შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მოსამსახურეთათვის სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესებისა და მათი მატერიალური უზრუნველყოფის** კიდევ უფრო მეტად ხელშეწყობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა **1100**-ბინიანი „პოლიციის ქალაქის“ მშენებლობა. „პოლიციის ქალაქში“ ბინების მოსამსახურეთათვის საკუთრებაში გადაცემისთვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2025 წლის 13 ოქტომბრის №1/465 ბრძანებით განისაზღვრა ბინების განაწილების/გადაცემის წესი, კრიტერიუმები და ვადები.

მნიშვნელოვნად განახლდა **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტოპარკი** და შეივსო 597 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებით.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო **დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურის განვითარებასა და თანამშრომელთა სოციალური პირობების გაძლიერებას,** რაც მიზნად ისახავს სამსახურის ეფექტიანობისა და ოპერატიული შესაძლებლობების ამაღლებას. ქვეყნის მასშტაბით, მიმდინარეობს 16 შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია, რაც ხელს უწყობს სამუშაო გარემოს გაუმჯობესებასა და ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას.

საქართველო აქტიურად ახორციელებს კოორდინირებულ პოლიტიკას **ტრეფიკინგის პრევენციის, გამოძიების, მსხვერპლთა დახმარებისა და რეინტეგრაციის** მიმართულებით. ამჟამად მოქმედებს „ტრეფიკინგთან ბრძოლის 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა“.

ამასთანავე, დაამტკიცდა **„ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების ყველა სახის ძალადობისგან, მათ შორის, ტრეფიკინგისგან დაცვის 2025 – 2030 წლების სტრატეგია“**, რომლის მიზანია ქუჩაში ცხოვრების რისკის ქვეშ მყოფი და მიუსაფარი ბავშვების უსაფრთხო გარემოთი უზრუნველყოფა.

ტრეფიკინგთან ბრძოლის მიმართულებით საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს მოწმობს საერთაშორისო შეფასებებიც, კერძოდ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2025 წლის 29 სექტემბრის ანგარიშის თანახმად, **ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებებით საქართველო კვლავ უმაღლეს საფეხურზეა და უკვე მე-10 წელია, ინარჩუნებს ადგილს ე. წ. პირველ კალათაში.** 2025 წელს შეფასების უმაღლეს სკალაზე მსოფლიოს მასშტაბით 180-ზე მეტ ქვეყანას შორის მხოლოდ 33-მა ქვეყანამ დაიკავა ადგილი. საქართველო ერთადერთია, რეგიონის მასშტაბით და ევროკავშირის წევრობის კანდიდატ სახელმწიფოებს შორის, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასების უმაღლეს ნიშნულს იკავებს.

პენიტენციურ კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, 100-ზე მეტი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტიდან საანგარიშო პერიოდში **გამოიცა ან მომზადებულია გამოსაცემად საქართველოს იუსტიციის მინისტრის 32 ნორმატიული აქტის პროექტი**; მიმდინარეობს

მუშაობა 33 ნორმატიული აქტის პროექტზე, მათ შორის, რამდენიმე პენიტენციური დაწესებულების დებულებაზე.

დაბა ლაითურში 700 მსჯავრდებულზე გათვლილ №1 პენიტენციურ დაწესებულებაში, 2026 წლის 27 მაისის მდგომარეობით, განთავსებულია **513 ბრალდებული/მსჯავრდებული.**

დასრულდა მცირე ზომის ახალი პენიტენციური დაწესებულების მშენებლობა ქალაქ რუსთავში, რომელიც გათვლილია 150 მსჯავრდებულზე.

ამასთან, დასრულდა 4 პენიტენციურ დაწესებულებაში (№14, №15, №17 და რუსთავის მცირე ზომის ახალი პენიტენციური დაწესებულება) არსებული იუსტიციის სახლის სივრცეების ინფრასტრუქტურული სამუშაოები და ტექნიკური აღჭურვა. დღეის მდგომარეობით, **იუსტიციის სახლის სივრცეები ფუნქციონირებს საქართველოს 6 პენიტენციურ დაწესებულებაში და ემსახურება 8 პენიტენციურ დაწესებულებას.**

პენიტენციური კოდექსის შესაბამისად, **ეტაპობრივად ხორციელდება პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული თითოეული ბრალდებულის 4 m^2 საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფა.**

პენიტენციური კოდექსის მიხედვით, უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის უფლება მიენიჭა ყველა ტიპის პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს. ამ ეტაპზე, ციფრული სწავლების სივრცე – **„ციფრული უნივერსიტეტი“** მოწყობილია **6 დაწესებულებაში.**

ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში დანერგილია შემთხვევის მართვა, რაც გულისხმობს მულტიდისციპლინური მიდგომით მსჯავრდებულის შეფასებასა და მიზნობრივ პროგრამებში ჩართულობას, განმეორებითი დანაშაულის პრევენციისა და ზიანის შემცირების მიზნით. 2025 წელს შემთხვევის მართვაში სულ ჩართული იყო 1 347 მსჯავრდებული, 2026 წლის მაისის მდგომარეობით – 1 193 მსჯავრდებული. პენიტენციურ სისტემაში დანერგილია 21 ფსიქოსარეაბილიტაციო პროგრამა, ხოლო 2025 წელს დამატებით **განხორციელდა 4 პროგრამის („პოზიტიური მშობლობის პროგრამა“; „ალკოჰოლდამოკიდებულ პირთა რეაბილიტაციის პროგრამა“; „დიალექტიკურ-ქცევითი თერაპია“; „ოკუპაციური თერაპია“) პილოტირება.**

საანგარიშო პერიოდში, **მსჯავრდებულთა შრომითი რეაბილიტაციის ხელშეწყობისა და მსჯავრდებულთა დასაქმების არეალის გაფართოების მიზნით, განვითარდა აგრარული მიმართულება,** რაც კენკროვანი კულტურების 5 ახალი ბაღის გაშენებით გამოიხატა. ამჟამად მოქმედებს დასაქმების 11 პროგრამა.

2025 წლის განმავლობაში **განხორციელდა 50-ზე მეტი მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამა და სწავლება/ტრენინგი,** რომლებშიც მსჯავრდებულთა ჩართვის მაჩვენებელმა 919 ერთეული შეადგინა, ხოლო 2026 წლის მაისის მდგომარეობით, განხორციელდა 50-ზე მეტი მომზადება-გადამზადების პროგრამა, რომლებშიც მსჯავრდებულთა ჩართვის მაჩვენებელი 725 ერთეულია.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2022 წლის 20 აპრილის №820 ბრძანებით დამტკიცებული **„პენიტენციურ დაწესებულებებში სპორტის მართვის 2022 – 2030 წლების სტრატეგიის“ ფარგლებში**, 2025 წელს **სპორტული ფესტივალები** ჩატარდა 8 პენიტენციურ დაწესებულებაში.

პრობაციის მიმართულებით, დაინერგა „დიალექტიკურ-ბიჰევიორული თერაპიის (DBT) პროგრამა“ და დასრულდა „ალკოჰოლდამოკიდებულ პირთა რეაბილიტაციის პროგრამის“ პილოტირება.

აღდგენითი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომის მიზნით, დედაქალაქსა და რეგიონებში ჩატარდა მედიაციის 401 შეხვედრა. **არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში** გადამისამართდა 221 შემთხვევა, 14 წლამდე ასაკის კანონთან კონფლიქტში მყოფი და 18 წლამდე ასაკის რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანის. ცენტრის სარეაბილიტაციო პროგრამებსა და სერვისებში ჩაერთო 198 ბენეფიციარი.

ეთნიკური უმცირესობებისთვის კანონმდებლობაზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის ფარგლებში, საქართველოს საკანონმდებლო მაცნის მიერ, საანგარიშო პერიოდში, ითარგმნა აფხაზურ ენაზე – 34, სომხურ ენაზე – 33, ოსურ ენაზე – 33, ხოლო აზერბაიჯანულ ენაზე – 34 საკანონმდებლო აქტი.

ასევე, სსიპ – საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა, **ადამიანის უფლებების** შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, გამოაქვეყნა სხვადასხვა საინფორმაციო ვიდეორგოლი. გარდა ამისა, ჩატარდა **უფასო სამართლებრივი ტრენინგები**, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 500-ამდე პირმა.

2. ეკონომიკური განვითარება

2.1. მაკროეკონომიკური პოლიტიკა და სწრაფი ეკონომიკური განვითარება

გეოპოლიტიკური დაძაბულობისა და არახელსაყრელი გარემოებების მიუხედავად, საქართველო წარმატებით გაუმკლავდა საგარეო შოკებს და შეინარჩუნა მაკროეკონომიკური სტაბილურობა. **მთლიანობაში, პოსტპანდემიურ პერიოდში, 2021 – 2025 წლებში, საშუალო ეკონომიკური ზრდა 9.3%-ს გაუტოლდა.** 2025 წელს საქართველო გლობალურად გამორჩეული იყო მაღალი ეკონომიკური ზრდით, რომელმაც 7.5% შეადგინა. 2025 წელს მშპ-მ 104.6 მილიარდი ლარი შეადგინა, ხოლო მშპ ერთ სულ მოსახლეზე **28,235 ლარს – 10,297 დოლარს** გაუტოლდა.

მაღალი ეკონომიკური ზრდა გაგრძელდა 2026 წელს და იანვრის თვეში – 7.9%, თებერვლის თვეში – 8.8%, ხოლო მარტის თვეში 10.7% რეალური ზრდა დაფიქსირდა. შედეგად, **2026 წლის პირველი კვარტალის** საშუალო ეკონომიკური ზრდა **9.1%-ს** გაუტოლდა.

2025 წელს ეკონომიკური ზრდა იყო საკმაოდ დივერსიფიცირებული და მასში მნიშვნელოვანი პოზიტიური წვლილი შეიტანა ინფორმაციისა და კომუნიკაციის, განათლების,

დამამუშავებელი მრეწველობის, ტრანსპორტისა და დასაწყობების, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობებისა და სხვა სერვისების მიმართულებით ეკონომიკური აქტივობის ზრდამ. მაღალია შიდა მოთხოვნა და ეკონომიკურ ზრდაში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი მოხმარებამ შეიტანა, რომელიც წლიურად 10.3%-ით გაიზარდა, ძლიერი საკრედიტო აქტივობისა და ხელფასების ზრდის ფონზე. მოხმარებასთან ერთად, მზარდი ტენდენციით ხასიათდება მომსახურების ექსპორტი, რაც კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურების ექსპორტის, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებისა და სატრანსპორტო მომსახურების ზრდას უკავშირდება.

სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2026 – 2031 წლებში საქართველოს ექნება ყველაზე მაღალი ზრდა რეგიონისა და ევროპის ქვეყნებს შორის, საშუალოდ – 5.1%-ის ოდენობით.

2025 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ 3.9% შეადგინა; 2026 წელს ინფლაცია იანვარში 4.8% დაფიქსირდა, ხოლო აპრილში 5.9%-ამდე გაიზარდა. მოსალოდნელია, რომ ის 2026 წლის შუა პერიოდში, ეტაპობრივად დაუბრუნდება მიზნობრივ დონეს. ინფლაციური მოლოდინები არის სტაბილური და კარგად მართვადი, რასაც ხელს უწყობს შესაბამისი მონეტარული პოლიტიკა და ფუნდამენტური მაკროეკონომიკური ფაქტორები.

2025 წელს, როგორც **უმუშევრობის დონე,** ისე **დასაქმების დონე** სტაბილურ დონეზე შენარჩუნდა და, **შესაბამისად, 13.9% და 46.9% შეადგინა.**

2025 წელს სახელმწიფოს **ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი,** მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, 0.3% იყო, ხოლო არსებული პროგნოზების მიხედვით, 2026 წელს მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ინდიკატორი 2.1%-იან ნიშნულზე იქნება. 2025 წლის **ნაერთი ბიუჯეტის კაპიტალურმა ხარჯებმა,** 2025 წლის პროგნოზირებულ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, 6.5% შეადგინა. საშუალოვადიან პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი შენარჩუნებული იქნება 6.4%-ის ფარგლებში.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა **მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი** და 2025 წელს ის მშპ-ის 2.6%-ს გაუტოლდა და წინა წელთან შედარებით განახევრდა (2024 -5.3%). მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი პოზიტიური წვლილი შეიტანა **მომსახურების ექსპორტის ზრდამ,** რაც განპირობებულია კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურების, სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტისა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდით.

2026 წლის 1 მარტის მდგომარეობით, სესხების დოლარიზაცია განაგრძობს შემცირებას და ის 42.4%-ზე დაფიქსირდა.

2025 წელს დაფიქსირდა **საქონლით ვაჭრობისა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების რეკორდული მაჩვენებლები.** 2025 წელს საქონლის ექსპორტი 11.2%-ით გაიზარდა და რეკორდულ 7.3 მილიარდ აშშ დოლარს გაუტოლდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა საქონლით საგარეო ვაჭრობის ბრუნვა: 2025 წელს სავაჭრო ბრუნვა 10.5%-ით გაიზარდა 25.9 მილიარდ აშშ დოლარამდე. ექსპორტის ზრდის ტენდენცია 2026 წლის იანვარ-აპრილშიც გაგრძელდა და საქონლის ექსპორტის ზრდის ტემპი 21.1%-ს გაუტოლდა. 2025 წელს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 6.0%-ით გაიზარდა და ისტორიული მაქსიმუმი – 4.7 მილიარდი აშშ დოლარი

შეადგინა. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტისა და, შესაბამისად, ტურისტულ ნაკადებზე უარყოფითი გავლენის მიუხედავად, 2026 წლის პირველ კვარტალში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები გაიზარდა (0.5%-ით) და პირველი კვარტალის რეკორდული მოცულობა – 829.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

გლობალური არასტაბილურობის მიუხედავად, საქართველოს **პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფარდობა, მშპ-თან მიმართებით,** ერთ-ერთი ყველაზე მაღალია შესადარ ქვეყნებთან მიმართებით და 2021 – 2025 წლებში საშუალოდ 6%-ს აღემატებოდა. 2025 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 7.6%-ით გაიზარდა და 1.7 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია.

მიუხედავად რთული საგარეო ფაქტორებისა და გეოპოლიტიკური დაძაბულობისა, საქართველომ შეინარჩუნა **სუვერენული საკრედიტო რეიტინგი** პანდემიამდელ დონეზე. Fitch-ისა და S&P-ის მონაცემებით, საქართველო ინარჩუნებს სუვერენულ საკრედიტო რეიტინგს „BB", ხოლო Moody's-ის მიხედვით – Ba2 დონეზე.

ბიზნესგარემოს მუდმივი გაჯანსაღებისა და სრულყოფის მიზნით, გაგრძელდა ქმედითი და ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმა:

- აქტიურად ხორციელდებოდა **სახელმწიფო საკუთრებაში არსებული რესურსების ჩართვა ეკონომიკურ აქტივობაში,** მათ შორის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გზით. საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული სახელმწიფო უძრავი ქონების აუქციონების რაოდენობამ შეადგინა 683 ერთეული;
- 2025 წლის ივნისის თვიდან 2026 წლის I კვარტალის ჩათვლით, **სახელმწიფო უძრავი ქონების პრივატიზების შედეგად, მობილიზებული თანხიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართულია 143 686 307 ლარი.** დამატებით, აღსანიშნავია, რომ „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, **სახელმწიფო ბიუჯეტის პრივატიზების გეგმა შეადგენდა 300 000 000 ლარს, რომელიც შესრულებულია, ჯამურად, 113.9%-ით.** პრივატიზების ჯამური გეგმიდან შესასრულებელი გეგმის მოცულობა შეადგენდა 213 000 000 ლარს, რომელიც შესრულებულია 102%-ით;
- „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის პრივატიზების გეგმა შეადგენს **200 000 000** ლარს, ხოლო 6 თვის გეგმა – **103 000 000** ლარს. **პრივატიზების 6 თვის ჯამური გეგმიდან სააგენტოს მიერ შესასრულებელი გეგმის მოცულობა შეადგენს 86 000 000 ლარს, რომლის მიმდინარე შესრულებაც, 27 მაისის მდგომარეობით, შეადგენს 63 828 739 ლარს, რაც წარმოადგენს 6 თვის გეგმის 74,2%-ს;**
- 2025 წლის ივნისში, ქ. თბილისში გაიმართა საქართველოსა და კორეას შორის **ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და წახალისების შესახებ** შეთანხმებაზე მოლაპარაკებების მეხუთე რაუნდი;
- შემუშავდა **„საქართველოში ინვესტიციების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ"** კანონპროექტი.

საანგარიშო პერიოდში ასევე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები **მთავრობის ვალის მართვის პოლიტიკის** გაუმჯობესებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ:

- მთავრობის ვალის პორტფელის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდების მაჩვენებელი, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 34.4%-ს, ხოლო 2026 წლის 31 მარტის მდგომარეობით, 31.5%-ს შეადგენდა, რაც მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიით უსაფრთხო დონედ განსაზღვრული მაჩვენებლის – 40-45%-ის ფარგლებშია.
- საგარეო შოკების მიმართ მოწყვლადობის შემცირების მიზნით, მიმდინარეობდა მთავრობის ვალის პორტფელში ლარში დენომინირებული ვალის წილის ზრდა. აღნიშულმა მაჩვენებელმა, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 32.6%, ხოლო 2026 წლის 31 მარტის მდგომარეობით, 32.9% შეადგინა. პორტფელის დარჩენილ ნაწილს – 67.1%-ს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალი შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი 2021 წლის შემდეგ 12.9%-ით შემცირდა და უახლოვდება მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიით განსაზღვრულ საშუალოვადიან მიზნობრივ მაჩვენებელს – 65%-ს.
- 2026 წლის 28 იანვარს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სახელით, ლონდონის საფონდო ბირჟაზე 500 მლნ აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების, 5-წლიანი ვადიანობის მქონე ევროობლიგაციები განათავსა. მთლიანი მოთხოვნა 5.5-ჯერ აღემატებოდა გამოსაშვებ მოცულობას, ხოლო კუპონის განაკვეთმა 5.125% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ დაფიქსირებული კუპონის განაკვეთი, 2022 წლის შემდეგ, უმცირესია არასაინვესტიციო რეიტინგის მქონე ევროობლიგაციებზე დაფიქსირებულ კუპონის განაკვეთებს შორის. გამოშვებული ევროობლიგაციების ნაწილი (393.5 მლნ აშშ დოლარი) გაიცვალა 2021 წელს გამოშვებულ ევროობლიგაციებში, ხოლო 2021 წელს გამოშვებული ევროობლიგაციების დარჩენილი ნაწილის – 106.5 მლნ აშშ დოლარის მოცულობის დაფარვა განხორციელდა 2026 წლის 22 აპრილს.
- 2026 წლის 21 მაისს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, სინდიკაციის მეთოდით, 400 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების, 5.9 წლის საწყისი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები გამოუშვა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახაზინო ფასიანი ქაღალდების განთავსება სინდიკაციის მეთოდით პირველად განხორციელდა. სინდიკაციის პროცესში ინვესტორთა მხრიდან მკვეთრად მაღალი აქტივობა დაფიქსირდა. ფასიანი ქაღალდების მიმართ ინტერესი გამოხატეს როგორც რეზიდენტმა, ისე არარეზიდენტმა ინვესტორებმა, რის შედეგადაც, მთლიანმა მოთხოვნამ 1.8 მილიარდი ლარი შეადგინა და გამოსაშვებ მოცულობას 4.5-ჯერ გადააჭარბა. კუპონის განაკვეთი 9.000%-ის დონეზე განისაზღვრა. მოცემული გამოშვება 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული, სახაზინო ფასიანი ქაღალდების წლიური წმინდა ზრდის მთლიანი მოცულობის ფარგლებში განხორციელდა.

საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმის დანერგვის კუთხით, საჯარო ფინანსების მართვის სფეროში მიმდინარეობს მუშაობა ელექტრონულ პლატფორმაზე, რომელიც შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ პირებს, წარმოადგინონ ახალი ინიციატივები და მიიღონ მონაწილეობა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

საანგარიშო პერიოდში მუდმივად ხორციელდებოდა სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) დახვეწა, ბიზნესპროცესების გამარტივება და არსებული საინფორმაციო სისტემის მოდერნიზება. გარდა ამისა, დამატებით შემოღებულ იქნა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო (IPSAS) 2 ახალი სტანდარტი. ამასთან, სახელმწიფო ფინანსების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ხაზინის ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირებულია ყველა საჯარო სკოლა (სულ – 2083 საჯარო სკოლა) და დამატებით განხორციელდა სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული 108 საწარმოს ინტეგრირება (სულ – 144 საწარმო).

საანგარიშო პერიოდში, **სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის (PIFC)** ფარგლებში, შემუშავდა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შეფასების სახელმძღვანელო, რომელიც საჯარო უწყებებს საშუალებას აძლევს, შეაფასონ შიდა კონტროლები და დაგეგმონ მენეჯმენტის გაძლიერება. ასევე, შიდა აუდიტის მიმართულებით განახლდა ეროვნული სერტიფიცირების პროგრამა, 2025 წლის გლობალური სტანდარტების შესაბამისად.

საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების ფარგლებში, საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელდა ცვლილებები, რომლის მიზანია სექტორული სტიმულირების ეფექტის შენარჩუნება, აგრეთვე, ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობა და OECD BEPS რეკომენდაციების დანერგვა.

ბიზნესგარემოს მუდმივი გაჯანსაღებისა და სრულყოფის მიზნით, გაგრძელდა მუშაობა დღგ-ის ზედმეტობის ავტომატური დაბრუნების პროგრამის შემდგომი დახვეწის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში დღგ-ის ზედმეტობის ავტომატური დაბრუნების პროგრამის ფარგლებში დაბრუნებულმა თანხამ შეადგინა **2 542 968 597 ლარი.**

გრძელდება **სასარგებლო წიაღისეულის** რაციონალური გამოყენებისა და მისი ეკონომიკურ საქმიანობაში ეფექტიანი ჩართვის რეფორმა. საკანონმდებლო ცვლილებებით აუქციონის ვადა შემცირდა 10 დღემდე, ხოლო ლიცენზიის გაცემის პროცესი განისაზღვრა მაქსიმუმ 4 თვემდე.

გასული პერიოდის განმავლობაში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, გაჩნდა მოთხოვნა სერვისის ვადების დიფერენცირებაზე/შემცირებაზე, რისი უზრუნველყოფისთვისაც მომზადებულია შესაბამისი პროექტი.

სამთომოპოვებითი საქმიანობის მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული აუქციონების შედეგად, ჯამურად გაიცა **სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების 426 ლიცენზია** და ბიუჯეტში **მობილიზებული თანხის ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 104 611 221 ლარი.** აქედან აუქციონებიდან ბიუჯეტში შესული მთლიანი თანხა – **45 614 667** ლარი; ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი – **43 499 028** ლარი და რეგულირების საფასური – **15 497 526** ლარი. გაცემული ლიცენზიების ფარგლებში, **მოსალოდნელია საშუალოდ 2130 ადამიანის დასაქმება.**

გრძელდება მუშაობა **ციფრული იდენტიფიკაციის საფულის** დანერგვის მიმართულებით. დასკვნით ეტაპზეა შესაბამისი მომსახურების მიმწოდებლის შესარჩევი ტენდერი. ამასთან ერთად, საანგარიშო პერიოდში, შემუშავდა **EUID Wallet-ის სამართლებრივი სტატუსისა და მისი გამოყენების ნორმატიული აქტის პირველადი პროექტი**.

2.2. ეკონომიკური რეფორმები

ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღებიდან გამომდინარე, საშუალოვადიან პერიოდში საქართველოს მთავრობის მთავარი ამოცანა კვლავ არის, უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკის მზაობა ევროკავშირის წევრობისთვის. საქართველომ, როგორც ევროკავშირის კანდიდატმა ქვეყანამ, ევროკომისიის მიერ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნებისათვის შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, მესამედ მოამზადა **„ეკონომიკური რეფორმების პროგრამა", ამჯერად 2026 – 2028 წლებისათვის,** რომელიც წარედგინა ევროკომისიას 2026 წლის 15 იანვარს.

2025 წლის 26 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი **„საინვესტიციო ფონდების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"**. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით სახელმწიფო ორგანოებს ან/და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს, სადაც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა 50%-ს აღემატება, შეეძლებათ, საინვესტიციო ფონდებში წილობრივად მონაწილეობდნენ 25%-ის ნაცვლად 40%-ით. აღნიშნული ცვლილებები ემსახურება **საინვესტიციო ფონდების ბაზრის სტიმულირებას.** ამასთან, სახელმწიფოს მიერ საინვესტიციო ფონდებში 40%-ამდე მონაწილეობის გაზრდით, დაცულია პრინციპი, რომ სახელმწიფო არ ფლობდეს საინვესტიციო ფონდების საკონტროლო პაკეტს.

2025 წლის 26 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი **„დაგროვებითი პენსიის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე"**. კანონში შესულმა ცვლილებებმა ძირითადად მოიცვა საპენსიო შენატანების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები.

2025 წლის მეორე ნახევარში შემუშავდა **„საინვესტიციო ფონდების მხარდაჭერის" სახელმწიფო პროგრამა,** რომლის მიზანია საინვესტიციო ფონდების დაფუძნებისა და საქმიანობის სტიმულირება.

2025 წლის მეორე ნახევარში შემუშავდა **უძრავი ქონების საინვესტიციო ფონდებთან (REITs)** დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის სამუშაო ვერსია. აღნიშნულმა პროექტმა მოიცვა უძრავი ქონების საინვესტიციო ფონდების (REITs) ინსტიტუციური მოწყობისა და საგადასახადო ჩარჩოს ფორმირების საკითხები.

2026 წლის 1 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი **„ფაქტორინგის შესახებ"**, რომელიც აყალიბებს ფაქტორინგის მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებს, ასევე, განისაზღვრა ფაქტორინგის მხარეებისა და ფაქტორინგთან დაკავშირებული სუბიექტების უფლებრივი დაცვის მექანიზმები.

სასაქონლო ბაზრებისა და ვაჭრობის განვითარების მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში, მიმდინარეობდა **„აგრარული ხელწერილისა და სასაწყობო ხელწერილის შესახებ"** კანონპროექტის მომზადება, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლებრივი მოწესრიგების საკითხებს.

2025 წლიდან **სახალხო დაფინანსების (crowdfunding)** მოდელთან მიმართებით, საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირების ლაბორატორიის ფარგლებში, გამოცხადებულია განცხადებების მიღება. აღნიშნული ინიციატივა კომპანიებს საშუალებას აძლევს, საკუთარი ინოვაციური მოდელები რეგულირებად გარემოში გამოსცადონ.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ეროვნულ ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობით, ასევე მიმდინარეობდა **საქართველოს ფინანსური ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესი**.

აქტივებზე დაფუძნებული დაფინანსების ერთიანი ელექტრონული პლატფორმის შექმნის მიმართულებით, რომელსაც ფაქტორინგული კომპანიები გამოიყენებენ დებიტორული დავალიანებებით ვაჭრობისათვის, 2024 წლიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – აწარმოე საქართველოში (ამჟამად – სს – საქართველოს ეკონომიკის განვითარების კორპორაცია) აქტიურად თანამშრომლობს IFC-თან. საანგარიშო პერიოდში, ასევე გაგრძელდა მუშაობა **კერძო კაპიტალის საინვესტიციო ფონდების მიმართულებით.**

საქართველოს მთავრობის №102 დადგენილებით 2024 წელს ამოქმედდა **„კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა“**, რომელიც მოიცავს თანადაფინანსებისა და ტექნიკური დახმარების კომპონენტს და ხელს უწყობს ადგილობრივი მცირე და საშუალო კომპანიების წვდომის გაუმჯობესებას დაფინანსების ალტერნატიულ მექანიზმებზე. 2025 წლის ივნისიდან განხორციელდა 11 ემისია, რომელთა მოცულობამაც შეადგინა 751.7 მლნ ლარი. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ამოქმედებიდან დაფინანსებული ემისიების პროცენტული მაჩვენებელი, ქვეყნის მასშტაბით, იმავე პერიოდში გამოშვებული მთლიანი ემისიების 42.4%-ს შეადგენს.

მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, **გრძელდება ბენჩმარკ ობლიგაციების გამოშვება.** 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბენჩმარკების მოცულობა მნიშვნელოვნად გაზრდილია გასულ წლებთან შედარებით. ყველაზე დიდი ბენჩმარკის მოცულობა 2.8 მლრდ ლარს აღწევს. ბენჩმარკ ობლიგაციების მოცულობის შემდგომი ზრდისა და რეფინანსირების რისკის მართვის მიზნით, რეგულარულად გამოიყენება ვალდებულებების მართვის ოპერაციები – გამოსყიდვები და გაცვლები. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 5 გამოსყიდვის აუქციონი, რომელთა ფარგლებშიც, გამოსყიდულ იქნა 200 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები და 8 გაცვლის აუქციონი, რომელთა ფარგლებშიც, გაიცვალა 460 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები.

2026 წელს სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და გამოსყიდვის/გაცვლის კალენდრები დაგეგმილია იმგვარად, რომ მიღწეულ იქნეს **1 800 მლნ ლარის მოცულობის წმინდა ზრდა.**

სახელმწიფო საწარმოების (SOEs) რეფორმის ფარგლებში, მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო საწარმოთა სტრატეგიის 2026 წლის სამოქმედო გეგმის შედგენასა და გასატარებელი ამოცანების აღწერაზე, რომლის პრიორიტეტი სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური ზედამხედველობის არეალის გაფართოებაა, საპილოტე საწარმოების მიღმა.

მიმდინარე ეტაპზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ფლობის დუალისტური მოდელის ფარგლებში, ახორციელებს აქციონერის/პარტნიორის უფლებამოსილებას 3 მსხვილ სახელმწიფო საწარმოში და 7 მსხვილი სახელმწიფო საწარმოს მიმართ განაგრძობს ფინანსურ ზედამხედველობას.

სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკაში ასახვის მიზნით, 123 სახელმწიფო საწარმო უკვე გადასულია ხაზინის მომსახურების ერთიან ანგარიშზე, ხოლო დარჩენილი საწარმოების ხაზინის ერთიან ანგარიშზე სრულად ინტეგრაცია დასრულდება 2027 წლის იანვრამდე.

ენერგეტიკული ბაზრის შემდგომი ლიბერალიზაციის მიმართულებით, აღსანიშნავია, რომ „ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის №246 დადგენილებით გათვალისწინებულია ელექტროენერგიის მწარმოებლების ეტაპობრივი გათავისუფლება საჯარო მომსახურების ვალდებულებებისგან (PSO). აღნიშნულის შესაბამისად, 2026 წლის 1 მაისიდან, საჯარო მომსახურების ვალდებულებისგან თავისუფლდება „ძევრულა ჰესი", რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს ელექტროენერგიის ბაზრის ეტაპობრივი გახსნის, კონკურენტული გარემოს გაძლიერებისა და სექტორის შემდგომი ლიბერალიზაციის მიმართულებით.

2.3. დასაქმება

2.3.1. მეწარმეობის განვითარება

კერძო სექტორის განვითარებისა და სამეწარმეო პოტენციალის მაქსიმალურად ათვისების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, არაერთი ნაბიჯი გადაიდგა:

- 2025 წლის 1 ივნისიდან, **სსიპ-ის – აწარმოე საქართველოში** (22 მაისიდან – **სს საქართველოს ეკონომიკის განვითარების კორპორაცია**)[1] **ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მხარდამჭერ პროგრამებში, ჯამურად, ჩაერთო 1279 მეწარმე სუბიექტი, რაც უზრუნველყოფს 6, 650-ამდე ახალი სამუშაო ადგილის შექმნას;**
- **საკრედიტო საგარანტიო სქემის სახელმწიფო პროგრამის** ფარგლებში, 2025 წლის 1 ივნისიდან დადასტურებულია **303 კომპანიის 345 პროექტი, რომელთა სესხის ჯამური მოცულობა შეადგენს 274.8 მლნ ლარს,** ხოლო ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობაა 2,705 (მათ შორის, 177 კომპანიის 203 პროექტი, 180.1 მლნ ლარის სესხის მოცულობით და 1,878 სამუშაო ადგილით, ასევე ჩართულია უნივერსალურ ინდუსტრიულ ნაწილში);
- **სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში" უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის** პირობები 2025 წლის 1 სექტემბრიდან განახლდა. 2025 წლის 1 ივნისიდან, პროგრამის ფარგლებში, დადასტურებულია **467 კომპანიის 543 პროექტი, რომელთა ჯამური საინვესტიციო მოცულობა შეადგენს 824 მლნ ლარს, ხოლო ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობაა 4, 109;**

[1] 2026 წლის მაისში, სსიპ – აწარმოე საქართველოში, რეორგანიზაციის შედეგად, გარდაიქმნა სს – საქართველოს ეკონომიკის განვითარების კორპორაციად (შემდგომში – კორპორაცია). კორპორაცია, როგორც სააგენტოს სამართალმემკვიდრე, უწყვეტად გააგრძელებს სააგენტოს პროგრამების განხორციელებას.

- აღსანიშნავია, რომ 2025 წლის 1 ივნისიდან, **მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დადასტურებულია 686 სესხი, რომელთა ჯამურმა ღირებულებამაც 31 მლნ ლარს გადააჭარბა;**
- საანგარიშო პერიოდში გაიხსნა სსიპ-ის – აწარმოე საქართველოში (ამჟამად – სს საქართველოს ეკონომიკის განვითარების კორპორაცია) **შიდა ქართლის საკონსულტაციო ცენტრი.** აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპისთვის ფუნქციონირებს **7 რეგიონული საკონსულტაციო ცენტრი** სამეგრელო-ზემო სვანეთში, აჭარაში, კახეთში, თბილისში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთსა და შიდა ქართლში;
- საანგარიშო პერიოდში **რეგიონულ საკონსულტაციო ცენტრებში სულ ჩატარდა 1,861 ბიზნესდიაგნოსტიკა,** აქედან 701 დიაგნოსტიკა იყო საკონსულტაციო მომსახურების მიზნობრიობით. დიაგნოსტიკების შედეგად, **313 უნიკალურ ბენეფიციართან** გაფორმდა საკონსულტაციო მომსახურების **344 ხელშეკრულება,** რომელთა **ჯამური ღირებულებაც აჭარბებს 3.8 მლნ ლარს;**
- **„მცირე და საშუალო საწარმოების გაციფრულების მხარდაჭერის“** პროექტის ფარგლებში, სსიპ-ის – აწარმოე საქართველოში ციფრული ტრანსფორმაციის ექსპერტების დახმარებით, საანგარიშო პერიოდში, **303-მა მეწარმე სუბიექტმა** გაიარა ციფრული დიაგნოსტიკა. ამავე პერიოდში შეიქმნა **246 ინდივიდუალური გაციფრულების გეგმა** და გაფორმდა **73 საგრანტო ხელშეკრულება** ციფრული ინსტრუმენტის დანერგვასთან დაკავშირებით. საგრანტო ხელშეკრულებების **ჯამური ღირებულება აჭარბებს 1.4 მლნ ლარს;**
- **ბიზნესუნარების გაუმჯობესების მიმართულებით,** საანგარიშო პერიოდში, სულ ჩატარდა 52 ღონისძიება (სხვადასხვა მიმართულებით) საქართველოს 6 რეგიონში. ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებს 464 მონაწილე დაესწრო;
- **ინფორმაციის მიწოდების მიმართულებით,** არაერთი შეხვედრა გაიმართა რეგიონებში მეწარმეებსა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან. **საანგარიშო პერიოდში, მოქმედ საკონსულტაციო ცენტრებში 3,617 ინდივიდუალური კონსულტაცია შედგა;**
- **სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ კინოინდუსტრიის ნაწილის** ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 17 ახალი ხელშეკრულება, რომელთა კვალიფიციური ხარჯის მოცულობა 49.3 მლნ ლარს აღემატება. პროექტების ფარგლებში, შეიქმნება 4,821 დროებითი სამუშაო ადგილი.

გრძელდება მუშაობა **უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ხელშეწყობის** მიმართულებით, რომლის ფარგლებშიც, 2025 წლის 22 ოქტომბერს დეველოპერულ კომპანია **Eagle Hills-თან გაფორმდა საინვესტიციო შეთანხმება საქართველოში 6.6 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების პროექტის განვითარებასთან დაკავშირებით.**

აქტიურად გრძელდება **საექსპორტო პოტენციალის** მქონე კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და საერთაშორისო ბაზრებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც, 2025 წლის ივნისიდან ქართულმა კომპანიებმა **15 საერთაშორისო ღონისძიებაში** მიიღეს მონაწილეობა; **საერთაშორისო ღონისძიებებში ინდივიდუალური მონაწილეობის მხარდაჭერის პროგრამის** (ე. წ. ექსპო-გრანტი) ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, 99 ხელშეკრულება გაუფორმდა **62 უნიკალურ ბენეფიციარს;** საანგარიშო პერიოდში, **ტექნიკური დახმარების კომპონენტის** ფარგლებში, გაფორმებულია 9 ხელშეკრულება, ხოლო დაფინანსებულია 9 კომპანია; 2026 წლის აპრილის

მდგომარეობით, ქვეყნის **საექსპორტო პლატფორმაზე – www.tradewithgeorgia.com** რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა გაიზარდა 1,255-ამდე.

საანგარიშო პერიოდში, დასრულდა **ექსპორტის მხარდაჭერის სტრატეგიის** შემუშავება. ასევე, დასრულდა **ღირებულებათა ჯაჭვის კვლევა** რამდენიმე სამიზნე სექტორზე: **სასმელების წარმოება (ღვინის გარდა), შესაფუთი მასალების წარმოება, საფეიქრო ინდუსტრია და IT სერვისები.**

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა **უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა,** რომლის შედეგად, მიღებული მონაცემების საფუძველზე, შესწავლილ იქნა საწარმოებში ადამიანურ კაპიტალთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნები, რაც ხელს შეუწყობს უნარებთან მიმართებით შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდებას შორის შეუსაბამობის შემცირებას, უნარების მოხმარების ეკონომიკური ეფექტის ზრდას.

2025 წელს, **განათლების სისტემის რეფორმის ფარგლებში, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების მიზნით,** ასევე მომზადდა საჯარო და კერძო სექტორებში **სამუშაო ძალაზე მოთხოვნის კვლევა,** რითაც შესაძლებელი გახდა ყოვლისმომცველი, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორებში სამუშაო ძალაზე სამომავლო მოთხოვნის განსაზღვრა.

მომზადდა **შრომის ბაზრის წლიური ანალიზი,** რომელშიც დამუშავებული და გაანალიზებულია სტატისტიკური ინფორმაცია დასაქმების კუთხით, შესწავლილია ქვეყანაში არსებული **ვაკანსიები, სახელმწიფო და კერძო დასაქმების სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით.**

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში reportal.ge-ზე გასაჯაროვდა 85 235 ფინანსური ანგარიშგება სხვადასხვა კატეგორიის საწარმოებიდან. ამასთან, განხორციელდა 33 ფინანსური ანგარიშგების ინდივიდუალური მიმოხილვა და 40 თემატური მიმოხილვა.

განხორციელდა რეგულაციის ცვლილება ანგარიშგების წარდგენისა და აუდიტორის დადასტურების პროცედურების დაზუსტებისთვის და შესაბამისი პროგრამული განახლება პორტალზე. ასევე, 2026 წლის I კვარტალში განახლდა 2024 წლის ციფრული ბაზები, რაც უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებებზე წვდომასა და მათ გამოყენებას ანალიტიკური/სტატისტიკური მიზნებისთვის.

2026 წლის I კვარტალში ამოქმედდა ახალი წესი, რომელიც განსაზღვრავს ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ჩარჩოს, უზრუნველყოფს გამჭვირვალე და ერთიან მიდგომას და ხელს უწყობს ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესებას.

2.3.2. ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარება

ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური სტარტაპების საინვესტიციო პროექტების მხარდაჭერის, სამეწარმეო პოტენციალის ზრდისა და საზოგადოების ტექნოლოგიურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რიგი ღონისძიებები:

- **„ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის“** საგრანტო პროგრამა საქართველოს 11 ლოკაციაზე განხორციელდა და გამოვლინდა 40 გამარჯვებული სტარტაპი;

- **500 Global აქსელერაციის პროგრამის** ფარგლებში, განხორციელდა აქსელერაციის მეცხრე რაუნდი, რომელიც წარმატებით გაიარა 13-მა სტარტაპმა;
- გრძელდებოდა საქართველოს რეგიონებში ინოვაციური და სამეწარმეო ეკოსისტემის განვითარება შესაბამისი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფით;
- არსებულ ტექნოპარკებში აქტიურად გრძელდებოდა სხვადასხვა ტიპის ღონისძიების განხორციელება. საანგარიშო პერიოდში, საქართველოს **9 ტექნოპარკში,** STEAM და ICT მიმართულებით, სულ განხორციელდა 113 პროექტი, რომლებშიც ჩაერთო 1,543 მონაწილე/ბენეფიციარი;
- **პრეაქსელერატორის პროგრამის ფარგლებში,** იდეათონებს დაესწრო 893 ვიზიტორი, ხოლო უშუალოდ პროგრამა წარმატებით დაასრულა 321-მა ბენეფიციარმა;
- მიმდინარეობდა, **„ტექნოლოგიების გადაცემის პროგრამის"** ფარგლებში, კომერციალიზაციისთვის შერჩეული პროექტებისთვის (13 პროექტი, ჯამურად) ადგილობრივი და საერთაშორისო ინდუსტრიული პარტნიორების მოძიების პროცესი;
- ქართული სტარტაპების პოტენციალის წარმოსაჩენად, საერთაშორისო მასშტაბით და მსოფლიო ბაზრებზე კავშირების დამყარების მიზნით, 2025 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში, სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ მონაწილეობა მიიღო ორ მასშტაბურ ტექნოლოგიურ ღონისძიებაში, რომელიც გაიმართა დუბაიში – **GITEX Global** და ლისაბონში – **WebSummit.** 2026 წლის იანვარში კი, სააგენტომ მონაწილეობა მიიღო მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და მასშტაბურ ტექნოლოგიურ გამოფენაში – **CES (Consumer Electronics Show)**, რომელიც გაიმართა ლას ვეგასში. ასევე გაფორმდა ხელშეკრულება **Dealroom-თან,** რომელიც წარმოადგენს მსოფლიო სტარტაპ ეკოსისტემების პლატფორმასა და მონაცემთა ბაზას;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებებით, საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმატში, გაგრძელდა სასწავლო პლატფორმის – **Do IT in Georgia-ს** ბაზაზე პირებისთვის სასწავლო კურსების შეთავაზება;
- მიმდინარეობდა მუშაობა **საერთაშორისო ტექნოლოგიური კომპანიების მოზიდვის** მიმართულებით. დღეის მდგომარეობით, ქვეყანაში 172 ასეთი კომპანია ოპერირებს;
- საანგარიშო პერიოდში, ამოქმედდა „ინოვაციების შესახებ" საქართველოს კანონში შესული ცვლილებები, რომლებიც აწესებს **ინოვაციური სტარტაპის, ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოსა (SME) და კვლევისა და განვითარების (R&D) განმახორციელებელი კომპანიის სტატუსებსა** და მათი მოპოვების კრიტერიუმებს;
- ამოქმედდა ახალი პროგრამა – **ინოვაციური სტარტაპების აქსელერაცია** და შეირჩა 4 საერთაშორისო აქსელერატორი: 500 Global, Plug and Play, StartupBootcamp და Founder Institute. 2026 წლის იანვარში Plug and Play-მ და StartupBootcamp-მა დაიწყეს მუშაობა 82 სტარტაპთან. შერჩეულმა სტარტაპებმა მიიღეს 50,000 ლარის საგრანტო დაფინანსება. დამატებით, 500 Global-მა გამოაცხადა ახალი კონკურსი სტარტაპების შესარჩევად;
- მიმდინარეობდა ქვეყნის პირველი **ხელოვნური ინტელექტის სტრატეგიის** შემუშავებისთვის ცალკეული მოსამზადებელი სამუშაოები.

2.4. საგარეო სავაჭრო ურთიერთობები

DCFTA-ით გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტიანი განხორციელების მიზნით, დამტკიცდა **DCFTA-ისა და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2026 წლის სამოქმედო გეგმა.**

ევროკავშირთან საკანონმდებლო დაახლოების პროცესის ფარგლებში, **საქართველოს ამჟამინდელი ვალდებულებების შესაბამისად, ჯამში, დაახლოება განხორციელებულია ევროკავშირის 117 საკანონმდებლო აქტთან (74%).**

2026 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, სულ მიღებულია **40 500-ზე მეტი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი საქართველოს სტანდარტად,** ხოლო სტანდარტების ევროპული ორგანიზაციების – CEN/CENELEC-ის 2026 წლის პირველი კვარტალის ანგარიშის მიხედვით, **ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს სტანდარტების ჰარმონიზაციის მაჩვენებელი 93,72%-ს შეადგენს,** რაც აღემატება ამავე ორგანიზაციებში სრული წევრობისათვის დადგენილ მოთხოვნებს (80%). 2025 წლის დეკემბრიდან, მეტროლოგიის ინსტიტუტის ფიზიკურ-ქიმიურ ლაბორატორიაში დაინერგა **ახალი მომსახურება – გამონაბოლქვი აირის ანალიზატორების დაკალიბრება/დამოწმება,** ამავე წლის მეოთხე კვარტალში, დასრულდა მეტროლოგიის ინსტიტუტის **დიდი მოცულობის ლაბორატორიის ინფრასტრუქტურის მოწყობა.** შეიქმნა სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტები (ტკ 11) „ევროკოდები" და (ტკ 12) „მეტროლოგია", სადაც ჩართულები არიან სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ამასთან, ცვლილება განხორციელდა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში, რაც უზრუნველყოფს **ბაზარზე არასასურსათო პროდუქტებზე ზედამხედველობის ღონისძიებების კიდევ უფრო ეფექტიანად განხორციელებას.**

ცვლილება შევიდა „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკურ რეგლამენტში" და დაიფარა **125 ახალი სამშენებლო პროდუქტი.**

აგრეთვე, 2025 წლის 31 დეკემბრიდან, ამოქმედდა „ენერგოეტიკეტირების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული 14-ივე ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც ადგენს **ენერგოეტიკეტირების მოთხოვნებს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო ენერგომომხმარებელი პროდუქტის** მიმართ.

საანგარიშო პერიოდში, უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, შემუშავდა **შესაბამისობის შეფასების, აკრედიტაციის, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და ბაზარზე ზედამხედველობის სფეროებში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების სტრატეგიის (TBT სტრატეგია)** პირველადი პროექტი.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გაფორმების მიმართულებით, დასრულდა **კორეის რესპუბლიკასთან** ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ტექსტის იურიდიულად გამართვის პროცედურები. 2025 წლის დეკემბერში ხელი მოეწერა **სერბეთის რესპუბლიკასთან** თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყების შესახებ ერთობლივ განცხადებას. 2025 წლის დეკემბერში, საქართველოსა და **სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს (GCC)** ვაჭრობის ერთობლივი მიმოხილვის

მიზნით, შედგა ორი შეხვედრა საუდის არაბეთსა და თბილისში. **საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას** შორის 2017 წლის 13 მაისს ხელმოწერილი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაში ცვლილებების განხორციელების მიზნით, 2026 წლის 22 აპრილს ხელი მოეწერა ოქმს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის.

2.5. ტურიზმი

კვლავ აქტიურად გრძელდება ტურიზმის სექტორის გაძლიერება, რაც ნათლად აისახება დარგის ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში. 2025 წლის მონაცემებით, **საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავლებმა** ისტორიულ მაქსიმუმს – **4.7 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია (+6%)**, ხოლო საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ **7,803,239** შეადგინა (+5.9%); განსაკუთრებით აღსანიშნავია **საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების** დინამიკა, რომელმაც ასევე რეკორდულ მაჩვენებელს – **5,521,866 ვიზიტს მიაღწია**, რაც 2024 წელთან შედარებით +8.4%-ით არის გაზრდილი.

პოზიტიური ტენდენცია შენარჩუნებულია 2026 წლის პირველ კვარტალშიც: **საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავლებმა** კვლავ ისტორიული მაქსიმუმი – **829.8 მილიონი აშშ დოლარი** შეადგინა (+0.5%). ამასთან, საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობა 1,300,505-ს გაუტოლდა, რაც წლიურად – 1.1%-ით არის შემცირებული. მიუხედავად ამისა, **საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების** მიმართულებით კვლავ დაფიქსირდა რეკორდული მაჩვენებელი – **997,529 ვიზიტი (+4%).**

ინტენსიურად გრძელდება **განთავსების ობიექტების** სექტორის განვითარება, რომლის ფარგლებშიც, გაიხსნა 20 ობიექტი, რომელთა ჯამური მოცულობა აღემატება 1,000 ნომერსა და 2,000 საწოლ ადგილს. ჯამში, ფუნქციონირებს 2,691 განთავსების ობიექტი, 52,596 ნომრითა და 116,204 საწოლი ადგილით, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ქვეყნის შესაძლებლობას მზარდი ტურისტული ნაკადების მისაღებად.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ფართომასშტაბიანი მარკეტინგული აქტივობები, მათ შორის, საქართველოს პოზიციონირების გაძლიერება სტრატეგიულ ბაზრებზე, საერთაშორისო მედიასა (მათ შორის, განხორციელდა თანამშრომლობა ერთ-ერთ ყველაზე მაღალრეიტინგულ **სამოგზაურო მედია პლატფორმებთან – Expedia x Beautiful Destinations**) და ავიაკომპანიებთან (Edelweiss, Condor, Austrian Airlines, British Airways და სხვა) თანამშრომლობა, მიზნობრივი სარეკლამო კამპანიები და მონაწილეობა გამოფენებში.

2026 წელს საქართველო **ITB China-ს** პარტნიორი ქვეყანა გახდება, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის ფართომასშტაბიან წარმოდგენას ჩინურ ბაზარზე.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია დაესწრო **11 საერთაშორისო გამოფენას.** განხორციელდა **76 საერთაშორისო ტური, აქედან 64 პრეს და 12 გაცნობითი ტური**. აგრეთვე, ავიაკომპანიებთან – Flynas, Turkish Airlines, Edelweiss, EasyJet, Air Astana, Air Serbia, Transavia, British Airwys-თან თანამშრომლობის ფარგლებში, განხორციელდა პრეს და გაცნობითი ტურები.

ქვეყნის მასშტაბით, **მომსახურების დონის გაუმჯობესების** მიზნით, გადამზადდა **500-ზე მეტი ადამიანი, 8 სხვადასხვა თემატიკაში.**

შიდა ტურიზის განვითარების მიმართულებით განახორციელდა კამპანია **„მოიარე საქართველო“ – სვანეთში** და განხორციელდა **19 პრეს და გასტრო ტური**, ასევე, ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები – **ფესტივალი: „გემოფესტი“ – იმერეთი, გურია, რაჭა, სამცხე-ჯავახეთი, სვანეთი; „გურჯაანის ღვინის ფესტივალი“ – კახეთი; „ჯაზ ენდ ვაინ“ – კახეთი; ფესტივალი „გიზ-გიზი“ – ბაკურიანი, გუდაური; „Winter Jazz“ – ბაკურიანი.**

ტურისტული პროდუქტებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, პროექტ **„ღვინის გზის“** ფარგლებში, 14 ობიექტისთვის დამონტაჟდა საგზაო მანიშნებლები სხვადასხვა რეგიონში, ასევე მოინიშნა **12 ტურისტული ბილიკი, ჯამური სიგრძით – 74.4 კმ.**

რაჭის რეგიონში ოთხსეზონური, კონკურენტუნარიანი კურორტების განვითარების მიზნით, 2025 წელს **რაჭის ახალი კურორტების (მრავალძალი, სხარტალი-ბეთლევი-შხივანა)** განვითარების კონცეპტუალური დიზაინის შემუშავებისთვის მიმდინარეობს სტრატეგიისა და სიცოცხლისუნარიანობის შეფასების ეტაპი.

ჭიათურის მუნიციპალიტეტში დასრულდა **კარსტული მღვიმეების** (ხვედელიძეების კლდე, თაროკლდე, კოტიასკლდე, მანდაეთი) **ტურისტული პოტენციალის კვლევა,** რაც ქმნის საფუძველს ახალი ტურისტული ღირსშესანიშნაობების განვითარებისათვის.

2025 წლის ნოემბერში ჩატარდა **მესამე საერთაშორისო ფორუმი „FoResorts“**, რომელშიც მონაწილეობდა 300-ზე მეტი დელეგატი.

საქართველომ, საანგარიშო პერიოდში, **საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) ეგიდით, Freeride World Tour – Georgia Pro-ს უკვე მესამედ უმასპინძლა.** ღონისძიების ფარგლებში, მესტიას 51 მსოფლიოს საუკეთესო ფრირაიდერი ეწვია.

2.6. ენერგეტიკა

გრძელდება მუშაობა საქართველოს **ენერგოდამოუკიდებულობისა და ენერგოუსაფრთხოების გაძლიერების მიმართულებით.** საანგარიშო პერიოდში დასრულდა **ორი ჰიდროელექტროსადგურის** (ჯამური დადგმული სიმძლავრით – 19,73 მგვტ), **ერთი ქარის ელექტროსადგურისა** (ჯამური დადგმული სიმძლავრით – 18,7 მგვტ) და **ექვსი მზის ელექტროსადგურის** (ჯამური დადგმული სიმძლავრით – 10,75 მგვტ) მშენებლობა.

ასევე მიმდინარეობდა მუშაობა განახლებადი ენერგიების ათვისებისათვის საჭირო სამართლიანი და გამჭვირვალე საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების მიზნით, საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწის მიმართულებით. 2026 წლის თებერვალში მიღებულ იქნა მთავრობის განკარგულება, რომლის მიხედვითაც, **ენერგეტიკული პროექტების განმახორციელებელ კომპანიებს მიეცათ გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის გათვალისწინებული ჯარიმის/პირგასამტეხლოს პირობითი პატიების შესაძლებლობა.**

საქართველოს რეგიონების გაზიფიცირების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, ბუნებრივი გაზის მიწოდების ქსელში ჩართვის შესაძლებლობა მიეცა 60-ზე მეტ დასახლებულ პუნქტს *(ჯამში, დაახლოებით, 10 ათასი პოტენციური აბონენტი).*

გაგრძელდა მუშაობა **ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოებისა და გადამცემი ქსელის გაძლიერების მიმართულებით:**

- „საქართველოს ენერგეტიკული ქსელის გაძლიერების პროექტის“ ფარგლებში, მიმდინარეობდა ელექტროგადამცემი ხაზების (ეგხ) მშენებლობისთვის საჭირო სამუშაოები. პროექტი მოიცავს სამი ეგხ-ის მშენებლობას.
- დასრულებულია გურიის 220 კვ ეგხ-ის მშენებლობის პროექტი, რაც შეეხება 110 კვ ეგხ-ს, დასრულებულია ხაზის 88%-ის მშენებლობა;
- განახლდება სამშენებლო სამუშაოები, რეგიონული ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, 220/110 კვ ოზურგეთის ქვესადგურზე;
- დასრულდა 500 კვ წყალტუბო-ახალციხე და 400 კვ ახალციხე-თორთუმი ელექტროგადამცემი ხაზის შესაბამისი ნებართვების აღების პროცესი და 2026 წლის მარტში დაიწყო სამშენებლო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზის – „სტორი-თელავის“ პროექტის შემუშავება, რომელიც ამ დროისთვის დასრულებულია, ყველა შესაბამისი ნებართვა მოპოვებულია და დაწყების ეტაპზეა სამშენებლო სამუშაოები;
- წყალტუბოს ქვესადგურის 220 კვ ფართით გაფართოების პროექტის მშენებლობის ეტაპი 2025 წლის ბოლოს დასრულდა;
- 500კვ ჯვარი-წყალტუბოს ეგხ-ის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, ეგხ-ის პირველ და მესამე ნაწილებზე მიმდინარეობდა სამშენებლო და საველე სამუშაოები. 2025 წლის ივნისიდან მიმდინარეობდა ეგხ-ის მეორე ნაწილის შეცვლილი მარშრუტის დეტალური პროექტირება და დამტკიცება;
- ქსელის გაძლიერებისა და გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით, დასრულებულია 66,02 კმ 220 კვ ეგხ „კოლხიდა-1-ის“ რეაბილიტაცია და 220 კვ ეგხ არაგვის გაორჯაჭვიანებისთვის უჯრედების მოწყობა ქ/ს ქსანი-500-ს და ქ/ს გლდანი-220-ში.

2026 წლის თებერვალში, **შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის** პროექტის ფარგლებში, ხელი მოეწერა „ზღვის ფსკერის კვლევის დიზაინის, შესყიდვისა და ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის“ ხელშეკრულებას საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა (სსე) და საკონსულტაციო კომპანია CESI-ს შორის. აღსანიშნავია, რომ 2025 წლის დეკემბერში ევროკომისიამ გამოაქვეყნა რეგულაცია საერთო ინტერესისა და ორმხრივი ინტერესის პროექტების შესახებ, რომლის თანახმად, **პროექტმა მიიღო ორმხრივი ინტერესის პროექტის სტატუსი ევროკავშირის ფარგლებში.** 2026 წლის თებერვალში, სსე-სა და ტრანსელექტრიკას შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის განხორციელების ხელშეწყობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა ეკოდიზაინის შესახებ ახალი კანონის ჩამოყალიბებაზე, ენერგოეტიკეტირებასთან ინტეგრაციით, რაც ქმნის ენერგომომხმარებელი პროდუქტებისთვის ერთიან საკანონმდებლო ჩარჩოს. 2026 წლის I კვარტალში კანონპროექტი **„ენერგომომხმარებელი პროდუქტის ეტიკეტირებისა და ეკოდიზაინის შესახებ“** დამტკიცების მიზნით წარმოედგინა საქართველოს პარლამენტს.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა **მწვანე წყალბადის** სამოქმედო გეგმისა და საგზაო რუკის შემუშავებაზე. ასევე მუშაობა მიმდინარეობდა **მწვანე ზრდის სტრატეგიისა** და სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე.

2025 წლის 31 დეკემბრიდან ამოქმედდა **ენერგოაუდიტის ჩატარების წესი,** რომელიც განსაზღვრავს ენერგოაუდიტის განხორციელების პირობებს, პროცედურებსა და მოთხოვნებს. საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა და გრძელდება მუშაობა ევროკავშირის ენერგოეფექტურობის დირექტივების ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანასა და მათ პრაქტიკულ დანერგვაზე.

ასევე, აღსანიშნავია, რომ **ბუნებრივი წყალბადის ძებნა-ძიებისა და მოპოვების რეგულირების სამართლებრივი ჩარჩოს მოწესრიგების** მიზნით, 2025 წლის ივნისში შევიდა ცვლილებები „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონსა და თანმდევ კანონმდებლობაში.

2.7. ტრანსპორტი და ლოგისტიკა

2025 წლის განმავლობაში, **პოზიტიური დინამიკა დაფიქსირდა სატრანსპორტო დარგების მიერ ტვირთებისა და მგზავრების გადაზიდვის/გადაყვანის მიმართულებით,** კერძოდ:

- საგრძნობი მატება დაფიქსირდა რკინიგზის საკონტეინერო გადაზიდვებში (+14%), მათ შორის, შუა დერეფანზე (ჩინეთი/ყაზახეთიდან და უკუმიმართულებით) (+33%);
- საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში/ტერმინალებში, ჯამურად გადამუშავებული ტვირთების რაოდენობაში ზრდა დაფიქსირდა (+7%);
- საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში, ჯამურად გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობაში მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა (+17%);
- სამოქალაქო ავიაციაში, როგორც გადაზიდულ ტვირთებში (+54%), ასევე, გადაყვანილ მგზავრებში (+14%) საგრძნობი ზრდა დაფიქსირდა.

საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური შესაძლებლობების გაძლიერებისა და ტრანს-ევროპულ სატრანსპორტო ქსელში ინტეგრაციის მიზნით, **გრძელდება მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.**

საანგარიშო პერიოდში, დასრულდა **რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტი**. პროექტის შედეგად, გაიზრდება სარკინიგზო უსაფრთხოება და შემცირდება როგორც მსვლელობის დრო, ასევე ინფრასტრუქტურული ხარჯები. ასევე გაიზრდება რკინიგზის წლიური გამტარუნარიანობა **27 მილიონიდან 48 მილიონ ტონამდე.**

ასევე, უსაფრთხოების სტანდარტების შენარჩუნებისა და მსვლელობის სიჩქარის გაზრდის მიზნით, დაწყებულია **თბილისი-ბათუმის ცენტრალური მაგისტრალის** გარკვეულ მონაკვეთებზე სარკინიგზო ინფრასტრუქტურის კაპიტალური სამუშაოები, რის შედეგადაც, კაპიტალურად გარემონტდება 23 კმ სარკინიგზო ინფრასტრუქტურა.

რეგიონული კავშირების აღდგენის ნაწილში, აღსანიშნავია **ახალციხის სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის პროექტი,** რომლის ფარგლებშიც, მიმდინარეობს სარკინიგზო ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაცია და დაგეგმილია თანამედროვე სტანდარტების სარკინიგზო სადგურის მშენებლობა. ხაშური-ბორჯომი-ახალციხის

მონაკვეთზე კაპიტალურად გარემონტდება 42 კმ სარკინიგზო ინფრასტრუქტურა. ინფრასტრუქტურული გაუმჯობესების შედეგად, მგზავრობის დრო **6 საათიდან 3 საათამდე შემცირდება.**

საანგარიშო პერიოდში დაიწყო **სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის მასშტაბური პროცესი, რის შედეგადაც განახლდება საქართველოს რკინიგზა.**

აქვე აღსანიშნავია, რომ დასრულდა **ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის** პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები და პროექტი სრულად შევიდა ექსპლუატაციაში.

2025 წლის სექტემბრის მდგომარეობით, წარმატებით **დასრულდა ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის აკვატორიის ფსკერის დაღრმავებისა და ტალღისმჭრელის მობილიზაციის მოსამზადებელი (სამობილიზაციო) ფაზა.** ამჟამად, ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის საზღვაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მასშტაბური ფსკერდაღრმავებითი სამუშაოებისთვის საჭირო ქმედებები ოფიციალურად დაწყებულია და პროექტი ხორციელდება წინასწარ გაწერილი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

თბილისის ახალი საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობისთვის, საანგარიშო პერიოდში, ვაზიანის ყოფილ სამხედრო აეროდრომზე მიმდინარეობდა და გრძელდება **საპროექტო კვლევითი სამუშაოები.**

თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში მიმდინარეობდა და გრძელდება ტერმინალის გაფართოება, ახალი საჰაერო ხომალდების სადგომი ბაქნისა და დამატებითი სატრანსპორტო საშუალებების საპარკინგე სივრცეების მოწყობა, რის შედეგადაც, თბილისის აეროპორტის გამტარუნარიანობა 5 მლნ მგზავრიდან 10 მლნ მგზავრამდე გაიზრდება.

აქტიურ ფაზაშია **ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის** ახალი, 3,5 კმ სიგრძის ასაფრენ-დასაფრენი ზოლისა და სხვა სააეროდრომო ინფრასტრუქტურის მშენებლობა. დასკვნით ეტაპზეა **თელავის აეროპორტის** პროექტის ოპტიმიზაცია, რის შემდეგაც, დაიწყება შესაბამისი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის პროცესი. დასრულებულია **მესტიის აეროპორტის** ახალი ტერმინალის პროექტზე მუშაობა.

2025 წელს **საავიაციო სექტორმა** საჰაერო მიმოსვლის ყველა ძირითადი მიმართულებით რეკორდული ზრდა აჩვენა. საქართველოს აეროპორტები რეგულარული და არარეგულარული რეისებით **8 494 640 მგზავრს** მოემსახურა, რაც **მგზავრთნაკადის რეკორდული მაჩვენებელი იყო ქვეყნისთვის.** აღსანიშნავია, რომ 2025 წელს მიღებული მგზავრების რაოდენობა 14%-ით აღემატებოდა 2024 წლის ანალოგიურ პერიოდში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობას. 2024 წელს განხორციელებული ფრენების რაოდენობასთან შედარებით, რეისების რაოდენობა 17.5%-ით გაიზარდა.

2025 წლის პიკურ პერიოდში (აგვისტო-სექტემბერი) საქართველოს აეროპორტებში 70-ზე მეტი ავიაკომპანია 122 საჰაერო ხაზზე, საშუალოდ, 760 სიხშირით ოპერირებდა. 2025 წელს ქართულ ბაზარზე ოპერირების უფლება **13 ახალ ავიაკომპანიას მიენიჭა:** British Airways, Easyjet UK, Easyjet Switzerland, Easyjet Europe, Edelweiss, Air Serbia, Transavia France, Air Serbia, Electra Airways, Almasria Airlines, SAM Air, Fly Khiva, Vision Air.

დადებითი დინამიკა შენარჩუნდა **საჰაერო სატვირთო გადაზიდვების** კუთხით. 2025 წელს საჰაერო გზით გადაზიდული ტვირთების მოცულობამ 38578.379 ტონა შეადგინა, რაც რეკორდული მაჩვენებელია საქართველოს აეროპორტებისთვის. 2024 წელთან შედარებით, **ტვირთბრუნვა 54%-ით გაიზარდა.**

ახლო აღმოსავლეთისა და ყურის რეგიონში არსებული ვითარების გამო შემცირებული ავიარეისების მიუხედავად, 2026 წლის პირველ კვარტალში, საქართველოს საავიაციო სექტორში შენარჩუნდა საჰაერო მიმოსვლის მზარდი დინამიკა. **2026 წლის იანვარ-მარტში საქართველოს აეროპორტები 1 605 500 მგზავრს მოემსახურა, რაც 4.28%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობას.** 2026 წლის პირველ სამ თვეში საქართველოს აეროპორტებში, ჯამში, 7799 რეისი განხორციელდა. 2025 წლის იანვარ-მარტში განხორციელებული ფრენების რაოდენობასთან შედარებით, რეისების რაოდენობა 8.70%-ით გაიზარდა. საქართველოს საავიაციო ბაზარზე ოპერირების უფლება 2 ახალ ავიაკომპანიას მიენიჭა (Norwegian Air Sweden, China Eastern Airlines). ამასთან, საჰაერო მიმოსვლის დაწყების მიზნით, სააგენტოში შემოსულია რუმინეთის ავიაკომპანია „DAN AIR"-ის განაცხადი, რომელიც 1 ივლისიდან გეგმავს რეგულარული ფრენების შესრულებას ბუქარესტი-თბილისი-ბუქარესტის საჰაერო ხაზზე.

ევროკავშირთან „ერთიანი საჰაერო სივრცის" შეთანხმების ფარგლებში, საქართველო განაგრძობს **საავიაციო რეგულაციების დანერგვას,** უსაფრთხოებისა და მომხმარებელთა დაცვის მიზნით; საანგარიშო პერიოდში დამტკიცდა ახალი ფრენის წესი და მიღებულ იქნა ICAO-ს სტანდარტებთან შესაბამისი რიგი წესები.

საანგარიშო პერიოდში, ლიბერალურ პრინციპებზე დაფუძნებით, **საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებას** ხელი მოეწერა სერბეთის რესპუბლიკასთან, რაც გახდა აღნიშნულ ქვეყანასთან პირდაპირი რეგულარული ფრენების დაწყების სამართლებრივი წინაპირობა. ორ ქვეყანას შორის ავიამიმოსვლის შემდგომი ხელშეწყობის მიზნით, უწყებათაშორისი ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას შორის.

სარკინიგზო დარგის შემდგომი განვითარების მიზნით, მიმდინარეობდა და გრძელდება **სარკინიგზო დარგის რეფორმა.** აქტივობები მიმართული იყო როგორც საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებაზე, ასევე მათ პრაქტიკაში განხორციელებაზე. გაიცა უსაფრთხოების 121 ავტორიზაცია და 6 სერტიფიკატი; დაინერგა მემანქანეთა რეგულაციები და შეიქმნა მემანქანეთა ელექტრონული საინფორმაციო ბაზა. პარალელურად, განხორციელდა სახიფათო ტვირთების რეგულირება, მომზადდა სარკინიგზო კოდექსის ცვლილებების პროექტი, გაძლიერდა მგზავრთა მომსახურება და უფლებების დაცვა.

2026 წლის იანვარში დაიწყო ერთიანი ელექტრონული პროგრამის – **„ციფრული რკინიგზის" (Digital Railway)** პროექტის შემუშავება და ციფრული პლატფორმის შექმნა.

2025 წელს, დაახლოებით, 30%-ით გაიზარდა **საქართველოს ნავსადგურებში საბორნე გადაზიდვები და მთლიანობაში 540, 000 ტონას გადააჭარბა.** ამასთან, 2025 წლიდან, გაიზარდა პირდაპირი **საბორნე მიმოსვლის სიხშირეები** და დაემატა კიდევ ერთი საბორნე გემი ბათუმი-ბურგასის (ბულგარეთი) მიმართულებით.

საქართველოს ნავსადგურებში, რეალურ რეჟიმში ამოქმედების შემდეგ ეტაპზე, **„საზღვაო ერთი ფანჯრის სისტემა“ დაუკავშირდა** ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის სისტემას (ASYCUDA), რაც უზრუნველყოფს სისტემაში წარდგენილი ინფორმაციის პირდაპირ გადაცემას საბაჟოსთვის. ამ ინტეგრაციის შედეგად, **გემების მომსახურებასთან დაკავშირებული ბიუროკრატიული პროცესების დრო ერთ საათამდე შემცირდა.**

საანგარიშო პერიოდში ნავსადგურების გაერთიანების სისტემა (PCS) გადავიდა მოდულურ განვითარებაზე და მისი იმპლემენტაცია ხორციელდება საზღვაო ერთი ფანჯრის (MSW) სისტემის ფარგლებში.

ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის ეფექტიანი რეალიზების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, მიმდინარეობდა შუა **დერეფნის წევრ ქვეყნებთან საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის სანებართვო დოკუმენტების გაციფრულების პროცესი**.

ამასთან, გაგრძელდა მუშაობა ქვეყნის **შიდა საავტომობილო სამგზავრო გადაყვანის, სატრანსპორტო საშუალებების გზისპირა ზონაში შემოწმებისა და ტექინსპექტირების რეფორმების** მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა **მგზავრთა საქალაქთაშორისო გადაყვანებისა და ავტოსადგურების რეფორმის** განხორციელება, რის ფარგლებშიც, ხორციელდება ქვეყნის შიდა რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაში ჩართული პირების განებართვიანებისა და ავტოსადგურების სერტიფიცირების პროცესი.

მგზავრთა უსაფრთხოების ხელშეწყობის, ავტოსატრანსპორტო შემთხვევების შემცირების, საგზაო უსაფრთხოების განვითარებისა და საავტომობილო ტრანსპორტის დარგში კონკურენტული გარემოს შექმნის მიზნით, 2027 წლის 1 მარტიდან, ეტაპობრივად, სავალდებულო ხდება ქვეყნის შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებისას სატრანსპორტო საშუალებების აღჭურვა ტაქოგრაფითა და სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობით.

ასევე, **სატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების** პროცესის მიმართულებით, სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, 2025 წლის ივნისიდან აქტიურად ხორციელდებოდა პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პროცესის მონიტორინგი. ასევე, ტექინსპექტირების რეფორმის ფარგლებში, L კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების (მოტოციკლები, ტრიციკლები, კვადროციკლები) სავალდებულო პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას დაქვემდებარებასთან დაკავშირებით, მიმდინარეობდა შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება.

გარდა ამისა, **საგზაო უსაფრთხოების** მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიება: დამტკიცდა რეკომენდაციები სასკოლო ზონებში სათანადო ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით; მომზადდა ვიდეორგოლი, რომელიც განთავსდა სხვადასხვა საინფორმაციო წყაროსა და სოციალურ ქსელში, ასევე მომზადდა სხვადასხვა კვლევა. გარდა ამისა, მომზადდა **საქართველოს 2026-2030 წლების საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია და მისი 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმა.**

2.8. ინტერნეტიზაცია და ციფრული ტრანსფორმაცია

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა საქართველოში **ფართოზოლოვანი ინტერნეტინფრასტრუქტურის განვითარება.** პროექტ **„Log-In Georgia-ს“** ფარგლებში, **განხორციელდა 450 კმ ფართოზოლოვანი ინტერნეტინფრასტრუქტურის მშენებლობა (ჯვარი-მესტია, ზუგდიდი-ხობი).** გარდა ამისა, მშენებლობა მიმდინარეობდა 1700 კმ მონაკვეთზე. **პროექტის ფარგლებში, საერთო ჯამში, 2,050 კმ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის მშენებლობა უკვე დასრულებულია. ქსელის აღნიშნული მონაკვეთი მოიცავს 410 დასახლებულ პუნქტსა და 215,000-ამდე მოსახლეს.** მობილური და ფიქსირებული ინტერნეტმომსახურებით, აღნიშნული სახელმწიფო ქსელის გავლით, სარგებლობს, დაახლოებით, 100,000 ადამიანი.

„Log-In Georgia-ს“ პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობდა და გრძელდება **ციფრული მხარდაჭერის პროგრამა.** საანგარიშო პერიოდში ციფრულ წიგნიერებასა და ინტერნეტის უსაფრთხოდ გამოყენების ტრენინგ-მოდულებით გადამზადებულია 6 მუნიციპალიტეტის 85 დასახლების/სოფლის 5000-ზე მეტი ბენეფიციარი.

მიმდინარეობს ქვეყნის მასშტაბით არსებული **ფართოზოლოვანი ქსელების (Next Generation Networks) დაფარვის არეალის კვლევა და მისი ვიზუალიზაცია, GIS რუკების საშუალებით,** ასევე, ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების მიზნით, შესაბამისი **საჭიროებების განსაზღვრა როგორც შუა, ისე ბოლო მილის დონეზე.**

დაიწყო **სამთავრობო ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების მიზანშეწონილობის კვლევა,** რომლის მიზანია საჯარო სექტორის მონაცემთა შენახვის საჭიროებების შეფასება, შესაბამისი ეკონომიკური მოდელისა და რეკომენდაციების შემუშავება.

საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო პარტნიორებთან აქტიურად გრძელდებოდა მუშაობა **ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ციფრული ჰაბის ფორმირებაზე,** რაც მოიცავს შავი ზღვის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირის განვითარებასა და ჰიპერმასშტაბური მონაცემთა ცენტრების შექმნის ხელშეწყობას.

ევროკავშირის როუმინგულ რეგულაციებთან საკანონმდებლო დაახლოების მიზნით, მომზადებულია საკანონმდებლო პროექტები.

ევროკავშირის ერთიან ციფრულ ბაზართან საქართველოს ინტეგრაციისა და ციფრული ბაზრის რეგულაციების ჰარმონიზების კუთხით, მუშაობა მიმდინარეობდა **სატელეკომუნიკაციო ბაზრის კომპლექსური კვლევის** II ეტაპზე, რომელიც დაიწყო 2025 წელს.

მეორე მხრივ, 2025 წლის დასაწყისიდან, ასევე, დაიწყო და პარალელურად მიმდინარეობს **იურიდიული პირებისთვის შეთავაზებული კორპორატიული ინტერნეტ მომსახურების საბითუმო ბაზრის კვლევა.**

ამასთან, პარალელურად, მიმდინარეობდა და გრძელდება **მუშაობა მოძრავი და ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის კვლევაზე,** რომლის ფარგლებში, ასევე უნდა განისაზღვროს საბითუმო დაშვების ტარიფები.

2.9. სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება

საქართველოს მთავრობამ განაგრძო საქმიანობა სოფლის მეურნეობის სექტორში პროდუქტიულობის ზრდისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის მიმართულებით. აღნიშნული ძალისხმევა მიმართული იყო, ერთი მხრივ, სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ, ხოლო მეორე მხრივ, აგროსასურსათო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებისა და ექსპორტის მოცულობის ზრდისკენ.

2025 წელს საქართველოდან **მსოფლიოს 110 ქვეყანაში** ექსპორტირებულია რეკორდული **1.8 მილიარდი აშშ დოლარის** ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 2024 წლის მაჩვენებელს აღემატება 10%-ით. **ევროკავშირში აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის მაჩვენებელმა,** 2025 წლის მონაცემებით, 245 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა და გასულ წელთან შედარებით 36%-ით გაიზარდა.

2026 წლის იანვარ-აპრილის პერიოდში საქართველოდან მსოფლიოს 92 ქვეყანაში ექსპორტირებულია 577 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 2025 წლის შესაბამის მაჩვენებელს 13.6%-ით აღემატება. 2026 წლის პირველი ოთხი თვის მონაცემებით, საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ღირებულებამ 84 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2025 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 37%-ით მეტია.

2025 წლის წინასწარი მონაცემებით, **აგრობიზნესის პროდუქციის (პირველადი და გადამუშავებული პროდუქცია) გამოშვებამ 19.8 მილიარდი ლარი შეადგინა** და, 2024 წელთან შედარებით, 9%-იანი ზრდა აღინიშნა.

2025 წლის წინასწარი მონაცემებით, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის სექტორში შექმნილი **მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში** 5.4 მილიარდ ლარს შეადგენს, რაც 2024 წლის მაჩვენებელს 317.3 მლნ ლარით (6%) აღემატება.

ერთიანი აგროპროექტის პროგრამების დაწყებიდან, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტების ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით, სოფლის მეურნეობის დარგში ინვესტიციის ჯამურმა მოცულობამ 10 მილიარდ ლარს გადააჭარბა, საიდანაც, სახელმწიფო თანადაფინანსება 2.8 მილიარდ ლარზე მეტია, ხოლო, საანგარიშო პერიოდში, ქვეყნის მასშტაბით, ინვესტიციის ჯამურმა მოცულობამ 1.06 მილიარდი ლარი შეადგინა, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსება 355 მილიონი ლარია.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, 4,792 უნიკალურ ბენეფიციარზე გაიცა 945,029, 337 ლარის ღირებულების 5,581 სესხი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულმა თანადაფინანსებამ შეადგინა 215,900,838 ლარი.

აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში, 4,832 უნიკალურ დამზღვევზე/ბენეფიციარზე გაცემულია 8,875 პოლისი. დაზღვეულ იქნა 94,106,550 ლარის ღირებულების სხვადასხვა

კულტურა. დაზღვეულია 8,808 ჰა მიწის ფართობი. ხელშეკრულებით/პოლისით განსაზღვრულმა სახელმწიფო თანადაფინანსებამ 7,257,788 ლარი შეადგინა.

სახელმწიფო პროგრამის – **„დანერგე მომავალი“** – ფარგლებში, 416 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა ხელშეკრულება. დაკონტრაქტებულმა ფართობმა შეადგინა 2,560 ჰექტარი. ინვესტიციის ოდენობაა 92 211 651 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სახელმწიფო თანადაფინანსების ოდენობამ შეადგინა 27 072 044 ლარი.

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში, 13 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 14 408 045 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სახელმწიფო თანადაფინანსებაა 4 337 400 ლარი.

მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის (DIMMA) ფარგლებში, 109 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 3,373,812 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სახელმწიფო თანადაფინანსებაა 2,312,555 ლარი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების მიმართულებით, 58 კოოპერატივთან გაფორმდა ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 5,850,723 ლარი, ხოლო ხელშეკრულებით განსაზღვრულმა სახელმწიფო თანადაფინანსებამ – 2,869,443 ლარი.

ბიო წარმოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, 2 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 42,180 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სახელმწიფო თანადაფინანსებაა 29,526 ლარი.

„თხილის წარმოების ხელშეწყობის 2024-2025 წლების პროგრამის“ ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში (01/06/2025 – 31/08/2025), ქულა დაერიცხა 32,949 უნიკალურ ბენეფიციარს (მოსარგებლე ბენეფიციარების რაოდენობაა 74,422) და ფართობმა შეადგინა 22,586.03 ჰა. დარიცხული ქულების ოდენობაა 11,293,017 ლარი. **2024-2025 წლების პროგრამის ფარგლებში,** ქულა დაერიცხა 60,715 უნიკალურ ბენეფიციარს (მოსარგებლე ბენეფიციარების რაოდენობაა 105,458) და ფართობმა შეადგინა 41,980.92 ჰა. დარიცხული ქულების ოდენობაა 20,990,460 ლარი.

პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 26 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 344 851 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სახელმწიფო თანადაფინანსებაა 162 288 ლარი.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 198 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 41,952,874 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სახელმწიფო თანადაფინანსებაა 11,462,282 ლარი.

ენერგოეფექტური ღუმელების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში, 6,801 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 3,933,989 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სახელმწიფო თანადაფინანსებაა 1,940,269

ლარი.

მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 37 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 6,278,518 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სახელმწიფო თანადაფინანსებაა 3,238,510 ლარი.

სახელმწიფო პროგრამის – „ქართული ბოსტნეული სათბურებიდან“ – ფარგლებში, 184 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა ხელშეკრულება 242,287 კვ/მ სასათბურე მეურნეობის მოწყობაზე. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 18,117,700 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სახელმწიფო თანადაფინანსებაა 9,014,829 ლარი.

მეფუტკრეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 91 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 560,860 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სახელმწიფო თანადაფინანსებაა 275,160 ლარი.

ირიგაციით უზრუნველყოფილ მიწის ნაკვეთებზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, 361 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 2,853,257 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სახელმწიფო თანადაფინანსებაა 1,279,286 ლარი.

გურიისა და იმერეთის რეგიონებში დიდთოვლობის შედეგად დაზარალებული მეურნეობების დახმარების პროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, 39 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა ხელშეკრულება. ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 1,089,504 ლარი, საიდანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული სახელმწიფო თანადაფინანსებაა 1,079,325 ლარი.

არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის 2025 წლის პროგრამის ფარგლებში, შესყიდული არასტანდარტული ვაშლის რაოდენობამ 40,107 ტონა შეადგინა, ხოლო სუბსიდიის თანხამ – 4 მილიონ ლარზე მეტი.

ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, 77-მა ქართულმა კომპანიამ მონაწილეობა მიიღო სასოფლო-სამეურნეო მიმართულების 9 საერთაშორისო გამოფენაში.

ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ბაზრების დივერსიფიკაციის მიზნით, ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო 48 საერთაშორისო გამოფენა-ფესტივალსა და 200-მე მეტ დეგუსტაცია-პრეზენტაციაზე მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში. გარდა ამისა, ღვინის გამოფენები, კონკურსები და ფესტივალები გაიმართა საქართველოს მასშტაბითაც, რომლის ფარგლებში, ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო 32 ადგილობრივ გამოფენა-ფესტივალზე.

ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოში 19 ტური გაიმართა. ტურის ფარგლებში, ღვინის უცხოელი მაგისტრების, იმპორტიორების, ჟურნალისტებისა და ინფლუენსერებისგან შემდგარი სხვადასხვა ჯგუფი ღვინის მწარმოებელ კომპანიებსა და მარნებს ესტუმრა, ღვინის მაგისტრების მიერ შერჩეულ ღვინოებზე შეფასებები გამოქვეყნდა უცხოურ გამოცემებში, ასევე დაიბეჭდა სამეცნიერო სტატიები.

2026 წლის 8 მაისს პირველად აღინიშნა **ღვინის ეროვნული დღე,** სადაც ქართველებთან ერთად, ღვინის სექტორში მოღვაწე უცხოელმა პროფესიონალებმაც მიიღეს მონაწილეობა.

2025 წელს საქართველოდან ექსპორტირებულია 550 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ღვინო და სპირტიანი სასმელები. საქართველოდან მსოფლიოს 71 ქვეყანაში ექსპორტირებულია 90 მლნ-მდე ლიტრი, 268 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ღვინო. მსოფლიოს 55 ქვეყანაში ექსპორტირებულია 41 მილიონი ლიტრი სპირტიანი სასმელი. სპირტიანი სასმელების ექსპორტიდან შემოსავლების სახით მიღებულია 282 მილიონ აშშ დოლარამდე.

2026 წლის პირველ კვარტალში ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ექსპორტში ზრდის ტენდენცია ფიქსირდება. **მსოფლიოს 51 ქვეყანაში ექსპორტირებულია 17,3 მლნ ლიტრი ღვინო,** რომლის ღირებულება 53,2 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა 5%-ით, ხოლო ღირებულება 7%-ით გაიზარდა.

ქართული ღვინის სტრატეგიული ბაზრებიდან 2026 წლის პირველ კვარტალში განსაკუთრებული ზრდა გერმანიაში დაფიქსირდა, სადაც ექსპორტმა 375 ათას ლიტრს მიაღწია, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 32%-ით მეტია. 9%-ით გაიზარდა ექსპორტი დიდ ბრიტანეთში და 86 ათას ლიტრს მიაღწია. ასევე, 4%-იანი ზრდა ფიქსირდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, სადაც ექსპორტირებულია 831 ათასამდე ლიტრი ღვინო.

2026 წლის პირველ კვარტალში **სპირტიანი სასმელების ექსპორტი** 38 ქვეყანაში განხორციელდა. ჯამში, ექსპორტირებულია 7,6 მლნ ლიტრი, 56,5 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია. ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი 3%-ით გაიზარდა.

„რთველი 2025-ის" ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, 730 კომპანიის მიერ გადამუშავდა 340 ათასამდე ტონა ყურძენი, რაც ბოლო 30 წლის მაქსიმალური მოსავალია.

სამომხმარებლო ბაზარზე მავნე სურსათის განთავსების ფაქტების შემცირების, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის მიზნით, ასევე, სურსათის წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე სურსათის ბიზნესოპერატორის საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობის აღმოფხვრისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება **სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი.**

ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, განხორციელდა 6 მილიონზე მეტი ვეტერინარული მანიპულაცია. 2013 წელთან შედარებით, ჯილეხისა და ცოფის გამოვლინება ცხოველებში შემცირდა, დაახლოებით, 93%-ით.

ქვეყნის მასშტაბით, ხორციელდება **სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ფიტოსანიტარიული მონიტორინგი და მათ წინააღმდეგ მიმართული მასშტაბური სახელმწიფო ღონისძიებები,** რომლის ფარგლებში, მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ, ჯამში, დამუშავდა 480 000 ჰექტარამდე ფართობი.

უწყვეტად მიმდინარეობს **ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული კონტროლი და სერტიფიცირება,** რომლის ფარგლებში, 2025-2026 წლებში

გაიცა 19 500 ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი 287 140.126 ტონა ექსპორტირებულ და 125 065.465 ტონა რეექსპორტირებულ მცენარეულ პროდუქციაზე.

ხორციელდება **პესტიციდებისა და სასუქების ხარისხის კონტროლი, რეგისტრაცია და რეალიზაციის წესების დაცვის მონიტორინგი, ფალსიფიკაციის პრევენციის მიზნით.** ამასთან, უსაფრთხოების სტანდარტების ამაღლების მიზნით, შეიქმნა პესტიციდების პროფესიული მოხმარების სასერტიფიკაციო სასწავლო პროგრამა.

2025 წლის ივნისიდან დღემდე სსიპ – სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაში დაინერგა **22 კვლევის მეთოდი,** საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

გაგრძელდა **სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის მიმართულებით ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გეგმით** გათვალისწინებულ ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება. საანგარიშო პერიოდში საკანონმდებლო დაახლოება განხორციელდა ევროკავშირის 11 სამართლებრივ აქტთან.

გრძელდება **საირიგაციო და სადრენაჟე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.** საანგარიშო პერიოდში 34,581 ბენეფიციართან არის გაფორმებული 59,895 განაცხადი, ხოლო განხორციელებული სარეაბილიტაციო პროექტების შედეგად სამელიორაციო მომსახურება გაუმჯობესდა 2,445 ჰექტარ მიწის ფართობზე.

საანგარიშო პერიოდში მდინარე **ილტოზე წყალსაცავის პროექტისთვის** დასრულდა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და გამოცხადდა ტენდერი დეტალური საინჟინრო პროექტის შესამუშავებლად.

საძოვრების მდგრადი მართვის დარეგულირების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, შემუშავდა საქართველოს კანონის პროექტი **„საძოვრების მართვის შესახებ“**, რომელზეც ასევე მომზადდა რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტი (RIA).

დაწყებულია **მდგრადი და ინკლუზიური სარწყავი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროექტის** განხორციელება.

შეიქმნა **მიწათსარგებლობისა და მიწათდაფარულობის ერთიანი გეომონაცემთა ბაზა,** რომელიც მოიცავს ქვეყნის მთელ ტერიტორიას, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა. საანგარიშო პერიოდში მონაცემები განახლდა 1 100 607 ჰა მიწის ფართობზე.

აქტიურად მიმდინარეობდა სასოფლო-სამეურნეო შინაური ცხოველების ჯიშური მიკვლევადობის ელექტრონული სისტემის დანერგვა, რომელიც დაუკავშირდება მათი იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის ერთიან ბაზას.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა თესლის ხანგრძლივი შესანახი ეროვნული გენეტიკური ბანკის ინფრასტრუქტურის მშენებლობა. ამასთან, თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების სისტემის ფარგლებში, ჩამოყალიბდა **სათესლე და სანერგე მეურნეობების ერთიანი რეესტრი.**

ნიადაგების საერთო მდგომარეობის შესწავლის, შეფასების, შესაბამისი გეომონაცემთა ბაზისა და ნიადაგის თემატური რუკების შექმნის, განახლებისა და დეტალიზაციის ფარგლებში, 2025 წელს დამუშავებულია 30 000 ჰა ფართობი, ხოლო ჯამში – 450 000 ჰა.

ფერმერთათვის ეფექტიანი საექსტენციო მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა დარგობრივი აგრარული ცოდნის გადაცემა, რომლის ფარგლებშიც, 9 რეგიონული სამსახურისა და 45 საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მიერ, საერთო ჯამში, გაწეულ იქნა 15,199 კონსულტაცია.

აგრარული დეფიციტური პროფესიების პოპულარიზაციის მიზნით, სსიპ – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ახორციელებს აგროსტიპენდიის პროგრამას. საანგარიშო პერიოდში გაიცა 40 სტიპენდია.

2.10. ინფრასტრუქტურა

2.10.1. საგზაო ინფრასტრუქტურა

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, თბილისიდან ბათუმამდე მაგისტრალის მშენებლობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში დასრულდა საუკუნის პროექტის **– რიკოთის** მშენებლობა. პროექტის ფარგლებში, აშენდა 52 კილომეტრი სიგრძის ოთხზოლიანი ჩქაროსნული მაგისტრალი, 51 გვირაბი და 97 ხიდი. აღნიშნული მაგისტრალური გზის ექსპლუატაციაში გაშვებამ 8 კილომეტრით შეამცირა მგზავრობის მანძილი და გაანახევრა გადაადგილების დრო. მოძრაობა გაიხსნა სამტრედია-გრიგოლეთის მე-3 ლოტის 6 კმ-იან მონაკვეთზეც.

ამდენად, დასრულებული მაგისტრალების სიგრძემ შეადგინა 383 კმ, მათ შორის, აღმოსავლეთ-დასავლეთის დასრულებული ჩქაროსნული მაგისტრალის სიგრძეა 319 კმ.

ბათუმი-სარფის გზის მონაკვეთის მშენებლობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება აზიის განვითარების ბანკთან (ADB) და ამჟამად მიმდინარეობს საერთაშორისო ტენდერი როგორც სამშენებლო სამუშაოების, ისე საზედამხედველო მომსახურების შესყიდვის მიზნით.

ასევე მიმდინარეობს **სტეფანწმინდა-გველეთის მონაკვეთის** მშენებლობა.

კახეთის მაგისტრალის მშენებლობის მიმართულებით, ბადიაური-ჩალაუბნის, ჩალაუბანი-ბაკურციხისა და გურჯაანის შემოვლითი-თელავის მონაკვეთებისთვის, დასრულდა მოლაპარაკებები მსოფლიო ბანკთან (WB), სასესხო ხელშეკრულების გაფორმების მიზნით.

2.10.2. წყალმომარაგება

საანგარიშო პერიოდში დასრულდა პროექტები, რომლის შედეგად, დამატებით სამი ქალაქი უზრუნველყოფილია 24-საათიანი წყალმომარაგებით. შესაბამისად, კომპანიის დაფარვის არეალში მყოფი ქალაქების 65% – ანუ 31 ქალაქი სარგებლობს სტანდარტის შესაბამისი უწყვეტი წყალმომარაგებით. გარდა ამისა, აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები დარჩენილი ქალაქების 24-საათიანი უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველსაყოფად.

სოფლების წყალმომარაგების მიზნით, 2025 წლის ნოემბერში გაფორმდა ახალი სასესხო ხელშეკრულება (აზიის განვითარების ბანკთან (ADB)) – შედეგებზე ორიენტირებული სესხი

(RBL), რომელიც მიზნად ისახავს კომპანიის დაფარვის არეალში მყოფი, ძირითადად, სოფლის მოსახლეობის სტანდარტის შესაბამისი უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფას.

საანგარიშო პერიოდში, ქვეყნის მასშტაბით, 100-ზე მეტ ლოკაციაზე განხორციელდება 400 მილიონი ევროს ოდენობის ინვესტიცია, რის შედეგადაც, დაფარვის არეალში მყოფ დასახლებებში მცხოვრები 150 000-ზე მეტი ბენეფიციარი ისარგებლებს სტანდარტის შესაბამისი უწყვეტი წყალმომარაგებით. საანგარიშო პერიოდში, პირველი ეტაპით გათვალისწინებულ 12 პროექტზე უკვე გაფორმდა საპროექტო მომსახურების ხელშეკრულებები, რომელთა დასრულების შემდგომაც, დაიწყება შესაბამისი სამშენებლო სამუშაოები.

2.10.3. სივრცითი განვითარება და სამშენებლო პოლიტიკა

საანგარიშო პერიოდში, სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის მიმართულებით, მიმდინარეობდა **15 ტერიტორიული ერთეულის სივრცის დაგეგმარების/ქალაქთმშენებლობითი გეგმის შემუშავება.**

საანგარიშო პერიოდში დამტკიცდა სხვადასხვა მუნიციპალიტეტისა და ადმინისტრაციული ერთეულის სივრცის დაგეგმარებისა და განაშენიანების გეგმები, რაც ხელს უწყობს ტერიტორიების მდგრად განვითარებას, სივრცითი მოწყობის გაუმჯობესებასა და ადგილობრივი განვითარების ეფექტიან დაგეგმვას. შემუშავდა და თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენილია **თიანეთის მუნიციპალიტეტისა** და მიმდებარე ტერიტორიების სივრცის დაგეგმარების გეგმა.

დაბა ბაკურიანისა და მიმდებარე დასახლებების გეგმარებითი ერთეულის სივრცის დაგეგმარების გეგმის შემუშავება/ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიისა და დიდი მიტარბის გეგმების ქალაქთმშენებლობითი გეგმების რევიზიის/შეფასების მიმართულებით, დამტკიცდა კონცეფცია და მიმდინარეობდა გეგმის შემუშავება.

დამტკიცდა **ქ. მცხეთის** გენერალური გეგმის კონცეფცია და მიმდინარეობდა ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების შემდგომი ეტაპების დაგეგმვა.

ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის მიმართულებით, მიმდინარეობდა კონცეფციის დამტკიცების პროცესი.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, გაგრძელდა სხვადასხვა მუნიციპალიტეტისა და ტერიტორიების სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება, მათ შორის, მიმდინარეობდა კვლევითი, ხედვისა და სტრატეგიული დოკუმენტების მომზადება და შეთანხმება, აგრეთვე განაშენიანების გეგმების კონცეფციების შემუშავება. **ევროკოდების** იმპლემენტაციის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სტანდარტად დარეგისტრირდა შემდეგი ევროკოდები და მათი შესაბამისი ეროვნული დანართები: ევროკოდი 9 – ალუმინის კონსტრუქციების დაპროექტება, ევროკოდი 6 – ქვის/აგურის წყობის კონსტრუქციების დაპროექტება, ევროკოდი 3 – ლითონის კონსტრუქციების დაპროექტება და ევროკოდი 2 – ბეტონის კონსტრუქციების დაპროექტება.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, **ჰიდროტექნიკური ნაგებობების უსაფრთხოების ნორმების შემუშავებისა და მონიტორინგის სისტემის** ჩამოყალიბების ფარგლებში, შემუშავდა „ჰიდროტექნიკური ნაგებობების უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის პროექტი.

2.11. გარემოს დაცვა

სტიქიური რისკების შემცირებისა და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული **ადრეული შეტყობინების სისტემების** განვითარებაში.

- ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვება უწყვეტ რეჟიმში წარმოებდა 271 სადგურსა და საგუშაგოზე.
- საფრთხეების მონიტორინგისა და ადრეული შეტყობინების სისტემების განვითარების მიმართულებით, გაგრძელდა თანამშრომლობა შვეიცარიულ კომპანია GEOTEST AG-თან, რომლის ფარგლებში, იდენტიფიცირდა მყინვარული და პერიგლაციალური პროცესებით გამოწვეული რისკები და განისაზღვრა მაღალი რისკის შემცველი უბნები. მიმდინარე წლის მაისის ბოლოს გაფორმდა ხელშეკრულება შვეიცარიულ კომპანია GEOTEST AG-თან ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მეწყრის მონიტორინგის სისტემის მონტაჟსა და რამდენიმე შერჩეულ ლოკაციაზე მონიტორინგისა და ადრეული გაფრთხილების სისტემის ტექნიკური მიზანშეწონილობის კვლევასა და დეტალური პროექტირების სამუშაოების განხორციელებაზე.
- ფინეთის მეტეოროლოგიურ სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში, გაგრძელდა თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს პროგნოზებისა და გაფრთხილებების უფრო სწრაფ და ეფექტიან გავრცელებას.

ასევე, გრძელდება სამუშაოები **წყალდიდობის პროგნოზირებისა და გეოლოგიური მონიტორინგის** სისტემების გაუმჯობესების მიზნით.

- აქტიურად გრძელდება წყალდიდობის პროგნოზირებისა და ადრეული შეტყობინების სისტემის დანერგვა თანამედროვე Delft-FEWS პლატფორმაზე, რომლის ფარგლებში, მიმდინარეობს ჰიდროლოგიური და ჰიდრავლიკური მოდელების, აგრეთვე ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელის ინტეგრაცია.
- 11 მეწყრულ უბანზე დამონტაჟდა თანამედროვე მონიტორინგული აპარატურა.
- მომზადდა 1151 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, სადაც შეფასებულია 1993 დასახლებულ პუნქტში მცხოვრები 3716 მოსახლის (კომლი) საკარმიდამო მიწის ნაკვეთის, საცხოვრებელი სახლისა და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური მდგომარეობა. შეფასებული ოჯახებიდან გეოლოგიურად მდგრად ადგილზე გადაყვანას დაექვემდებარა 885 ოჯახი, 168 მოქალაქეს მიეცა საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის და, ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით, საკარმიდამო ნაკვეთის მდგრად უბანზე ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის რეკომენდაცია, ხოლო 2663 ოჯახის შემთხვევაში, გაიცა მათ საკუთრებაში არსებულ საკარმიდამო ნაკვეთსა და საცხოვრებელ სახლზე პრევენციული დამცავი ღონისძიებების გატარების რეკომენდაცია.

წყლის რესურსების რაციონალური მართვის მიზნით, გრძელდება რეფორმა, რომლის ფარგლებში, მუშავდება მდინარეთა სააუზო მართვის გეგმები. საანგარიშო პერიოდში

შემუშავდა ალაზან-იორის გეგმა და მომზადდა მდინარე რიონისა და ენგურის სააუზო გეგმების პროექტები.

აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნად გაფართოვდა **წყლის რესურსების მონიტორინგის** სახელმწიფო ქსელი: ზედაპირული წყლის ხარისხის მონიტორინგი განხორციელდა 238 წერტილში, ხოლო 2026 წელს განხორციელდება 242 წერტილში; მიწისქვეშა წყლების მონიტორინგი განხორციელდა 74 წყალპუნქტზე. პარალელურად, დაიწყო „წყლის რესურსების მართვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამუშაოების მომზადება. ნიტრატებით დაბინძურებული ან დაბინძურების რისკის ქვეშ მყოფი მიწისქვეშა წყლების იდენტიფიცირების მიზნით, საანგარიშო პერიოდში პირველადი მონაცემები შეგროვდა 65 წყალპუნქტზე.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დაბინძურების შესამცირებლად, შემუშავდა და დამტკიცდა შავი ზღვის ზონის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2025 – 2027 წლების გეგმა. აგრეთვე, შემუშავდა 2027 – 2029 წლების ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის პროექტი დასავლეთის ზონისთვის. ქ. რუსთავში ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდა ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების 2026 წლის სამოქმედო გეგმა.

2025 წელს მიმდინარეობდა 10 ახალი **ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის** ავტომატური სადგურის განსათავსებლად საჭირო ღონისძიებები. განთავსდა 5 სადგური ფოთში, ოზურგეთში, თაზაქენდსა და ზესტაფონში (2 სადგური). მიმდინარე წლის ბოლოს, ჰაერის ხარისხის ავტომატური მონიტორინგის ქსელი 25 სტაციონარული და 3 მობილური სადგურით დააკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტებს. გარდა ამისა, 2026 წლიდან საქართველოს 48 ქალაქში ტარდება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ყოველკვარტალური ინდიკატორული გაზომვები.

სამრეწველო ემისიების სფეროში მიმდინარეობს 2023 წლის „სამრეწველო ემისიების შესახებ" საქართველოს კანონის აღსრულების ხელშეწყობა, რომელიც ითვალისწინებს ინტეგრირებული სანებართვო სისტემისა და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის (BAT) დანერგვას. კანონი 2026 წლიდან გავრცელდება ახალ საწარმოებზე, ხოლო არსებულებზე – ეტაპობრივად, 2031 წლამდე.

გრძელდებოდა მუშაობა **გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურების** დახვეწისა და გარემოსდაცვით სფეროში არსებული ნებართვების **„ერთი ფანჯრის"** პრინციპით გაცემის მიმართულებით: მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ". ასევე მიღებულ იქნა დადგენილება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ ანგარიშის შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე". განხორციელებული რეფორმის ფარგლებში, გარემოსდაცვით სფეროში არსებული ნებართვები გაიცემა სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, „ერთი ფანჯრის" პრინციპით. ასევე მიმდინარეობს ელექტრონული პორტალის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი სერვისების ერთიან ციფრულ პლატფორმაში ინტეგრირებას.

გაგრძელდება საწვავის ხარისხის კონტროლი, საავტომობილო ბენზინისა და დიზელის საწვავის ხარისხის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, გრძელდება მუშაობა **დაცული ტერიტორიების** გაფართოებისა **და** **განვითარების** მიმართულებით:

- საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტმა მიიღო „რაჭის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები, რომლის თანახმად, დაარსდა რაჭის დაცული ლანდშაფტი – 50240,4 ჰექტარი; 5 ბუნების ძეგლი: საკიშორე, შარეულა, უშოლთა, კიდობანა, მურადის მღვიმეები, ასევე გაფართოვდა რაჭის ეროვნული პარკი 4759 ჰა-ით და გახდა 55 594 ჰა; ჯამში, რაჭის დაცული ტერიტორიების ფართობია: 105 834.4 ჰა.
- განხორციელდა ცვლილება „არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში და არაგვის დაცული ლანდშაფტი გაფართოვდა 3638 ჰა-ით.
- შემუშავდა სამეგრელოს დაცული ტერიტორიების შექმნის მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის შეფასების დოკუმენტი, ასევე კანონპროექტი „ეგრისის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ“.
- განხორციელდა კვლევები და გრძელდება მუშაობა სვანეთის, ლეჩხუმისა და კახეთის დაცული ტერიტორიების დაარსებასთან დაკავშირებით.

ჯამში, საანგარიშო პერიოდში, **დაცული ტერიტორიების ფართობი** გაიზარდა **58 637.4** ჰექტარით. 14 დაცულ ტერიტორიაზე მოეწყო/რეაბილიტაცია ჩაუტარდა ეკოტურისტულ ინფრასტრუქტურას.

ტყისთვის საჭირო ღონისძიებების გრძელვადიანი დაგეგმვისა და ტყის რესურსებით მდგრადი სარგებლობის მიზნით, ინტენსიურად მიმდინარეობს ქვეყნის მასშტაბით ტყის აღრიცხვის (ინვენტარიზაციის) სამუშაოები.

- საანგარიშო პერიოდში, მართვის გეგმების მომზადების მიზნით, ტყის ინვენტარიზაციის საველე სამუშაოები განხორციელდა ჯამში – 126 000 ჰა ფართობზე. მიმდინარეობს სახელმწიფო შესყიდვა, 6 სატყეო უბნისთვის ტყის ინვენტარიზაციისა და მართვის გეგმების მომზადების მომსახურების შესყიდვის მიზნით, 146 000 ჰა ფართობზე. გაფორმდა ხელშეკრულებები ტყის ინვენტარიზაციისა და 10-წლიანი ტყის მართვის გეგმების შემუშავებისთვის 92 000 ჰა ფართობზე.
- სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მოეწყო 10 236,5 მ და რეაბილიტირდა 88 864 მ სატყეო გზა. დასრულდა 1 საქმიანი ეზოს მშენებლობა იმერეთში, გრიგალათში.
- ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებები განხორციელდა 3355.1 ჰა ფართობზე, აქედან 1733.9 ჰა – ახალი პროექტების ფარგლებში და 1621.2 ჰა – გასულ წლებში დაწყებული პროექტებისა და მიმდინარე ღონისძიებების ფარგლებში. 2026 წელს ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებების განხორციელების მიზნით, 2306.5 ჰა ფართობისთვის მიმდინარეობს ტყის აღდგენა-გაშენების პროექტების მომზადება.

სპეციფიკური ნარჩენების შეგროვების სეპარირებული სისტემის დანერგვის მიზნით, შემუშავდა ტექნიკური რეგლამენტების პროექტები „შეფუთვის ნარჩენების მართვის შესახებ“ და „ხმარებიდან ამოღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვის შესახებ“.

გრძელდება მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებების (მგვ) განხორციელება, რომლის ფარგლებში, ამ ეტაპზე რეგისტრირებულია 20 819 მწარმოებელი/იმპორტიორი.

მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტების **სახიფათო ნარჩენების სარკოფაგის მშენებლობა.** საანგარიშო პერიოდში მოეწყო 50500 m^3 მოცულობის დარიშხანის შემცველი ნარჩენების კონსერვირებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სარკოფაგი.

მიმდინარეობს ორი ახალი რეგიონული არასახიფათო **ნარჩენების განთავსების ობიექტის სამშენებლო სამუშაოები** (ქვემო ქართლი და სამეგრელო-ზემო სვანეთი).

მიმდინარეობს **4 ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის** მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები. მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის ასაშენებლად შერჩეული და დარეგისტრირებულია მიწის ნაკვეთი. ასევე, დარეგისტრირდა მიწის ნაკვეთი კახეთის ახალი რეგიონული არასახიფათი ნარჩენების განთავსების ობიექტის ასაშენებლად. მიმდინარეობს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთისა და სამცხე-ჯავახეთის არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობისთვის მიწის კომპანიის საკუთრებად რეგისტრაციის პროცედურები.

გრძელდება **გარემოსდაცვითი განათლების ინტეგრირება ყველა საფეხურზე და დეფიციტური პროფესიების მხარდამჭერი პროგრამების განვითარება.** საანგარიშო პერიოდში გადამზადდა 537 სკოლამდელი განათლების წარმომადგენელი და შემუშავდა საგანმანათლებლო რესურსები VII – XII კლასების მასწავლებლებისთვის. პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, ხორციელდება **მწვანე სტიპენდიების პროგრამა,** რომლის ფარგლებშიც, გაიცა **32 სტიპენდია.**

გრძელდება მუშაობა გარემოსდაცვითი სამართალდარღვევების პრევენციის გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით:

- ზედამხედველობის დეპარტამენტის ცენტრალურ აპარატში შეიქმნა **წიაღით სარგებლობის კონტროლის სამსახური** და შემუშავდა **„გარემოსდაცვით რისკების შეფასების მეთოდოლოგია“.**
- მსხვილ ქალაქებში (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი) ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირებისა და ავტოტრანსპორტის მავნე ზემოქმედების პრევენციის მიზნით, გრძელდება გზებზე სატრანსპორტო საშუალებების ხილული გამონაბოლქვის მონიტორინგი.
- გრძელდება გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების ეკიპაჟების აღჭურვა და გადამზადება. ავტოპარკი განახლდა მაღალი გამავლობის ტრანსპორტით, პერსონალი სრულად აღიჭურვა თანამედროვე ციფრული საშუალებებით.
- მნიშვნელოვნად გაიზარდა გარემოსდაცვით ინსპექტორთა რაოდენობაც და 187 საშტატო ერთეული შეადგინა.

- **გარემოსდაცვითი ზედამხედველობის გამარტივებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით,** გრძელდება ციფრული სისტემების დანერგვა, რომლის ფარგლებში, შემუშავდა ელექტრონული საჯარიმო ქვითრების სისტემა.
- დაიწყო მუშაობა ციფრული ინსპექტირებისა და რისკებზე დაფუძნებული პატრულირების ელექტრონული სისტემის შექმნაზე.

3. სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება

3.1. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

3.1.1 ჯანმრთელობის დაცვა

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ჯანმრთელობას აღიარებს როგორც კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარების საფუძველს და ხელს უწყობს ხარისხიანი, **საყოველთაოდ ხელმისაწვდომი და სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანდაცვის სისტემის განვითარებას.**

საჭიროებებზე მორგებული სერვისებით უზრუნველყოფისა და ფინანსური რისკებისაგან დაცვის მიზნით, დღეისათვის **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით** მოცულია მოსახლეობის 95%. პროგრამის დაწყებიდან დღემდე, 3 მილიონ მოქალაქეს 12.5 მილიონი სამედიცინო შემთხვევა 8 მილიარდი ლარით დაუფინანსდა. უნივერსალური მოცვის მისაღწევად, ჯანდაცვაზე სახელმწიფო დაფინანსების ზრდისა და სერვისების ეფექტიანი დაგეგმვის შედეგად, უკანასკნელ დეკადაში 72-იდან 75 წლამდე გაიზარდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და მნიშვნელოვნად შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა (ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა 10.8-იდან (2012) – 7.6-ამდე (2025) და ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 12.4-იდან (2012) – 9.1-ამდე (2025)).

სერვისების თანაბარი განაწილების, რესურსების რაციონალური გამოყენებისა და სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, 2026 წლის იანვრიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ახალი სერვისის დამატებისთვის ან არსებული სერვისების მიწოდების შეწყვეტისთვის კრიტერიუმები და პირობები ამოქმედდა.

მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გაუმჯობესებისთვის გრძელდება **რეფერენტული ფასების** განსაზღვრა. დღეის მდგომარეობით, რეფერენტული ფასების კატალოგი აერთიანებს ფასებს 313 ნივთიერების 7 521 მედიკამენტზე. ინოვაციურ მედიკამენტებზე მწარმოებელთან პირდაპირი შესყიდვის მექანიზმების გამოყენებით შეძენილ იქნა 22 დასახელების ონკოლოგიური მედიკამენტი, აქედან 17 ერთი წყაროს პატენტით დაცული ინოვაციური/ორიგინალური ფარმაცევტული პროდუქტია, ასევე აქონდროპლაზიის, სპინალური კუნთოვანი ატროფიისა და გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტები. შედეგად, საქსტატის ინფორმაციით, სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზაციის ინდექსი, საშუალოდ, 67%-ითაა შემცირებული.

ონკოლოგიური დაავადებების მართვა და ეფექტიანი მკურნალობა სახელმწიფოსთვის კვლავ

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება. მას შემდეგ, რაც საქართველოს ყველა მოქალაქისთვის შესაძლებელი გახდა ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით (ქიმიო, ჰორმონო და იმუნოთერაპია) სრულიად უფასოდ – ლიმიტის გარეშე სარგებლობა, კვლავ გაგრძელდა პაციენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მიდგომების დანერგვა. 2025 წელს განისაზღვრა ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპიის დროს ჩასატარებელი აუცილებელი გამოკვლევების ჩამონათვალი და მომსახურების ტარიფები, მოიხსნა ე. წ. სატარიფო არეალის პრინციპი და მომსახურება ყველა სამედიცინო დაწესებულებაში უწყების მიერ დადგენილი ტარიფებით ანაზღაურდება. მკურნალობის პროცესში აუცილებელ გამოკვლევებს კი, სახელმწიფო სრულად აფინანსებს.

კიბოს ადრეული გამოვლენის მიზნით, ქვეყანაში უზრუნველყოფილია **კიბოს სკრინინგის** პროგრამები. დაინერგა საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი პაპილომავირუსის დნმ-ის (HPV დნმ) განსაზღვრის მაღალტექნოლოგიური მეთოდის გამოყენებით. 2025 წლის სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში, ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა ორგანიზებული სკრინინგის (ძუძუს, საშვილოსნოს, პროსტატის, კოლორექტული კიბოს, B და C ჰეპატიტების, აივ-ინფექციის/შიდსის, ჰიპერტენზიის, გლუკოზის სკრინინგები) კომბინირებული 72 აქცია, ხოლო 2026 წელს უკვე ჩატარებულია 37 აქცია.

ინკურაბელური პაციენტების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის 2025 წელს მომზადდა **„პალიატიური მოვლის“** სტანდარტი და ამ სერვისზე პაციენტის რეფერალის კრიტერიუმები.

ბავშვთა ონკოლოგიის სერვისების გაძლიერებისთვის ისრაელის, ესპანეთისა და თურქეთის კლინიკებთან ჩამოყალიბებული თანამშრომლობის ფარგლებში, განხორციელდა 0 – 18 წლამდე ბავშვთა ონკოლოგიური პროგრამის **43 ბენეფიციარის** საზღვარგარეთ პროვაიდერ კლინიკებში მკურნალობა, რაც დაფინანსდა **2.1 მლნ ლარით,** გამოჯანმრთელების მაჩვენებელი კი 90%-ს შეადგენს. გარდა აღნიშნულისა, **რეფერალური მომსახურების** პროგრამის საშუალებით იქმნება დამატებითი შესაძლებლობები, რათა ხელმისაწვდომი გახდეს ძვირადღირებული სამედიცინო მომსახურებები როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

გარდა ამისა, **სოლიდარობის ფონდის** შემოწირულობების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, საქართველოსა და უცხოეთის კლინიკებში მომსახურება მიიღო 0 – 21 წლამდე 66-მა ონკოლოგიურმა პაციენტმა, ჯამურმა ხარჯმა კი შეადგინა 1.2 მლნ ლარი.

2025 წლის ზაფხულში დაიწყო **პირველადი ჯანდაცვის სისტემის კომპლექსური რეფორმა,** რომელიც სრულად მორგებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის საჭიროებებზე. პჯდ საბაზისო პაკეტს დაემატა ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები. კაპიტაციის უნიფიცირებული მოდელი ჩანაცვლდა ასაკ-სპეციფიკური კაპიტაციით, გაიზარდა მისი მოცულობა და ჯამურად 4.20 ლარი შეადგინა.

გარდა ამისა, ამოქმედდა **შედეგზე დაფუძნებული დაფინანსების სისტემა** 0-იდან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა ადრეულ განვითარებაზე მეთვალყურეობისა და ქრონიკული დაავადებების მართვის გაუმჯობესების მიზნებისთვის.

დაფინანსების განახლებული მოდელის დანერგვა 3 ეტაპად განხორციელდება და დასრულდება 2028 წელს, სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის მიმწოდებლების ჩართვით. 2025 წლის 1 ივლისიდან დაფინანსების განახლებული მოდელი საპილოტე რეჟიმში

უკვე ამოქმედდა 6 დაწესებულებაში. 2026 წლის მაისში, პირველ ეტაპზე, ჩაერთო 42 პჯდ დაწესებულება, რომელთაც დააკმაყოფილეს ჩართვის წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმები.

სოფლად ექიმებისა და ექთნებისთვის კვლავ გრძელდება **ხელფასების ყოველწლიური ზრდის** ტენდენცია. 2026 წელს სოფლის ექიმის ყოველთვიური ხელფასი განისაზღვრა 1 462.50 ლარით (ნაცვლად 1 362.50 ლარისა), ხოლო სოფლის ექთნის/ფერშლის – 1 218.75 ლარით (ნაცვლად 1118.75 ლარისა). დასაქმდა 48 სამედიცინო პერსონალი, მათ შორის, 27 ექთანი და 21 ექიმი.

სოფლად ამბულატორიული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის, აშენდა 12 სოფლის ამბულატორია, გამრიცხველიანდა (გაზი, წყალი, ელექტროენერგია) 36, გაზმომარაგების შიდა ქსელი მოეწყო 94-ში, სამედიცინო და საოფისე ინვენტარით განახლდა და აღიჭურვა 60 ამბულატორია.

ტელემედიცინის სერვისების მიწოდების გაფართოების მიზნით, მიმდინარეობს სამედიცინო დაწესებულებების ციფრული ტექნოლოგიებით აღჭურვა. უკვე 110 სოფლის ამბულატორიაში ინტეგრირებულია ტელემედიცინის აპარატურა, გაიზარდა ინტერნეტის სიჩქარე, გადამზადდა პერსონალი.

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის ფარგლებში, 2025 წლის ივლისიდან აჭარის რეგიონში გადამზადდა 500 ექიმი. ორსულთათვის, სამედიცინო პერსონალისა და მენეჯერებისთვის შემუშავდა და დაიბეჭდა სახელმძღვანელო, რომელიც უზრუნველყოფს ორსულის, მშობიარის, ახალგაზრდა დედისა და მათი ოჯახის წევრების ინფორმირებულ ჩართულობას ორსულობისა და მშობიარობის პროცესში.

ქვეყანაში კვლავ გრძელდება **C და B ჰეპატიტების ელიმინაციის პროგრამა**. 2026 წლის მონაცემებით, C ჰეპატიტზე სკრინინგული კვლევა ჩაუტარდა 3,211,640 პირს, მკურნალობაში ჩაერთო 94 000-ამდე ბენეფიციარი, განკურნების მაჩვენებელი შეადგენს 99%-ს. B ჰეპატიტის მართვის პროგრამის ფარგლებში, პირველადი სკრინინგი ჩაიტარა 24,239-მა პირმა, დამატებითი დიაგნოსტიკური კვლევები ჩაუტარდა 4,215 ბენეფიციარს, მკურნალობაში ჩაერთო 1,320 პაციენტი.

ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში დანერგილია ტუბერკულოზის, აივ-ინფექციისა და C-ჰეპატიტის ინტეგრირებული სკრინინგი.

2025 წლის ივლისში „სისხლის სამართლის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების შედეგად, **ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამას** დაემატა სავალდებულო მკურნალობის კომპონენტი, რომელიც ითვალისწინებს ექიმ ნარკოლოგის, ფსიქიატრის, ფსიქოლოგის კონსულტაციებს, ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას, მედიკამენტებით უზრუნველყოფას, ლაბორატორიულ კვლევებს.

ოპიოიდური ჩანაცვლებითი თერაპიული სერვისები ექსკლუზიურად სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ მეშვეობით ხორციელდება. 2025 წლის ოქტომბრიდან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების იმპორტსა და საბითუმო დისტრიბუციას მხოლოდ სახელმწიფოსთან აფილირებული სუბიექტები ახორციელებენ, ხოლო რეფერენტული ფასწარმოქმნის დანერგვამ მნიშვნელოვნად შეამცირა ფასნამატი და გაზარდა ხელმისაწვდომობა.

რეფერენტული **ფასწარმოქმნის მექანიზმის** მეშვეობით, მნიშვნელოვანად შემცირდა სპეკკონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტების ფასები. მაგალითად, გარკვეული მედიკამენტების საბითუმო ფასნამატი ადრე 600-იდან 800 პროცენტამდე მერყეობდა, ამჟამად კი, საბითუმო ფასნამატი 40%-ს არ აღემატება.

დიაბეტით დაავადებული 18 წლამდე ასაკის პირებისთვის ხელმისაწვდომია სისხლში გლუკოზის უწყვეტი მონიტორინგის უახლესი თაობის სისტემები (CGM). პროგრამის ფარგლებში შეძენილი მოწყობილობით ამჟამად სარგებლობს 1 200-ამდე ბავშვი. მათი სრულყოფილად გამოყენებისთვის დაიწყო მობილური სმარტფონების დაფინანსება და 2025 წელს გაცემულია 73 სმარტფონი. დიაბეტით დაავადებული ბავშვების საჭიროებების გათვალისწინებით, 2025 წელს პროგრამას დაემატა გლუკოზის უწყვეტი მონიტორინგის სისტემა – „FreeStyle Libre 2+" და უკვე გაიცა 97 ბენეფიციარზე.

გრძელდება ღვიძლისა და ძვლის ტვინის გადანერგვის ოპერაციების, ტრანსპლანტაციის წინა კვლევების, მაღალდოზირებული ქიმიოთერაპიის, ტრანსპლანტაციის შემდგომი პერიოდის მართვის დაფინანსება თანაგადახდის გარეშე, როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის კლინიკებში. საანგარიშგებო პერიოდში ძვლის ტვინის გადანერგვა ჩაუტარდა 74 პაციენტს, მათ შორის, 25 პაციენტის დაფინანსება განხორციელდა საზღვარგარეთის კლინიკებში. ღვიძლის გადანერგვის ოპერაცია ჩაუტარდა 12 პაციენტს. გამოყოფილი თანხა შეადგენს 12 მილიონ ლარზე მეტს.

ფსიქიკური დარღვევების ადრეული გამოვლენისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარეობს **პირველადი ჯანდაცვის სისტემაში ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების ინტეგრირება.** აღნიშნულის მიზნით, მომზადდა და დამტკიცდა ფსიქიკური ჯანმრთელობის მართვის 10-ზე მეტი კლინიკური გზამკვლევი. ფსიქიკური ჯანმრთელობის შერჩეული მდგომარეობების გამოვლენის, რეფერალისა და მსუბუქი შემთხვევების მართვაში გადამზადებულია პირველადი ჯანდაცვისა და ფსიქიატრიული სამედიცინო დაწესებულებების 530-ზე მეტი ექიმი და ექთანი.

„იშვიათი დაავადებებისა და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა" პროგრამის ფარგლებში, ცვლილებები შევიდა **გაფანტული სკლეროზისა და ცისტური ფიბროზის მქონე პაციენტების** სამედიცინო საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. კერძოდ, 2025 წლის 1 ივლისიდან დაიწყო გაფანტული სკლეროზით დაავადებული პაციენტების უზრუნველყოფა სპეციფიკური მამოდიფიცირებელი მედიკამენტებით, რომელთა მიღებისთვის ფინანსდება მედიკამენტის ინფუზია/კანქვეშა ინექცია და მეთვალყურეობა/მონიტორინგი დღის სტაციონარის პირობებში. ასევე, გათვალისწინებულია დაავადების გამწვავების მართვა და თავისა და ზურგის ტვინის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის (მრტ) ჩატარება. 2025 წლის აგვისტოდან **ცისტური ფიბროზით (მუკოვისციდოზით)** დაავადებულთათვის დაიწყო სპეციფიკური მედიკამენტების (კომბინირებული პრეპარატი – იპრატროპიუმ ბრომიდი მონოჰიდრატი/ ფენოტეროლ ჰიდრობრომიდი; აცეტილცისტეინი; ურსოდეოქსიქოლის მჟავა; საინჰალაციო/ინტრავენური ანტიბიოტიკები (კოლისტიმეთატის ნატრიუმი, ტობრამიცინი); ცხიმში ხსნადი ვიტამინების კომპლექსი (A, D, E, K); საინჰალაციოდ სტერილური ჰიპერტონული მარილიანი ხსნარი) შესყიდვა.

ჰიპერტენზიის გლობალური კამპანიის „მაისის გაზომვების თვის" ფარგლებში, რომელსაც საქართველო 2017 წლიდან შეუერთდა, 2025 წელს განხორციელდა ჰიპერტენზიის სკრინინგი ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

ქვეყნის მასშტაბით, ჰიპერტენზიის სკრინინგი ჩაუტარდა და რეკომენდაცია მიეწოდა 4,727 პირს.

პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად, იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა უზრუნველყოფს 13 დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინაციას 9 ვაქცინის გამოყენებით. 2025 წელს პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, ექიმის რეკომენდაციის საფუძველზე, ხელმისაწვდომი გახდა 18 წლისა და უფროსი ასაკის პირებისთვის. ამავე წელს გაფართოვდა B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროგრამა. 2026 წლიდან გაიზარდა პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ასაკობრივი ჯგუფი, ახლა უკვე ხელმისაწვდომია 27 – 45 წლის მამაკაცებისთვისაც.

შესწავლილ იქნა **დეფიციტური საექიმო სპეციალობები** და, იდენტიფიცირებული მიმართულებების შესაბამისად, დეფიციტურ სპეციალობებში სამუშაო გამოცდილების მქონე უმცროს ექიმებს მიეცათ სასერტიფიკაციო გამოცდებზე დაშვების უფლება და საექიმო სერტიფიკატის მოპოვების შესაძლებლობა.

დიპლომისშემდგომ განათლებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სარეზიდენტო მზადება უფინანსდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ 100 000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე პირებს პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში.

2024 წელს განხორციელდა **ექთნებისა და მეანი ექთნების** საკანონმდებლო აღიარება და მათი „რეგულირებად" პროფესიად განსაზღვრა. 2026 წლის თებერვლიდან ამოქმედდა ექთნებისა და მეან-ექთნების ელექტრონული რეესტრი, რომლის საშუალებით აღნიშნული პროფესიის პირები შეძლებენ დამოუკიდებელი საქმიანობის უფლების მოპოვებას.

პაციენტების უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფისა და ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ფარგლებში, ავტორიტეტული საერთაშორისო მააკრედიტებელი ორგანიზაციების მიერ აკრედიტაცია მინიჭებული აქვს 172 კლინიკას (სტაციონარების საერთო რაოდენობის 86%). 29 ჰოსპიტალი ივნისისთვის დაასრულებს საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესს. აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს ამბულატორიული და ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების აკრედიტაციისა და სერტიფიცირების პროცესი, რომელიც დასრულდება 2026 წლის 31 დეკემბერს.

საანგარიშგებო პერიოდში გადამზადდა და დასაქმდა 41 **პარამედიკოსი.** ავტოპარკის განახლების მიზნით, მიმდინარეობს 185 ერთეული (130 ცალხიდიანი, 30 რეანიმობილი, 25 ორხიდიანი) **სასწრაფო სამედიცინო** ავტომობილის შესყიდვის პროცედურები.

მედიკამენტების ხარისხისა და უვნებლობის კონტროლის ეროვნული შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, წამლის ხარისხის ლაბორატორიაში განხორციელდა 25 ნიმუშის 130 ანალიტიკური პარამეტრის შეფასება.

ანტიმიკრობული რეზისტენტობის (AMR) ზედამხედველობის გაუმჯობესების მიზნით, 2025 წელს ჩატარდა ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ვირუსის კვლევისთვის სრული გენომის სექვენირება. ამავე წელს დასექვენირდა SARS-CoV-2-ის 96 ნიმუშის სრული გენომის სექვენსი, A ტიპის გრიპზე დადასტურებული ცხვირ-ხახის ნაცხის ნიმუშები და სხვა.

„ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მომზადდა კანონქვემდებარე აქტები. გრძელდება სისხლის დაწესებულებების კომერციულიდან არაკომერციულ ორგანიზაციებად გარდაქმნის

პროცესი. ამჟამად, 22-იდან 17 სისხლის დაწესებულება უკვე გარდაიქმნა არაკომერციულ ორგანიზაციად. კანონის შესაბამისად, **დაფუძნდა სისხლის ცენტრალური დაწესებულება,** რომელიც პასუხისმგებელი იქნება, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სისხლისა და მისი კომპონენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე.

3.1.2. სოციალური დაცვა

ქვეყანაში მოსახლეობის უფლებების რეალიზების, სიღარიბისგან გამოწვეული სოციალური რისკების შემცირების/განეიტრალებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით, უწყვეტად ხორციელდება მიზნობრივი ჯგუფების ასაკობრივი პენსიით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), მარჩენალდაკარგულთა, დევნილთა, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა, ომის ვეტერანთა, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებ პირთა და სხვა კატეგორიათა ფულადი დახმარებებით უზრუნველყოფა.

სახელმწიფო პენსიის ინდექსაციის წესის შესაბამისად, 2026 წლიდან 70 წლისა და მეტი ასაკის პენსიონერისთვის სახელმწიფო პენსია გაიზარდა 45 ლარით და შეადგინა 495 ლარი, ამავე კატეგორიის პენსიონერთა პენსია მაღალმთიან დასახლებებში 594 ლარს გაუტოლდა, ხოლო 70 წლამდე ხანდაზმულთათვის პენსია გაიზარდა 20 ლარით და შეადგინა 350 ლარი, მაღალმთიან დასახლებებში კი – 420 ლარი.

სახელმწიფო პენსიის ზრდის პარალელურად, 2026 წლიდან, ინდექსაციის პრინციპის გათვალისწინებით, 45 ლარით გაიზარდა სახელმწიფო კომპენსაციის მაქსიმალური ზღვარი და ნაცვლად 1 035 ლარისა, შეადგინა 1080 ლარი.

2026 წლიდან აქტიურად დაიწყო **სოციალურად დაუცველი ოჯახების** მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების გადამოწმების პროცესი, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად, რომლის მიზანია, სახელმწიფოს რესურსები რეალურად ხმარდებოდეს მხოლოდ იმ ადამიანებს, ვისაც ეს ნამდვილად სჭირდება.

მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, 2026 წლის მარტის მდგომარეობით, საარსებო შემწეობის მიმღებია 670 ათასამდე პირი, მათ შორის, ბავშვის ბენეფიტით სარგებლობს ყოველთვიურად 233 880-ამდე ბავშვი.

შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით, კვლავაც აქტიურად გრძელდება მუშაობა, როგორც ფულადი დახმარებების ზრდის, ასევე მხარდამჭერი მომსახურებების განვითარების კუთხით. 2026 წლიდან შშმ ბავშვებისა და მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისთვის სოციალური პაკეტის ოდენობა გაიზარდა 45 ლარით და შეადგინა 470 ლარი. მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირთა სოციალური პაკეტი განისაზღვრა 250 ლარით, ხოლო ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, რომლებსაც 18 წლის ასაკის შემდეგ დადგენილი აქვთ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი – 210 ლარით.

2025 წელს, შშმ პირთა **პანსიონატების ინდივიდუალური დეინსტიტუციონალიზაციის** გეგმის შესაბამისად, დუშეთის პანსიონატის დეინსტიტუციონალიზაციის ფარგლებში, 15 ბენეფიციარი იქნა გადაყვანილი ზუგდიდის, წყალტუბოსა და დუშეთის მცირე საოჯახო ტიპის ალტერნატიული ზრუნვის დაწესებულებებში.

ამავდროულად, დასრულდა ბედიანის შშმ პირთა პანსიონატის სივრცითი და ფუნქციური მოდერნიზაცია, რომელიც მოიცავდა პანსიონატის ტერიტორიაზე სამი ახალი საცხოვრებელი სახლისა და ერთი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობას.

ხანდაზმულთა და შშმ პირთა ინსტიტუციონალიზაციის პრევენციის, ოჯახის მხარდაჭერისა და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით, ქვეყანაში აქტიურად ვითარდება პერსონალური ასისტენტისა და შინმოვლის მომსახურებები. საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა მომსახურების მიწოდებაში ჩართვის მსურველი ორგანიზაციების რაოდენობა, რამაც განაპირობა მომსახურების მიწოდების გეოგრაფიული არეალის გაფართოება. 2025 წლის ივნისიდან პერსონალური ასისტენტის მომსახურებას ახორციელებს, დამატებით, 15 მიმწოდებელი, ჯამურად – 36 მუნიციპალიტეტში. მომსახურებაში ჩართულია 600-ზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

მზარდია **შინმოვლის სერვისის** გაფართოების დინამიკაც. საანგარიშო პერიოდში დარეგისტრირდა, დამატებით, 7 მომსახურების მიმწოდებელი. შესაბამისად, მომსახურების მიწოდების არეალმა მოიცვა 18 მუნიციპალიტეტი.

ყოველწლიურად იზრდება **„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“** ბიუჯეტი და 2025 წლისთვის პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 95 000 000 ლარს, მიმდინარე წლის პროგრამული ბიუჯეტი კი განსაზღვრულია 124 500 000 ლარით.

სახელმწიფოს მიერ გაცხადებული პოლიტიკის შესაბამისად, რომლის ამოცანაც ადგილობრივი სამუშაო ძალისა და შრომის ბაზრის ინტერესების დაცვაა, ცვლილებები შევიდა „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში. შედეგად, შრომითი იმიგრაციის რეგულირების თვალსაზრისით, დაიხვეწა არსებული სამართლებრივი ნორმები და შეიქმნა აღსრულების ახალი მექანიზმები, რის შედეგადაც, სახელმწიფოს გაუჩნდა არაკვალიფიციციური ან/და ჭარბი ოდენობის უცხოელთა საქართველოში დასაქმების რეგულირების მექანიზმი. ზემოაღნიშნული ცვლილებების პარალელურად, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე აქტებზე, რომლებიც აზუსტებს საკანონმდებლო ჩარჩოს მოქმედების ფარგლებს.

რაც შეეხება საშუამავლო კომპანიების საქმიანობას, 2025 წლის 1 მაისიდან 2026 წლის მაისამდე, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა და ნორმების შესაბამისად, საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის სერტიფიკატი მოიპოვა 14-მა საშუამავლო კომპანიამ.

საშუამავლო კომპანიების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, მათ მიერ 2025 წლის ივნისიდან დღემდე საზღვარგარეთ დასაქმდა საქართველოს 971 მოქალაქე.

საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, გაფართოვდა სსიპ – შრომის ინსპექციის სამსახურის, როგორც საზედამხედველო სახელმწიფო უწყების, მანდატი.

სსიპ – შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების ნორმების აღსრულებაზე განხორციელებული ზედამხედველობის ფარგლებში, განხორციელდა 8421 პირველადი და შემდგომი ინსპექტირება, მონიტორინგი 3944 ობიექტზე.

საანგარიშო პერიოდში **სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს რეგიონული სერვისცენტრების გაძლიერების მიზნით,** 2025 წელს გაიხსნა და დაკომპლექტდა იმერეთისა და

შიდა ქართლის რეგიონული სერვისცენტრები. ასევე, გაფართოვდა სერვისის მიწოდება მუნიციპალურ დონეზე და, დღეის მდგომარეობით, მომსახურების მიღება შესაძლებელია 16 მუნიციპალიტეტში.

2026 წლიდან, **„დასაქმების ხელშეწყობის 2026 წლის სახელმწიფო პროგრამის“** ფარგლებში, დაიწყო მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პირების დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტის განხორციელება.

გარდა ამისა, დიდი ყურადღება ექცევა **შშმ პირთა დასაქმებას.** 2025-2026 წლებში შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის შრომის ანაზღაურების სუბსიდირების კომპონენტის ფარგლებში, შენარჩუნდა ხელფასის 50%-იანი სუბსიდირება, თუმცა, ერთ ბენეფიციარზე ვაუჩერის მაქსიმალური ღირებულება **გაორმაგდა**, კერძოდ: 2025 წელს ნაცვლად 560 ლარისა, განისაზღვრა არაუმეტეს 893 ლარით, ხოლო 2026 წელს – არაუმეტეს 1,100 ლარით.

გაფართოვდა **სტაჟირების კომპონენტიც** და 2025 წლიდან თანაბარი პირობების არსებობისას, ახალგაზრდებთან, დევნილებსა და ქალებთან ერთად, უპირატესობა მიენიჭათ შშმ პირებს. ასევე, 2024 წლის შემდეგ, სტაჟირების კომპონენტის მონაწილეებისთვის 2,5-ჯერ გაიზრდა სტიპენდიის ოდენობა და ნაცვლად 200 ლარისა, 2025 წელს შეადგინა – თვეში 400 ლარი, ხოლო 2026 წლიდან გახდა – თვეში 500 ლარი.

სახელმწიფო აგრძელებს **დევნილთა ღირსეული საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფას.** 2025 წელს სახელმწიფოს მიერ საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა 4,636 დევნილი ოჯახი, საიდანაც 2,825 ოჯახი დაკმაყოფილდა ე. წ. „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში, ხოლო 1,627 ოჯახი განსახლდა ახალაშენებულ კორპუსებში ქ. ქუთაისში და ქ. თბილისში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქ. თბილისში საცხოვრებელი ბინები გადაეცათ იმ დევნილ ოჯახებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ე. წ. დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებში.

გარდა ამისა, ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცა 24,540 დევნილ პირზე, ხოლო 1,588 დევნილ ოჯახს დაერიცხა ფულადი დახმარება, დროებითი საცხოვრებლის დაქირავების მიზნით.

პარალელურად, გრძელდება სამშენებლო სამუშაოები, ქ. თბილისში (დარჩენილი 7 კორპუსი), ქ. რუსთავსა და ქ. ბორჯომში, სადაც მშენებლობის პროცესი დასასრულს უახლოვდება და მიმდინარე წელს 2500 მეტი ოჯახის განსახლება იგეგმება.

ასევე აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს იგეგმება ქ. ქუთაისში 118 ოჯახისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი ფართის მშენებლობის დაწყება.

აქტიურად მიმდინარეობს **ეკომიგრანტთა განსახლების** ღონისძიებები. სახელმწიფოს მიერ 2025 წელს უზრუნველყოფილ იქნა 783 ეკომიგრანტი ოჯახი, ხოლო 2026 წელს – 451 ოჯახი.

გრძელდება **უსახლკარო/მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახ(ებ)ის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა.** დღეის მდგომარეობით, დადებითი გადაწყვეტილება მიღებულია 1,200-ზე მეტ ოჯახთან დაკავშირებით, საიდანაც საცხოვრებელი სახლი უკვე შესყიდულია 611 ოჯახისათვის.

სახელმწიფო აგრძელებს დევნილთა და ეკომიგრანტთა დასაქმებისა და საარსებო წყაროებზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამებს, რომლის ფარგლებში, ბენეფიციარებს გადაეცემათ პროფესიული და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ნერგები, სათბურები და სხვა. 2025 წელს

პროგრამებით ისარგებლა 963-მა იძულებით გადაადგილებულმა პირმა. 2026 წელს უკვე მხარდაჭერილია 120-ამდე პირი.

აქტიურად ხორციელდება **„საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამა“,** რომლის ფარგლებშიც, 2025 წელს მოხდა 600-ზე მეტი დაბრუნებული მიგრანტის მხარდაჭერა სხვადასხვა სარეინტეგრაციო სერვისით. 2026 წლის პირველ კვარტალში, პროგრამაში რეგისტრირებულია 500-ამდე დაბრუნებული მიგრანტი, საიდანაც უკვე დაფინანსდა 130-ამდე ბენეფიციარი.

დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის პროგრამის პარალელურად, სახელმწიფო ახორციელებს **„საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა ინტეგრაციის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამას“,** რის ფარგლებშიც, ბენეფიციარები სარგებლობენ ცხრა სხვადასხვა ტიპის სერვისით.

3.2 განათლება, მეცნიერება, ახალგაზრდობის პოლიტიკა

3.2.1 განათლება

ადრეული და სკოლამდელი განათლება

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო **სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის** გაზრდას. გაგრძელდა სასკოლო მზაობის პროგრამების მხარდაჭერა და განვითარება. დღეის მდგომარეობით, საქართველოში ფუნქციონირებს 2000-ზე მეტი საჯარო და კერძო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. 2025 წელს დასრულდა სხვადასხვა სკოლის შენობაში დამატებული სასკოლო მზაობის **150 ჯგუფის** აღჭურვა და აღმზრდელების გადამზადება. ქვეყანაში მოსახლეობის უფლებების რეალიზების, სიღარიბისგან გამოწვეული სოციალური რისკების შემცირების/განეიტრალებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით, უწყვეტად ხორციელდება მიზნობრივი ჯგუფების ასაკობრივი პენსიით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), მარჩენალდაკარგულთა, დევნილთა, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა, ომის ვეტერანთა, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებ პირთა და სხვა კატეგორიათა **ფულადი დახმარებებით უზრუნველყოფა.**

სკოლამდელი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში ავტორიზაციის პროცესი გაიარა 104-მა საბავშვო ბაღმა, მათ შორის, 103-მა საჯარო და 1-მა კერძო დაწესებულებამ. ამასთან, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 126 ადრეული ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის პროცესი.

არაქართულენოვანი, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვებისთვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობისა და საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, 2025-2026 სასწავლო წელს არაქართულენოვანი სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რაოდენობა 56-იდან 80-ამდე გაიზარდა. 2025 წლის შემოდგომის მდგომარეობით, 80 არაქართულენოვანი სკოლამდელი დაწესებულებიდან ბილინგვურ პროგრამაში უკვე ჩართულია 66 დაწესებულება.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომის ღირსეული ანაზღაურების სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, 2025 წელს დაიწყო აღმზრდელ-პედაგოგის ახალი სახელფასო პოლიტიკის შემუშავება.

ზოგადი განათლება

2025 წელს საზოგადოებას წარედგინა **ზოგადი განათლების სისტემის რეფორმის ეროვნული კონცეფცია,** რომელიც არსებული გამოწვევების საპასუხოდ მნიშვნელოვანი სიახლეების დანერგვის საფუძველი გახდა. ხედვა მიმართულია ფუნდამენტურ და ღირებულებით ცოდნის მიცემაზე დამყარებული სასწავლო პროცესის ხელშეწყობაზე, სასკოლო სახელმძღვანელოების ძირეულ გადახედვაზე, მრავალფეროვანი სასკოლო გარემოს უზრუნველყოფაზე, განათლების უწყვეტობის მხარდაჭერაზე, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე, ინკლუზიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებაზე, ასევე მართვისა და დაფინანსების მოქნილი მექანიზმის ჩამოყალიბებაზე.

2025 წელს დამტკიცდა **„მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“,** რომელიც ეფუძნება განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს.

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა ეფექტიანი, ინდივიდის საჭიროებაზე მორგებული, თანასწორობაზე დაფუძნებული ზოგადი **განათლების სისტემის დაფინანსების მოდელის** სამუშაო ვერსია.

მოსწავლეთა მხარდაჭერის, სასკოლო გარემოს გაუმჯობესებისა და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მიზნით, 2025 წელს ავტორიზაცია გაიარა 119-მა სკოლამ, ავტორიზებულია 569 და მიმდინარეობს 140 საჯარო სკოლის ეტაპობრივი ავტორიზაცია. ამასთანავე, საანგარიშო პერიოდისთვის ავტორიზებულია 206 კერძო სკოლა.

განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, აქტიურად ხორციელდება მოსწავლეთა ტრანსპორტირების მხარდაჭერა, რომლის ფარგლებშიც, ტრანსპორტირება უზრუნველყოფილია საქართველოს მაშტაბით 1290 საჯარო სკოლის 88 150 მოსწავლისთვის.

გრძელდება პირველკლასელთა და წარჩინებულ მოსწავლეთა **კომპიუტერით უზრუნველყოფა და მხარდაჭერა**. პროგრამის – „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში, 2025-2026 სასწავლო წლის პირველკლასელებისა და მათი დამრიგებლებისთვის შესყიდულ იქნა 56 000 ერთეული პორტაბელური კომპიუტერი/ბუქი.

2025 წლის 9 ოქტომბერს დამტკიცდა **„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების სტანდარტი“** და დაიწყო 1000 ერთეული ლაბორატორიული კომპლექტის შესყიდვისთვის საჭირო პროცედურები. 209 სკოლაში ფუნქციონირებს შესაბამისი რესურსით აღჭურვილი **STEAM კლუბი.** ამასთანავე, მიმდინარეობს STEAM ექსტრაკურიკულური პროგრამის პილოტირება 200-ზე მეტ საპილოტე სკოლაში.

სკოლებში ხარისხის უზრუნველყოფისა და განმავითარებელი შეფასებების, ასევე ეროვნული შეფასებების დანერგვის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, 12 სამიზნე საგანში შეიქმნა დავალებები და დადგინდა სტანდარტები.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთა ხელშეწყობის მიზნით, საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაციის I ეტაპი განკუთვნილია მხოლოდ აღნიშნული კატეგორიის პირთა ჩარიცხვისათვის. ამასთანავე, ინკლუზიური და სპეციალური განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მანდატურის სამსახური

აქტიურად განაგრძობდა მოსწავლეთა მხარდაჭერას. მთელი ქვეყნის მასშტაბით, მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრი წარმოდგენილია 13 ლოკაციაზე.

ინკლუზიური განათლების მიმართულებით, გადამზადდა 2 000-ზე მეტი მასწავლებელი და სპეციალისტი. შეიქმნა ტრენინგ-მოდულები დაწყებითი საფეხურის ქართულისა და მათემატიკის მასწავლებლებისთვის, ასევე, საგნობრივ ტრენინგ-მოდულებში ყურადღება გამახვილდა ინკლუზიური განათლების საკითხების ინტეგრირებაზე. ამასთანავე, ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, მაღალმთიან და ბარის შორეულ სოფლებში მივლინებულ იქნენ კონსულტანტ-მასწავლებლები.

2025-2026 სასწავლო წლისათვის ეროვნული სასწავლო გეგმა **ბილინგვური** მიდგომით ინერგება 206 (88%) არაქართულენოვან საჯარო სკოლაში/სექტორზე. ამ მიზნით, შემუშავდა სპეციალური პროგრამები და გადამზადდა 206 სკოლის 770 ბილინგვური სწავლების სპეციალისტი. განახლდა სატრენინგო მოდულები და შეიქმნა გზამკვლევი ორენოვანი წიგნიერების განვითარებისათვის, როგორც მშობლიური ენის, ისე ბილინგვური მასწავლებლებისათვის. ასევე, 2025 წელს ყველა არაქართულენოვან საჯარო სკოლას დაემატა ქართული სექტორი.

2026 წლიდან 22 300 ადმინისტრაციულ ტექნიკურ პერსონალს ხელფასი 20%-ის ფარგლებში გაეზარდა.

პროფესიული განათლება

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში დაფუძნდა ორი კოლეჯი (სსიპ – კოლეჯი „თორი"; სსიპ – ბოლნისის კოლეჯი); მიმდინარეობდა გურჯაანში გასტრონომიის აკადემიის, ხოლო ბათუმში – სსიპ – კოლეჯ „ბლექსის" ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა.

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, საჯარო სკოლებში ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დაინერგა, დამატებით, 63 საჯარო სკოლაში. წლის განმავლობაში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჯამურად ჩაირიცხა 19 742 პირი, ხოლო პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე – 11 918 პირი. 2026 წლიდან პირველად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში დარეგისტრირებულ აბიტურიენტებს, უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების არჩევის შესაძლებლობა აქვთ. მათ შეუძლიათ, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ისწავლონ სახელმწიფოს დაფინანსებით, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში შეთავაზებულ 10 600-ამდე ადგილზე.

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა მუშაობა თბილისში ლოგისტიკისა და მშენებლობის მიმართულებით, **ექსელენს ცენტრის განვითარების მიზნით.** ასევე, დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები გურჯაანში, მეღვინეობისა და მევენახეობის მიმართულების ექსელენს ცენტრის განვითარების მიზნით. ექსელენს ცენტრებისათვის, ასევე, გათვალისწინებულია სტუდენტური საერთო საცხოვრებლების მშენებლობა.

ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნით, პროფესიული განათლების პორტალზე (vet.ge) სსსმ პირებისთვის უზრუნველყოფილია რეგისტრაცია და პროფესიულ პროგრამებზე კვოტირებული ჩარიცხვა გამოცდის გარეშე.

საანგარიშო პერიოდში გადამუშავდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც ამოქმედდება 2027 წლის 1 იანვრიდან.

უმაღლესი განათლება

შემუშავდა უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის ეროვნული კონცეფცია, რომლის თანახმად, ძირეულად შეიცვლება საკადრო პოლიტიკა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მაღალი კვალიფიკაციის აკადემიურ პერსონალს შორის ფუნქციები და ამოცანები სწორად გადანაწილდება, რაც აისახება როგორც საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე, ისე მაღალი ხარისხის სამეცნიერო კვლევის განხორციელებასა და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების მომზადებაზე.

დამტკიცდა 2026-2027 სასწავლო წლისათვის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, ერთიანი ეროვნული გამოცდებით/სამაგისტრო გამოცდებით და ერთიანი ეროვნული გამოცდების/სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე **მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა.**

საუნივერსიტეტო სისტემაში რესურსების ოპტიმიზაციის მიზნით, თბილისში, სხვადასხვა სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი ფაკულტეტები გადანაწილდა კონკრეტულ უნივერსიტეტებზე, ხოლო რეგიონულ უნივერსიტეტებში ყურადღება გამახვილდა ისეთ დარგებზე, როგორიცაა: **სოფლის მეურნეობა, აგრარული მიმართულებები, ვეტერინარია, ტურიზმი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები.**

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები ძირითადად 3-წლიან სწავლებაზე, ხოლო მაგისტრატურა 1+1 მოდელზე გადავიდა.

განისაზღვრა **წამყვანი პროფესორის პოზიცია,** რომელიც მიმართულების სამეცნიერო და სასწავლო პროცესს სრულად გაუძღვება და ყოველდღიურად იზრუნებს დარგის განვითარებასა და სწავლების ხარისხის ამაღლებაზე.

მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 2026-2027 სასწავლო წლიდან, **სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველ და მეორე საფეხურებზე ჩარიცხულ საქართველოს მოქალაქეს სწავლა სრულად დაუფინანსდება სახელმწიფოს მიერ.**

ეტაპობრივად გაიზარდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ზოგადი უნარების ტესტების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსება და 2025-2026 სასწავლო წლისთვის შეადგინა 900 000-900 000 ლარი.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე, სახელმწიფოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული სტუდენტისთვის სავალდებულო გახდა პირველივე სასწავლო წელს **სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის გავლა**, რომელიც შესული იქნება სახელმწიფოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში.

სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, აპლიკანტთა განცხადების საფუძველზე, ყოველწლიურად **300-ზე მეტ სპეციალური საჭიროების მქონე გამოსაცდელს** უქმნის შესაბამის საგამოცდო გარემოს.

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერითა და სახელმწიფო დაფინანსებით, შემუშავდა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ათენის კაპოდისტრიასის ეროვნული უნივერსიტეტის ერთობლივი სადოქტორო პროგრამა, განათლებისა და მეცნიერების მმართველობისა და ადმინისტრირების მიმართულებით, რომელმაც 2025-2026 სასწავლი წლისთვის მიიღო პირველი 10 სტუდენტი და მოიპოვა FIBAA-ს საერთაშორისო აკრედიტაცია.

საანგარიშო პერიოდში, **სტუდენტთა საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსების ხელშეწყობის მიზნით,** 2025-2026 აკადემიური წლის პროგრამების ფარგლებში, განხორციელდა 17 საგრანტო სასტიპენდიო პროგრამა. კონკურსში გაიმარჯვა და დაფინანსება მოიპოვა საქართველოს 240-მა მოქალაქემ.

3.2.2 მეცნიერება

საანგარიშო პერიოდში **მეცნიერების მხარდაჭერა გაგრძელდა ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების დაფინანსების, კვლევითი ინფრასტრუქტურის განახლების, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ახალგაზრდა მკვლევართა მხარდაჭერის მიმართულებით.** საანგარიშო პერიოდში, პროგრამის მონაწილე დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სახელფასო მუხლების მოცულობები გაიზარდა 10%-ის ფარგლებში. 2025 წელს 1.7 მილიონი ლარით დაფინანსდა 31 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

საჯარო-კერძო პარტნიორობის გაძლიერებისა და კვლევის შედეგების კომერციალიზაციის დაჩქარების მიზნით, შემუშავების პროცესშია ორი ახალი საგრანტო ინსტრუმენტი: „ინოვაციის ვაუჩერი“ და იმერეთის რეგიონის „ჭკვიანი სპეციალიზაციის“ მიმართულებით საგრანტო კონკურსი.

მრეწველობის სექტორში ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშეწყობის მიზნით, 2025 წელს გამოყენებითი კვლევების კონკურსისთვის გამოიყო 3 მილიონი ლარი, რომლის მიზანია ისეთი პროექტების დაფინანსება, რომლებიც ორიენტირებულია გამოგონებების, ახალი ტექნოლოგიების, საპილოტე ექსპერიმენტებისა და წარმოებაში დანერგვის კვლევების განვითარებაზე. კონკურსის ფარგლებში, დაფინანსდა 27 პროექტი, მათგან 5 ხორციელდება ბიზნესსექტორთან პარტნიორობით.

გაიზარდა **ქართველ მკვლევართა ჩართულობა ევროკავშირის პროგრამის – „Horizon Europe-ის“ საგრანტო კონკურსებში,** ERA-ს მიმართულებით საქართველომ შეავსო ფორმულარი და დანიშნა წარმომადგენლები ორი აქტივობის მიმართულებით: ღია მეცნიერება და კვლევის მენეჯმენტი. „ჰორიზონტი ევროპის“ ფარგლებში, საქართველოს მონაწილეობით დაფინანსებულია 67 პროექტი, რომლებშიც ჩართულია 57 ქართული ინსტიტუცია, გაიზარდა საქართველოს წარმატების მაჩვენებელიც.

რუსთაველის ფონდის საქმიანობის ფარგლებში, განხორციელდა საფრანგეთის, იტალიის, თურქეთის, სომხეთის, მოლდოვისა და გერმანიის სამეცნიერო ფონდებთან ორმხრივი საგრანტო პროგრამები, რომელთა ფარგლებში, დაფინანსდა 5 საერთაშორისო კვლევითი პროექტი და 38 ახალგაზრდა მეცნიერის კვლევითი მივლინება უცხოეთში.

ახალგაზრდების კვლევით საქმიანობაში ჩართულობის გაზრდის მიზნით, განხორციელდა ახალგაზრდა მეცნიერთა კვირეული, მეცნიერების ფესტივალი რეგიონებში. ასევე, ქართველ მეცნიერთა მიღწევების პოპულარიზაციის მიზნით, განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტივობა – მეცნიერების საერთაშორისო დღისადმი, მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღისადმი და ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

3.2.3 ახალგაზრდობის პოლიტიკა

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა და დაიგეგმა **ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების მრავალკომპონენტიანი ინოვაციური ეკოსისტემის ფორმირება,** რომელიც ეფუძნება ახალგაზრდების საჭიროებებზე მორგებულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და მონაწილეობრივ მიდგომებს.

საანგარიშო პერიოდში გაფართოვდა **ახალგაზრდული სერვისები,** მათ შორის, საგრანტო კონკურსებისა და სტაჟირების პროგრამები. ამასთან, გაგრძელდა და გაუმჯობესდა ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსების მიზნობრივი პროგრამები. საგრანტო პროექტების ფარგლებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობამ 8,000 პირდაპირ ბენეფიციარს მიაღწია.

2026 წელს, საგრანტო პროექტების დებულებაში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, კონკურსში – „ახალგაზრდული ცენტრებისა და სივრცეების განვითარება“ – მონაწილეობის უფლება მიენიჭათ როგორც ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, ისე მუნიციპალიტეტებს (მერიებს), რომლებიც ფლობენ ან კანონიერ სარგებლობაში აქვთ შესაბამისი სივრცე ახალგაზრდული ცენტრის მოსაწყობად.

განხორციელდა მასშტაბური სტუდენტური ფესტივალი „სტუდფესტი 2025“, რომელმაც გააერთიანა ავტორიზებული უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები სპორტულ, საგანმანათლებლო, კულტურულ და მოხალისეობრივ აქტივობებში. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 43 უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების 15 000-ამდე სტუდენტმა.

ახალგაზრდული ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა ახალი პროექტები: ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრის შექმნა; შაორის ბანაკის სრული რეაბილიტაცია; დმანისის არაფორმალური განათლების ცენტრის განახლება; ცხვარიჭამიაში ახალი საბანაკე სივრცის განვითარება.

2025 წლის ბოლოს სსიპ – ახალგაზრდობის სააგენტოს გადაეცა **ქალაქ ქუთაისში მდებარე შენობა, რომელშიც მოეწყობა „ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრი“.**

მთელი საქართველოს მასშტაბით, შესწავლილ იქნა **მუნიციპალიტეტებში არსებული ახალგაზრდული ცენტრებისა და სივრცეების მდგომარეობა,** რომლის საფუძველზეც, განხორციელდა ინფრასტრუქტურის კატეგორიზაცია და განისაზღვრა სამოქმედო გეგმები, მათი შემდგომი პროგრამული დატვირთვის, რეაბილიტაციისა და განახლების მიზნით.

2025 წელს, ივნის-ივლისის პერიოდში, განხორციელდა **ბანაკი უკრაინელი ახალგაზრდებისთვის,** რომელშიც 89 უკრაინელი ახალგაზრდა და მათი თანმხლები 10 პირი ჩაერთო.

2026 წლის მარტში ჩატარდა ღია კონკურსი – **„საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროში 2026“** და გამარჯვებულთან გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება.

3.3. კულტურა, სპორტი

3.3.1 კულტურა

გრძელდებოდა **კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების** მხარდაჭერა ლიტერატურის, თეატრის, მუსიკის, კინოს, სახვითი ხელოვნების, ეროვნული კულტურის საერთაშორისო პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის, კულტურის ხელმისაწვდომობისა და სახელოვნებო განათლების განვითარების მიმართულებით. პროგრამების: „კულტურის ხელშეწყობა“, „საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების მხარდაჭერა“ და „კულტურის ხელშეწყობა“ – სსიპ – შემოქმედებითი საქართველოს მიერ, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 1000-ამდე პროექტი, ხოლო პროგრამის – „მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის“ ფარგლებში – 44 პროექტი.

საანაგრიშო პერიოდში, კერძოდ, 2025 წლის 8 – 13 დეკემბერს, ინდოეთში, ქალაქ ნიუ-დელიში გამართულ UNESCO-ს მთავრობათაშორისო კომიტეტის მე-20 სესიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, **„ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“** კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში იქნა შეტანილი.

2026 წლის მარტში, UNESCO-ს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში შეტანის მიზნით, **გაიგზავნა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული კატეგორიის ძეგლის – „ქართული ხალხური ცხენოსნური თამაშობანი – ისინდი, ცხენბურთი, ყაბახი, მარულა“ – განახლებული ნომინაცია,** რომელიც მოიცავს UNESCO-ს სააღრიცხვო ბარათს, 10-წუთიან ფილმს, ფოტომასალასა და სხვ.

გაგრძელდა **ინსტრუმენტების ფონდის განახლება** სამუსიკო სასწავლებლებსა და მუსიკალურ ანსამბლებში/ორკესტრებში.

საანგარიშო პერიოდში **სტიპენდიებით უზრუნველყოფილი იყო საქართველოს 90 სახალხო არტისტი,** სახალხო მხატვარი და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, ხოლო სოციალური დახმარებით – 41 ლიტერატურისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. ერთჯერადი სოციალური დახმარება გაეწია 3 პირს.

2025 წელს სსიპ – საქართველოს ხელოვნების სასახლე – **კულტურის ისტორიის მუზეუმმა** მოიპოვა საერთაშორისო ტურისტული ჯილდო „International Travel Award“ და ლონდონის

წიგნის **ბაზრობაზე წარადგინა ორი გამოცემა** – „აღმოსავლური კოლექციები საქართველოში“ და „სამეგრელო – ქართული კულტურის ისტორიის ქრონიკები“. ამასთან, აღნიშნული გამოცემები გადაეცა ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და სამეფო აზიურ საზოგადოებას, რაც კიდევ უფრო უსვამს ხაზს ქართული კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო აღიარებას.

საანგარიშო პერიოდში **საქართველო აქტიურად თანამშრომლობდა მსოფლიოს წამყვან მუზეუმებთან:** საბერძნეთში გაიმართა სამეცნიერო ექსპედიცია, სადაც ქართველმა სპეციალისტებმა შეისწავლეს ბენაკის მუზეუმში დაცული ქართული კოლექციები, ხოლო საქართველოში, იტალიის საელჩოსთან თანამშრომლობით, ეროვნულ მუზეუმში ჩატარდა კონფერენცია იტალიური არქეოლოგიური პროექტების შედეგების წარდგენით.

საზღვარგარეთ ჩატარდა ქართული კულტურული მემკვიდრეობის/სახვითი ხელოვნების გამოფენები.

საანგარიშო პერიოდში სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ **განხორციელდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, კვლევისა და რეაბილიტაციის ღონისძიებები,** რომლებიც მიმართულია კულტურული პროცესების ხელმისაწვდომობის ზრდასა და სხვადასხვა ჯგუფის კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრაციის ხელშეწყობაზე.

ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მიმდინარეობს და მომზადდა არაერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის – მეჩეთების, სინაგოგისა და „ჩიქუნეთის ჯამის“ – სარეაბილიტაციო პროექტები, ასევე აღწერილ და ციფრულ ბაზაში შეტანილ იქნა რიგი რელიგიური ობიექტები. პარალელურად, მუზეუმებში გაიმართა მრავალფეროვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, გამოფენები და კონფერენციები, რაც ხელს უწყობს ეთნიკურ მრავალფეროვნებასა და კულტურათაშორის დიალოგის გაძლიერებას. **კულტურათაშორისი დიალოგის განვითარების, მრავალფეროვნების წარმოჩენის, გაზიარებისა და ხელშეწყობის მიზნით,** მხარდაჭერილი იყო მუზეუმებისა და თეატრების საქმიანობა და სხვადასხვა სახის ინტერკულტურული და სპორტული ღონისძიების განხორციელება, მათ შორის, მუნიციპალურ დონეზე (ჯამურად ჩატარდა 700-ამდე ღონისძიება).

საანგარიშო პერიოდში დასრულდა **27 მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სარეაბილიტაციო და კონსერვაციის სამუშაოები,** მათ შორის, ეკლესიების, კოშკების, ციხე-სახლებისა და ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსების. აღნიშნული პროექტები განხორციელდა მესტიის, დუშეთის, ყაზბეგის, ლენტეხის, ახმეტისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებში.

ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ განხორციელდა სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობა, მათ შორის, გამოფენები, ხსოვნის ღონისძიებები, ლექციები და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით პროექტები, აგრეთვე მომზადდა ფოტოგამოფენები. პარალელურად, სამეცნიერო ექსპედიციების ფარგლებში, შეისწავლეს ტრადიციული ქართული საცხოვრებლები, ჩატარდა მათი დოკუმენტირება და მასალა მზადდება ფუნდამენტური კვლევის გამოსაცემად.

საანგარიშო პერიოდში **მუზეუმებში განხორციელდა 566 საგანმანათლებლო პროგრამა,** განსაკუთრებული აქცენტით ბავშვების, ახალგაზრდებისა და შშმ პირების ჩართულობაზე. გაიმართა ინკლუზიური ექსკურსიები, გამოფენები, შემოქმედებითი და საგანმანათლებლო პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს უნარების განვითარებას, ცნობიერების ამაღლებასა და კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრაციას.

საანგარიშო პერიოდში **სამუზეუმო ფასეულობათა ელექტრონულ სისტემაში** დარეგისტრირდა 2718 ექსპონატი. ასევე მნიშვნელოვნად შეივსო მუზეუმების ფონდები – საქართველოს ეროვნულ მუზეუმს დაემატა 213, ხოლო სასახლე-მუზეუმების გაერთიანებას 2025 ახალი ექსპონატი.

განხორციელდა არაერთი **მუზეუმისა და კულტურული ობიექტის რეაბილიტაცია, მშენებლობა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა,** მათ შორის, მცხეთის, ნოქალაქევის, გრაკლიანი გორისა და „გადაჭრილი გორის" მუზეუმები. ასევე მიმდინარეობს სტეფანწმინდის მუზეუმის, ლევილის მამულისა და ჭიათურის თეატრის განახლება, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს კულტურული ინფრასტრუქტურის განვითარებას.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა და ნაწილობრივ დასრულდა **სარეაბილიტაციო და კონსერვაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება 9 კულტურული მემკვიდრეობის ობიექტზე,** მათ შორის, ციხეების, ეკლესიების, სამონასტრო კომპლექსებისა და თეატრის შენობისთვის.

მიმდინარეობს **სარეაბილიტაციო სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის 31 ობიექტზე,** მათ შორის, თეატრებზე, ეკლესიებზე, ციხე-კოშკებსა და სამონასტრო კომპლექსებზე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. პარალელურად, **დასრულებულია 30 ობიექტის რეაბილიტაცია** და კონსერვაცია, რაც მოიცავს როგორც მსოფლიო და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლებს, ისე ადგილობრივ კულტურულ მემკვიდრეობას.

განხორციელდა **21 არქეოლოგიური ობიექტის კვლევითი და კონსერვაციული სამუშაოები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში,** მათ შორის, დმანისის ნაქალაქარზე, გრაკლიან გორზე, ვაშნარის ნაქალაქარსა და სხვა მნიშვნელოვან ისტორიულ ადგილებზე. კვლევები ასევე ჩატარდა საზღვარგარეთ, იორდანიაში, რაც მიზნად ისახავდა კულტურული მემკვიდრეობის შესწავლასა და დაცვას.

საანგარიშო პერიოდში სსიპ – გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულმა კვლევითმა ცენტრმა **განახორციელა კვლევითი პროექტები,** მათ შორის, დაიწყო ისტორიული ლანდშაფტებისა და საპარკო ხელოვნების შესწავლა და დასრულდა ძველი თბილისის ურბანული მემკვიდრეობის კვლევა. პარალელურად, განვითარდა კულტურული მემკვიდრეობის მართვის ციფრული სისტემები და ელექტრონული სერვისები, გაფართოვდა მონაცემთა ბაზები, ასევე გაძლიერდა საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა წამყვან ინსტიტუტებთან.

ეტაპობრივად მიმდინარეობს და ნაწილობრივ დასრულდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის განახლება თეატრებში, მუზეუმებში, საგანმანათლებლო და კულტურულ დაწესებულებებში. დასრულდა არაერთი რეაბილიტაცია და კულტურული ობიექტების აღჭურვა (თეატრები, მუზეუმები, ლევილის ცენტრი, სახლ-მუზეუმები). ამჟამად

მიმდინარეობს მსხვილი პროექტების, მათ შორის, ოპერის, სამხატვრო აკადემიის, თეატრებისა და მუზეუმების ინფრასტრუქტურის განახლება და ტექნიკური აღჭურვა.

3.3.2 სპორტი

სახელმწიფო უზრუნველყოფს **სპორტული მოძრაობის აქტიურ მხარდაჭერას,** რომლის ფარგლებშიც, ფინანსდება სპორტსმენთა სპორტული მომზადება, საქართველოში ეროვნული და საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების გამართვა, საზღვარგარეთ საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში სპორტსმენთა მონაწილეობა და სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი.

მაღალი მიღწევებისა და მასობრივი სპორტის განვითარების პროგრამების ფარგლებში, სახელმწიფო დაფინანსება წელს, დაახლოებით, 260 მლნ ლარამდე შეადგენს, ხოლო ფულადი პრიზების გაცემისა და სტიპენდირების მიზნით, გათვალისწინებულია 40 მლნ ლარამდე დაფინანსება.

სპორტულ ობიექტებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, დაწყებულია 2 მილიარდი ლარის მოცულობის სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების ახალი პროგრამა, რომლის ფარგლებში, უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა სპორტული ობიექტის მშენებლობა.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა **ყინულის სასახლის** მშენებლობა, რომელიც განკუთვნილია ფიგურული ციგურაობისა და ყინულის ჰოკეისათვის; ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა სსიპ – საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრს; ლენტეხის მუნიციპალიტეტში 2026 წლის ივნისის თვეში დასრულდება „აილამას სამთო-ალპინისტური ბანაკის“ მშენებლობა. ამასთან, დასრულდა სსიპ – საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე შენობის პროექტირება და მომდევნო თვეებში დაიწყება სამშენებლო სამუშაოები (მშენებლობა დასრულდება 2028 წლის ბოლომდე).

საანგარიშო პერიოდში ქართველმა სპორტსმენებმა ისტორიულ შედეგს მიაღწიეს და **ჯამში – 1935 მედალი მოიპოვეს,** რაც 2024 წლის შედეგებთან შედარებით, 450 მედლით მეტია. შედეგები მზარდია მიმდინარე წელსაც, კერძოდ, პირველ კვარტალში ქართველმა სპორტსმენებმა უკვე **მოიპოვეს 298 მედალი,** რაც გაზრდილი რაოდენობაა გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით.

მასობრივი სპორტის მხარდაჭერის ფარგლებში, პირველად დაიწყო ქვეყნის მასშტაბით უპრეცენდენტო ახალგაზრდული სპორტული პროექტი – **„საქართველოს ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი“.**

საქართველო აგრძელებს მნიშვნელოვანი **საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების** მასპინძლობას, რაც ხელს უწყობს როგორც სპორტის, ისე ტურიზმის განვითარებასა და საქართველოს, როგორც ღირსეული და წარმატებული მასპინძლის, წარმოჩენას საერთაშორისო ასპარეზზე.

საანგარიშო პერიოდში საქართველოში წარმატებით გაიმართა **20-ზე მეტი საერთაშორისო სპორტული შეჯიბრი ოლიმპიური და არაოლიმპიური სპორტისა და პარალიმპიური სპორტის 16 სახეობაში**.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საანგარიშო პერიოდში გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები **განათლების ხარისხის გაუმჯობესების, პროგრამების განვითარების, კვლევის გაძლიერებისა და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიმართულებით,** მათ შორის, ახალი ფაკულტეტის („სპორტის მენეჯმენტი და ადმინისტრირება") შექმნით, სპორტის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შემუშავებით და მწვრთნელთა გადამზადების პროგრამების განხორციელებით.

სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, დასრულდა 4 პროექტი, მათ შორის, ქალაქ ახალციხეში დასრულდა თანამედროვე სტანდარტების სპორტული კომპლექსის მშენებლობა, რომელიც მოიცავს დიდ და მცირე საცურაო აუზებს. მრავალფუნქციური შენობა, საცურაო აუზების გარდა, მოიცავს ტრენაჟორების, ძალოსნობის, კრივისა და ჭიდაობის დარბაზებს, რაც უზრუნველყოფს როგორც ინდივიდუალური, ასევე გუნდური სპორტის მრავალფეროვან შესაძლებლობებს.

ამასთან, ქალაქ რუსთავში დასრულდა საფეხბურთო ტექნიკური ცენტრისა და ორი მოედნის მშენებლობა. პროექტის ფარგლებში, მოეწყო ორი ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედანი და ტექნიკური ცენტრი, რომელიც სრულად არის აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარითა და მოედნების მოვლისთვის საჭირო ტექნიკით. 200 მაყურებელზე გათვლილი სტადიონი სრულად არის ადაპტირებული განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებისთვის.

4. საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა

4.1 საგარეო პოლიტიკა

თანმიმდევრულად გაგრძელდა საქმიანობა **ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის** კონტექსტში. ძალისხმევა მიმართული იყო საერთაშორისო მხარდაჭერის კონსოლიდაციასა და პარტნიორების ჩართულობის გაღრმავებაზე, რათა რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, 2008 წლის 12 აგვისტოს ევროკავშირის შუამავლობით დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევები მუდმივად დარჩენილიყო საერთაშორისო დღის წესრიგის მაღალ დონეზე. საქართველოს საკითხი აქტიურად განიხილებოდა როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში. ამ მიზნით, ეფექტიანად გამოიყენებოდა საერთაშორისო პლატფორმები, სადაც საქართველო სისტემატურად აყენებდა ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ უსაფრთხოების, ჰუმანიტარულ და ადამიანის უფლებათა მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

გაიმართა **ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების** 64-ე, 65-ე და 66-ე რაუნდები, რომელთა ფარგლებშიც, ქართული მხარის აქტიური ძალისხმევითა და პარტნიორების მხარდაჭერით, ყურადღება გამახვილდა დღის წესრიგის ფუნდამენტურ საკითხებზე. მათ შორის იყო 2008

წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრულად შესრულება და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უზრუნველყოფა. 66-ე რაუნდის მოსამზადებელ პერიოდში შედგა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეების ვიზიტი საქართველოში, რაც მნიშვნელოვანი იყო ადგილზე არსებული ვითარების უშუალოდ გაცნობისა და საერთაშორისო ჩართულობის შენარჩუნების თვალსაზრისით.

საანგარიშო პერიოდში, **ერგნეთში გაიმართა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის** (IPRM) შვიდი შეხვედრა (125-137 რაუნდები). ამასთან, გალში აღნიშნული მექანიზმის შეხვედრები კვლავ შეჩერებულია 2018 წლიდან, რაც დამატებით ართულებს ადგილზე არსებული გამოწვევების ეფექტიანად მართვას.

გრძელდებოდა ინტენსიური მუშაობა **ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM)** გაძლიერებისა და მისი მანდატის სრულად განხორციელების ხელშეწყობის მიმართულებით, მათ შორის, მისიის შეუფერხებელი და სრულმასშტაბიანი წვდომის უზრუნველყოფის აუცილებლობის მუდმივი ხაზგასმით.

ამავე დროს, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა **არაღიარების პოლიტიკის განმტკიცებას, ოკუპირებულ რეგიონებში არსებული უკანონო პროცესების წინააღმდეგ საერთაშორისო საზოგადოების კონსოლიდაციასა და საოკუპაციო რეჟიმებთან უკანონო კონტაქტების პრევენციას**.

ოკუპირებულ რეგიონებში არსებული რეალობისა და მიმდინარე უკანონო ოკუპაციის თანმდევი გამოწვევების მიუხედავად, **საქართველოს მთავრობა ურყევად აგრძელებდა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ინტერესებზე ორიენტირებულ სამშვიდობო პოლიტიკას**, მათ შორის, ნდობის აღდგენისა და ჩართულობის სხვადასხვა, დეპოლიტიზირებული, სტატუს-ნეიტრალური მექანიზმის განხორციელების გზით, რაც შესაბამის შედეგებში აისახება.

შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის ფარგლებში, აქტიურად გრძელდებოდა ომით ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებას შორის კომუნიკაციის, სახალხო დიპლომატიის, სექტორული თანამშრომლობისა და ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელების მხარდაჭერა ყველა არსებული ფორმალური თუ არაფორმალური არხის მეშვეობით. საანგარიშო პერიოდში, **ოკუპირებული რეგიონების მიმართულებით, 25 ახალი ჰუმანიტარული და ნდობის აღდგენის პროექტი იქნა ინიციირებული,** ხოლო ჯამში – 70-ზე მეტი პროექტი განხორციელების პროცესშია.

შედეგზე ორიენტირებულ საქმიანობას განაგრძობდა სამშვიდობო ინიციატივით – „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ გათვალისწინებული ფინანსური მექანიზმი – „მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“. 2025 წელს ჩატარებული მეექვსე საგრანტო კონკურსის ფარგლებში, ფონდმა ოკუპირებული რეგიონებიდან მიიღო 62 კვალიფიციური ბიზნესგანაცხადი, საიდანაც დაფინანსდა 18 ერთობლივი ქართულ-აფხაზური/ქართულ-ოსური ბიზნესინიციატივა.

სამშვიდობო ინიციატივის მეორე პრიორიტეტული მიმართულების – **ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების ხარისხიან განათლებაზე წვდომის კუთხით,** 2025 წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ოკუპირებული ტერიტორიებიდან უგამოცდოდ ჩაირიცხა **164 სტუდენტი**; ამასთან, ქართულ ენაში

მომზადების საგანმანათლებლო, ე. წ. „1+4“ პროგრამის ფარგლებში, უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა **3 ოსურენოვანი ახალგაზრდა**, ხოლო საკუთარი სურვილით ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე – **6 ახალგაზრდა ოკუპირებული აფხაზეთიდან.** 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დაფინანსდა ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხული **679 სტუდენტი ოკუპირებული ტერიტორიებიდან.**

2025-2026 სასწავლო წელს **დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიით** უზრუნველყოფილია 5 სტუდენტი ოკუპირებული ტერიტორიებიდან. ამასთან, გაორმაგდა სტიპენდიის ოდენობა და ნაცვლად 300 ლარისა, შეადგინა 600 ლარი თვეში.

ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, 2025-2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სწავლის საფასურით დაფინანსდა 1254 სტუდენტი.

2025-2026 სასწავლო წლის პირველ სემესტრში **სოციალური სტიპენდიით** უზრუნველყოფილია გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები 421 სტუდენტი.

ეფექტიანად ფუნქციონირებდა სამშვიდობო ინიციატივით გათვალისწინებული **„სკოლისშემდგომი განათლებისთვის მომზადების პროგრამა“**. 2025 წელს პროგრამაში ოკუპირებული რეგიონებიდან **20 აბიტურიენტი** დარეგისტრირდა, ხოლო 2024 წელს პროგრამაში მონაწილე 18 აბიტურიენტიდან 16 ახალგაზრდა, პროგრამის წარმატებით გავლის შედეგად, 2025 წელს უმაღლეს სასწავლებელში სასურველ ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

გაგრძელდა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის სახელმწიფო სერვისებზე, მათ შორის, საქართველოს მოქალაქის პასპორტზე, გამარტივებული წესით წვდომის უზრუნველყოფა.

2025 წელს უაღრესად მნიშვნელოვან მიმართულებად რჩებოდა ჯანდაცვის სახელმწიფო რეფერალური პროგრამის ეფექტიანი ფუნქციონირება, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მოსახლეობას უფასო და საჭიროებაზე მორგებულ სამედიცინო მომსახურებას უზრუნველყოფდა. საანგარიშო პერიოდში პროგრამით 1000-ამდე[2] პირმა ისარგებლა. გრძელდებოდა მუშაობა აფხაზეთის რეგიონში მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების მხარდასაჭერად, მოსახლეობის სხვადასხვა ვაქცინითა და წამლით მომარაგების გზით, რომელთა ღირებულება საანგარიშო პერიოდში 500,000 ლარს აღემატება. **ჯამში, 2025 წელს, საქართველოს მთავრობის მიერ ჯანდაცვის კომპონენტზე დახარჯული თანხა 9 მილიონამდე ლარს აღწევს.**

მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩებოდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების გამოვლენა და მათზე რეაგირება. ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფის მიზნით, ფინანსური დახმარება გაეწია 14, 635 ოჯახს; ამასთან, 2000-ზე მეტ სტუდენტს სახელმწიფოს მიერ დაუფინანსდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასური.

ქალების სამშვიდობო პროცესში მონაწილეობისა და მათი უნარ-ჩვევების გაძლიერების მიზნით, გამყოფი ხაზების სიახლოვეს საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა ქალთა მიმართ

[2] ციფრი ყოველდღიურად ახლდება

ძალადობის პრევენციისა და დაცვის მექანიზმების შესახებ, რომლებსაც 83 ადგილობრივი ქალი ესწრებოდა.

90-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებებისა და 2008 წლის ომის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიების პროგრამის ფარგლებში, აფხაზეთის რეგიონში დაკარგული 6 პირის ნეშტი იდენტიფიცირდა და ოჯახებს გადაეცა. გენეტიკური საექსპერტო მომსახურების ფარგლებში, განხორციელდა უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახის წევრებისა და ბიოლოგიური ნათესავების 37 ბიოლოგიური ნიმუშის გენეტიკური გამოკვლევა – პროფილირება და დაარქივება. ამასთან, ქ. სტამბოლში გაიმართა უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების საკითხებზე ICRC-ის ეგიდით მოქმედი, ქართველი და აფხაზი მონაწილეებისაგან შემდგარი საკოორდინაციო მექანიზმის მე-17 შეხვედრა.

ომითა და საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, გრძელდებოდა ძალისხმევა საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

სტრასბურგის სასამართლოში **„საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (IV)“** ე. წ. განგრძობადი ოკუპაციის საქმეზე რუსეთის წინააღმდეგ მორიგი ისტორიული გამარჯვების მოპოვების შემდეგ, აღნიშნული დავის ფარგლებში, გაგრძელდა წარმოება დაზარალებულთა კომპენსაციის საკითხზე. შედეგად, 2025 წლის 14 ოქტომბერს სტრასბურგის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, რუსეთის ფედერაციას დაეკისრა 253 000 000 ევროზე მეტი კომპენსაციის გადახდის ვალდებულება 29 000-ზე მეტი დაზარალებული საქართველოს მოქალაქის სასარგებლოდ.

ამასთანავე, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში ქართული მხარის აქტიური ჩართულობით, მიმდინარეობს „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (I)“ (ე. წ. დეპორტირებულების საქმე) და „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II)“ (ე. წ. აგვისტოს ომის საქმე) სახელმწიფოთაშორის საქმეებზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პროცედურები.

აღსანიშნავია, რომ აგვისტოს ომის დროს ქართველი სამოქალაქო ტყვეების წამებისა და არასათანადო მოპყრობის ეპიზოდზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის მიერ 3 ბრალდებულის (ცხინვალის დე ფაქტო „ხელისუფლების“ წარმომადგენლების) მიმართ გამოცემული დაპატიმრების ორდერების აღსრულების მიზნით, გრძელდება თანამშრომლობა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან, რათა დამნაშავე პირები წარდგნენ საერთაშორისო მართლმსაჯულების წინაშე.

საანგარიშო პერიოდში, გრძელდებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა, უპირველეს ყოვლისა, **რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების ოკუპაციის საკითხის აქტიურად დაყენება საერთაშორისო ორგანიზაციების დღის წესრიგში და მათი/წევრი ქვეყნების მხარდაჭერის მოპოვება.** გაეროს, ეუთოსა და ევროპის საბჭოს სხვადასხვა ფორმატში, გაკეთდა 145-ამდე ეროვნული განცხადება, ორგანიზაციების დღის წესრიგის სხვადასხვა საკითხზე განხილვების ფარგლებში, მათ შორის, 85 ეროვნული განცხადება რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას ეხებოდა.

რუსეთ-საქართველოს ომის მე-17 წლისთავთან დაკავშირებით, 2025 წლის 18 აგვისტოს, **უშიშროების საბჭოს დახურულ სხდომაზე გაიმართა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტისა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარების განხილვა.** სხდომის დასრულების შემდეგ, პარტნიორი ქვეყნების მიერ (უშიშროების საბჭოს 5 წევრი სახელმწიფოს – გაერთიანებული სამეფოს, საფრანგეთის, სლოვენიის, საბერძნეთისა და დანიის სამეფოს მიერ, ასევე საბჭოს მომავალი წევრი ქვეყნის – ლატვიის სახელით) მედიასთან გაკეთდა სპეციალური მხარდამჭერი განცხადება.

გაეროს ფარგლებში, საქართველოს აქტიური მუშაობის შედეგად, მიღებულ იქნა საქართველოს მიერ ინიციირებული რეზოლუციები: – 2025 წლის 3 ივნისს, **გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“.** რეზოლუციის თანასპონსორი გახდა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის 64 ქვეყანა, საქართველოს ჩათვლით; – **გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს** (HRC) **რეზოლუცია „თანამშრომლობა საქართველოსთან“.** რეზოლუციის განხილვა გაიმართა 2025 წლის 8 ოქტომბერს და **პირველად გავიდა კონსენსუსით;** – გამოქვეყნდა **გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“.**

2025 წლის 29 ივნისი – 3 ივლისის პერიოდში გამართულ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის 32-ე ყოველწლიურ სესიაზე მიღებულ პორტოს დეკლარაციაში საუბარია რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაციაზე. 18 სექტემბერს, ეუთოს მუდმივი საბჭოს სხდომაზე, გაკეთა ეროვნული განცხადება, 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის 17 წლისთავზე. ასევე სხდომაზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი განცხადებები გაკეთდა ეუთოში საქართველოს მეგობართა ჯგუფის, ევროკავშირის, უკრაინისა და თურქეთის დელეგაციების მიერ. 6 – 17 ოქტომბრის პერიოდში გაიმართა ეუთოს ვარშავის ადამიანური განზომილების კონფერენცია, რომლის ფარგლებშიც, გაკეთდა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტზე ეროვნული განცხადება.

საანგარიშო პერიოდში, **ევროპის საბჭოს** გენერალური მდივნის 32-ე და 33-ე კონსოლიდირებული ანგარიშის – „კონფლიქტი საქართველოში“ – მომზადების მიზნით, საქართველოს ორჯერ ეწვია ევროპის საბჭოს პოლიტიკური დეპარტამენტის დელეგაცია. ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის 1543-ე სხდომაზე განხილულ იქნა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 32-ე კონსოლიდირებული ანგარიში – „კონფლიქტი საქართველოში“.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) მინისტრთა საბჭოს (CMFA) 51-ე სხდომის ფარგლებში, საქართველო 6 თვის ვადით გახდა ორგანიზაციის თავმჯდომარე ქვეყანა. 2026 წლის 28 – 30 იანვარს საქართველოს ვიზიტით BSEC-ის გენერალური მდივანი ეწვია. ვიზიტის მიზანი საქართველოს მიერ BSEC-ის თავმჯდომარეობის გადმობარება და ამ პერიოდში დაგეგმილი თანამშრომლობის დღის წესრიგის განხილვა იყო.

საქართველოს კანდიდატურების მხარდაჭერის მიმართულებით, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, მიმდინარეობდა აქტიური საარჩევნო კამპანიები (მათ შორის:

საქართველო არჩეულ იქნა მსოფლიო საფოსტო კავშირის (UPU), საფოსტო საოპერაციო საბჭოს (POC) წევრად.

საანგარიშო პერიოდში, აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოს კანდიდატურის მხარდაჭერების მოპოვების მიზნით, გაეროს უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრთა არჩევნებში (UNSC), 2040-2041 წლების ვადით (არჩევნები გაიმართება 2039 წელს).

საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პროგრესის გათვალისწინებით, მისი, როგორც დონორი ქვეყნის როლის დამკვიდრების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, საგარეო საქმეთა სამინისტრომ დააფუძნა პროფესიული განვითარების პროგრამა (CDP) „გლობალური კავშირების გაძლიერება საჯარო სექტორის განვითარების გზით". პროგრამა ემსახურება საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ჩართულობის გაზრდას, საქართველოს, როგორც საიმედო პარტნიორის, რეპუტაციის განმტკიცებასა და გლობალური მშვიდობისა და განვითარების ხელშეწყობას.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა ევროინტეგრაციის დღის წესრიგში არსებული ვალდებულებების განხორციელება.

2025 წლის 12 აგვისტოს გაიმართა ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის სხდომა, რომლის ფარგლებშიც, მოწონებულ იქნა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2025 წლის სამოქმედო გეგმა და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში. ამასთან, მომზადდა 2025 წლის საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის ეროვნული სამოქმედო გეგმის ანგარიშის პროექტი და ასევე შემუშავდა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2026 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი.

გაფართოების პოლიტიკის ფარგლებში, ევროკომისიის ყოველწლიური ანგარიშების კონტექსტში, მომზადდა და ევროკომისიას მიეწოდა საქართველოს კონტრიბუცია.

ევროკომისიის ოფიციალური მომართვის საფუძველზე, მომზადდა და ევროკომისიას 2025 წლის 31 აგვისტოს მიეწოდა განახლებული ინფორმაცია უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის 2024 წლის ანგარიშის რეკომენდაციების შესრულების შესახებ. ხოლო, 2026 წლის იანვარში, მომზადდა და ევროკომისიას, ისევე, როგორც ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, მიეწოდა უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის 2025 წლის ანგარიშში საქართველოსთან დაკავშირებით მოცემულ შეფასებებზე ქართული მხარის კომენტარების ამსახველი დოკუმენტი.

საქართველოს წინაშე არსებული უსაფრთხოების სერიოზული გამოწვევების მიუხედავად, საქართველო აგრძელებდა ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომლობას. გასულ წელს, საქართველომ ევროკავშირის განცხადებებსა და შემზღუდავ ზომებზე მიერთების 135 შემოთავაზება მიიღო, საიდანაც 68 მათგანს შეუერთდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2025 წელს ევროკავშირის პოზიციებთან საქართველოს მიერთების მაჩვენებელმა 50% შეადგინა. 2026 წლის აპრილის მდგომარეობით კი, აღნიშნული მაჩვენებელი 27%-ია. ამ მიმართულებით, 2025 წლის განმავლობაში, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, სულ შემოვიდა ევროკავშირის განცხადებებზე მიერთების 750 შემოთავაზება,

საიდანაც 449 მათგანს (60%) მივუერთდით. დღეის მდგომარეობით, ეს მაჩვენებელი 81%-ს შეადგენს.

ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებების საფუძველზე, რაც შემდეგ საქართველოში ევროკავშირის ელჩის 2025 წლის 5 ნოემბრის წერილითაც დადასტურდა, **ევროკავშირის ინსტიტუციებმა შეაჩერეს ასოცირების შეთანხმებით, ამავე შეთანხმების განხორციელების ზედამხედველობისა და მონიტორინგის მიზნით დადგენილი, ინსტიტუციური ფორმატების მუშაობა ყველა დონეზე, რაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროცესს.**

ევროკომისიის 2023 და 2024 წლების გაფართოების ანგარიშების რეკომენდაციების შესასრულებლად ხორციელდება უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/123/EC დირექტივასთან.

ევროკავშირთან სამართლებრივი დაახლოების ეფექტიანი კოორდინაციისა და მონიტორინგის მიზნით, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის 71-ე სხდომის ოქმის საფუძველზე, ფუნქციონირებს სამართლებრივი დაახლოების მონაცემთა ელექტრონული ბაზა, სადაც განთავსებულია ინფორმაცია 600-ზე მეტ სამართლებრივ ვალდებულებაზე, რომლებიც საქართველოს მიერ ევროკავშირთან დადებული ასოცირების შეთანხმებიდან და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობს. ამ ეტაპზე, **საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან დაახლოების მაჩვენებელი 80%-ამდეა.**

საქართველო **„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ერთგული და აქტიური პარტნიორია** მისი დაარსების დღიდან. საანგარიშო პერიოდში საქართველო მონაწილეობდა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მაღალი თანამდებობის პირთა (SOM), კვლევისა და ინოვაციების არაფორმალური სამუშაო ჯგუფის, გენდერული თანასწორობის საკითხებზე „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში.

საქართველო აგრძელებს **ევროპული პოლიტიკური გაერთიანების სამიტებში** უმაღლეს დონეზე ჩართულობას: საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, თანმხლებ დელეგაციასთან ერთად, მონაწილეობა მიიღო 2025 წლის 2 ოქტომბერს, ქ. კოპენჰაგენში და 2026 წლის 4 მაისს, ქ. ერევანში გამართულ ევროპის პოლიტიკური საზოგადოების (EPC) სამიტში.

საანგარიშო პერიოდში, ასევე, გრძელდებოდა ჩართულობა ევროკავშირის შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამაში; ევროკავშირის ჩარჩო პროგრამებში (როგორიცაა: ერასმუს+, შემოქმედებითი ევროპა, ჰორიზონტი ევროპა, საგადასახადო (Fiscalis).

გრძელდებოდა ძალისხმევა **რეგიონული დაკავშირებადობის** ჭრილში საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონის როლის კიდევ უფრო გააქტიურების მიმართულებით. საგულისხმოა, რომ **საქართველოს საკვანძო მნიშვნელობა, ევროკავშირის დაკავშირებადობის დღის წესრიგის წინსვლის თვალსაზრისით, ხაზგასმულია მის სტრატეგიულ დოკუმენტებში, მათ შორის, შავი ზღვის რეგიონის მიმართ ევროკავშირის სტრატეგიული მიდგომის ფარგლებში.** ამ თვალსაზრისით, კვლავ ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩებოდა **ტრანსევროპული**

სატრანსპორტო ქსელების (TEN-T) ფარგლებში სტრატეგიული ინფრასტრუქტურის განვითარება. ასევე, გრძელდება მუშაობა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმით გათვალისწინებული სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტების რეალიზაციის მიზნით, მათ შორისაა საქართველოს მიერ ინიციირებული **შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების პროექტები.** ამ მხრივ, **2025 წლის დეკემბერში ევროკომისიამ შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტს „ორმხრივი ინტერესის პროექტის“ სტატუსი (PMI) მიანიჭა, რაც 2026 წლის 14 აპრილს ევროპულმა საბჭომ და ევროპარლამენტმა დაამტკიცა. PMI სტატუსის მინიჭების შემდეგ, შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი ექცევა ევროკავშირის ენერგეტიკული კანონმდებლობის ქვეშ, რაც იმას გულისხმობს, რომ შესწავლისა და მშენებლობის ნებართვების მისაღებად, პროექტი გამარტივებული პროცედურებით ისარგებლებს და აქტიური სამართლებრივი, ფინანსური და ადმინისტრაციული მხარდაჭერა ექნება ევროკავშირის მხრიდან.**

შემუშავდა, დამტკიცდა და **ნატოს** შტაბ-ბინაში გაიგზავნა საქართველოს **2025 წლის რიგით მე-17 წლიური ეროვნული პროგრამა (ANP 2025)**. 2026 წლის იანვრიდან დაიწყო აქტიური მუშაობა 2026 წლის წლიურ ეროვნულ პროგრამაზე.

მიმდინარეობდა ინტენსიური მოლაპარაკებები **ნატო-საქართველოს 2025 – 2028 წლების ინდივიდუალურად მორგებული პარტნიორობის პროგრამის (ITPP)** ტექსტზე. შედეგად, ITPP-ის დოკუმენტი 2026 წლის 6 მარტს დამტკიცდა და ის მოიცავს ნატოსთან თანამშრომლობის პოლიტიკურ და პრაქტიკულ განზომილებას. ქართული მხარე აგრძელებს ძალისხმევას ITPP-ში განსაზღვრული სტრატეგიული ამოცანებისა და თანამშრომლობის მიზნების იმპლემენტაციის მიზნით.

საქართველო განაგრძობდა ალიანსთან თანამშრომლობას უსაფრთხოების საკითხებში, ნატოს სტანდარტებთან დაახლოებასა და თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებას. საქართველომ მონაწილეობა მიიღო **ნატოს ოპერაციაში – „Sea Guardian“**, თურქეთისა და საბერძნეთის გემებზე. 2025 წლის იანვრიდან მიმდინარეობს მუშაობა შეთანხმების პროექტზე, ნატოს ერაყის მისიაში (NMI) საქართველოს მონაწილეობასთან (როგორც ოპერატიული პარტნიორი) დაკავშირებით. 2025 წლის 25 ივლისი-8 აგვისტოს პერიოდში, საქართველოში გაიმართა **„მტკიცე სული 2025-ის“ (Agile Spirit 2025) მრავალეროვნული საერთაშორისო წვრთნები**, რომელსაც მეთორმეტედ ვუმასპინძლეთ.

საქართველო აქტიურად მუშაობს ალიანსის წევრ სახელმწიფოებსა და ორგანიზაციის შესაბამის სამსახურებთან საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხებზე. საანგარიშო პერიოდში ნატოს მხრიდან საქართველოში განხორციელდა ორი ვიზიტი. 2026 წლის 7 – 9 მაისს სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი (კევინ ჰამილტონი) ეწვია.

გაგრძელდა განიარაღებასა და შეიარაღებაზე კონტროლის, გაუვრცელებლობის, ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების მექანიზმებთან დაკავშირებული რეჟიმებით საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები და კონსულტაციები ეუთოს ფარგლებში, რათა **საქართველომ 2026 წლის აპრილიდან, 4 თვის ვადით, წარმატებით უხელმძღვანელოს ეუთოს უსაფრთხოებისთვის თანამშრომლობის**

ფორუმს, თავმჯდომარე ქვეყნის რანგში (22 აპრილს, ქ. ვენაში გაიმართა თავმჯდომარეობის გახსნის ოფიციალური ღონისძიება).

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა უმაღლესი და მაღალი დონის ვიზიტების გაცვლა **ცენტრალური ევროპისა და ბალკანეთის ქვეყნებთან.** გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტები სლოვაკეთსა და სერბეთში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი უნგრეთში და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტები უნგრეთში, სლოვაკეთსა და სერბეთში. საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა ხორვატიის პრეზიდენტი.

უნგრეთთან სტრატეგიული თანამშრომლობის ფარგლებში, 2025 წლის ივნისში, ქ. ბუდაპეშტში გაიმართა საქართველო-უნგრეთის მთავრობათაშორისი მეორე სამიტი.

საქართველო კვლავაც ურყევად განაგრძობდა **უკრაინის პოლიტიკურ და დიპლომატიურ მხარდაჭერას,** ასევე ჰუმანიტარული დახმარების გაწევას საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში.

რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ და უკრაინის მხარდასაჭერად, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, საქართველომ დაასპონსორა/მხარი დაუჭირა 850-ამდე რეზოლუციას/გადაწყვეტილებას/დეკლარაციას/რეკომენდაციას; გააკეთა 380-ზე მეტი ეროვნული განცხადება. ეუთოს ფარგლებში, საქართველომ მხარი დაუჭირა „მოსკოვის მექანიზმის“ გააქტიურებას რუსეთთან მიმართებით. საქართველო ასევე გახდა უკრაინისთვის საერთაშორისო საჩივრების კომისიის დამფუძნებელი კონვენციის ხელმომწერი ქვეყანა. საგარეო საქმეთა მინისტრმა მონაწილეობა მიიღო უკრაინელი ბავშვების დაბრუნების საერთაშორისო კოალიციის მაღალი დონის შეხვედრაში. ქართული მხარე მონაწილეობდა ყირიმის საერთაშორისო პლატფორმის ეგიდით გამართულ შავი ზღვის უსაფრთხოების კონფერენციაში.

საანგარიშო პერიოდში საქართველო კვლავ აქტიურად ახორციელებდა საქართველოში მყოფ უკრაინის მოქალაქეთა მხარდაჭერას სხვადასხვა სოციალური თუ საგანმანათლებლო პროგრამის მეშვეობით. ასევე, უკრაინის ენერგეტიკული საჭიროებების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ იქნა გენერატორების მიწოდება ჰუმანიტარული დახმარების სახით.

საანგარიშო პერიოდში საქართველო კვლავაც ახორციელებდა დაბალანსებულ **სამეზობლო პოლიტიკას,** რომელიც მიმართული იყო რეგიონში სტაბილურობის განმტკიცებისა და მდგრადი მშვიდობის ხელშეწყობისკენ.

საქართველომ არაერთხელ დაადასტურა მზადყოფნა, გახდეს დიალოგის სივრცე მეზობელი სახელმწიფოებისთვის, როგორც ორმხრივ, ისე სამმხრივ (საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი) ფორმატში, რაც ხელს შეუწყობს ნდობისა და თანამშრომლობის განვითარებას. 2025 წლის 17 აპრილს, ქ. თბილისში, საქართველოს ინიციატივით, გაიმართა საქართველო-აზერბაიჯანი-სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეების პირველი სამმხრივი შეხვედრა, სადაც გამოიკვეთა თანამშრომლობის პრიორიტეტული სფეროები.

2025 წლის 18 დეკემბერს, საქართველომ, მოსაკრებლის გარეშე, გაატარა აზერბაიჯანიდან 1220 ტონა 95-ოქტანიანი ბენზინით დატვირთული 22 ვაგონი სომხეთის მიმართულებით.

საქართველოს თურქეთთან, აზერბაიჯანსა და სომხეთთან აკავშირებს მტკიცე სტრატეგიული პარტნიორობა. თურქეთსა და აზერბაიჯანთან თანამშრომლობას კიდევ უფრო ამყარებს არსებული სტრატეგიული მნიშვნელობის ერთობლივი პროექტები. აღსანიშნავია, რომ თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი კვლავაც რჩებიან საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა ათეულში. სამივე მეზობელ სახელმწიფოსთან შენარჩუნებული იყო ურთიერთობების ინტენსიური დინამიკა მაღალ და უმაღლეს დონეზე.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველო-თურქეთი-აზერბაიჯანის სამმხრივ ფორმატს. ამ მიმართულებით, რეგულარულად იმართება საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების სამმხრივი შეხვედრები, აგრეთვე, საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის ბიზნესფორუმი.

საანგარიშო პერიოდში, სომხეთსა და აზერბაიჯანთან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის საკითხები განიხილებოდა ქვეყნებს შორის მაღალი დონის ვიზიტებისა და შეხვედრების ფარგლებში.

საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია **ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობა და სტრატეგიული პარტნიორობა.** საქართველოს მთავრობის ამოცანაა, მიღწეულ იქნეს აშშ-სთან ურთიერთობების გადატვირთვა, რაც მოიაზრებს, მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, თანასწორ, სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ურთიერთობების აღდგენას, ყველა მიმართულებით თანამშრომლობის სრული მოცულობით განახლებასა და განვითარებას. ამჟამად მიმდინარეობს აქტიური პოლიტიკური დიალოგი აშშ-ის ადმინისტრაციასთან, რათა მოხდეს აშშ-ის წინა ადმინისტრაციის მიერ შეჩერებული აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის აღდგენა. მიმდინარე პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში, საგარეო უწყება ამერიკულ მხარესთან მუშაობს ახალი ორმხრივი დღის წესრიგის შემუშავებაზე, რომელშიც ასახული იქნება ორივე ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები და რომელიც ეფექტიანად მოემსახურება ჩვენს ორმხრივ, რეგიონულ და გლობალურ მიზნებს.

2026 წლის თებერვალ-მარტის პერიოდში საქართველომ უმასპინძლა აშშ-ის რამდენიმე დელეგაციას აშშ-ის კონგრესიდან და ადმინისტრაციიდან. ამავდროულად, განხორციელდა საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციის სამუშაო ვიზიტი ვაშინგტონში, მინისტრის მოადგილის დონეზე, ასევე, საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი ვაშინგტონში.

საანგარიშო პერიოდში შედგა რამდენიმე კომუნიკაცია მაღალ და უმაღლეს დონეზე: მათ შორის, სატელეფონო საუბარი გაიმართა საქართველოს მთავრობის მეთაურსა და აშშ-ის სახელმწიფო მდივანს შორის, შედგა საქართველოს პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ინტერაქცია აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტსა და სახელმწიფო მდივანთან.

საქართველო და **ჩინეთი** აქტიურად თანამშრომლობენ ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის შემდგომი გაღრმავების მიმართულებით. 2025 წლის 4 – 7 ნოემბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ჩინეთს (ქ. შანხაი) ეწვია, სადაც მან, საპატიო სტუმრის სტატუსით, მონაწილოება მიიღო საერთაშორისო იმპორტის მე-8 გამოფენაში [CIIE]. ამ ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ჩინეთის პრემიერ-მინისტრს შეხვდა. 7 ნოემბერს, ქ. პეკინში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი შედგა.

შესამჩნევად გაძლიერდა პარტნიორული კავშირები ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან – **ყაზახეთთან, უზბეკეთსა და თურქმენეთთან.** ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებთან ერთად, მათთან აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა **შუა დერეფნის** განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე გააქტიურდა ურთიერთობები **ყირგიზეთსა და ტაჯიკეთთანაც.** ხორციელდება პრაქტიკული ნაბიჯები შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობის განვითარებისთვის, პირველ ყოვლისა, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების, საქართველოს სატრანზიტო და ლოგისტიკური პოტენციალის უკეთ გამოყენების მიზნით.

დინამიკურად ვითარდება ურთიერთობები **იაპონიასთან.** 2025 წლის დეკემბერში, თბილისში განხორციელდა ციფრული ტრანსფორმაციის საკითხებში იაპონიის საპარლამენტო ვიცე-მინისტრის ვიზიტი. გრძელდება მუშაობა საქართველოს ორდინალური და ოფიციალური პასპორტების მფლობელთათვის უვიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) ჩართულობით, ხორციელდება იაპონელი მოხალისეების ჩამოყვანა და საქართველოს საგანმანათლებლო და ჯანდაცვის სფეროებში თანამშრომლობა.

დინამიკურად ვითარდება ურთიერთობები **კორეასთანაც**. 2025 წლის 2-3 ივნისს გაიმართა მთავრობებს შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით მოლაპარაკებების მე-5 რაუნდი, 22 ნოემბერს კი, საქართველოში ოფიციალურად გაიხსნა კორეის ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშეწყობის სააგენტოს (KOTRA) ოფისი. 2026 წლის 13 მარტს ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობასა და კორეის რესპუბლიკის მთავრობას შორის კლიმატის ცვლილებების თაობაზე თანამშრომლობის შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებას.

პოზიტიურად ვითარდება ურთიერთობები **ინდოეთთან**. 2025 წლის 13 დეკემბერს, საქართველოში ინდოეთის საგარეო საქმეთა მდივნის ვიზიტი გაიმართა. 2026 წლის მარტში საქართველოში ინდოეთის პირველი რეზიდენტი ელჩი ჩამოვიდა, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის განვითარებას ყველა მიმართულებით.

ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება რჩება საქართველოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებად. საანგარიშო პერიოდში გაღრმავდა ორმხრივი პოლიტიკური დიალოგი რეგიონის ცალკეულ ქვეყნებთან, რაც გამოიხატა ორმხრივი შეხვედრების, ვიზიტებისა და პოლიტიკური კონსულტაციების ინტენსივობით. ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გაღრმავების, ასევე, გაეროში საქართველოს IDP რეზოლუციის მხარდაჭერის მობილიზაციის კუთხით, გამოყენებულ იქნა მრავალმხრივი ფორმატები.

ლათინური ამერიკის რეგიონში მემარჯვენე პოლიტიკური ძალების გაძლიერების ფონზე, გაჩნდა არსებული ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების დამატებითი შესაძლებლობები.

ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის მზარდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება რეგიონის ქვეყნებთან მჭიდრო, დაბალანსებული და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გაღრმავება.

განსაკუთრებით აქტიური დინამიკა იყო **არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან.** კერძოდ, 2025 წლის 3 ივნისს, თბილისში, პრემიერ-მინისტრმა მონაწილეობა მიიღო „თბილისის მშრალი პორტის“ (Tbilisi Dry Port) გახსნის ცერემონიაში, რაც საამიროებიდან შემოსული ინვესტიციაა. ისტორიულ მოვლენა იყო 2025 წლის 19 სექტემბერი, როდესაც საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია არაბთა გაერთიანებული საამიროების პრეზიდენტი, შეიხი მოჰამედ ბინ ზაიედ ალ ნაჰაიანი. საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა მუშაობა მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და გადაცვლის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტზე.

გააქტიურდა მუშაობა **საუდის არაბეთის სამეფოსთან**, ორ ქვეყანას შორის მთავრობათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სტრუქტურის სრულყოფის საკითხზე. ასევე, მიმდინარეობს მუშაობა **ყურის თანამშრომლობის საბჭოს (GCC)** გენერალურ სამდივნოსთან, საქართველოსა და GCC ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (GCC-Georgia FTA) გაფორმების საკითხზე მოლაპარაკებების დასაწყებად.

მიმდინარეობს მუშაობა **კატართან** ექსტრადიციის შესახებ შეთანხმებაზე. ასევე, **ქუვეითთან** – ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი კომიტეტის შექმნის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმზე.

ტრადიციულად აქტიურია **ისრაელის** მიმართულება, სადაც 2025 წლის 16 – 18 ნოემბერს შედგა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი.

საქართველოს **საკონსულო დაწესებულებების დაფარვის არეალის გაფართოების კუთხით,** საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, საქართველოს აქვს 15 გენერალური საკონსულო მსოფლიოს 10 ქვეყანაში და ჰყავს 91 საპატიო კონსული მსოფლიოს 68 ქვეყანაში. ამ პერიოდში ამოქმედდა საქართველოს 1 ახალი გენერალური საკონსულო პოლონეთში (ქ. კრაკოვი). მიმდინარეობს ტექნიკური და პროცედურული ღონისძიებები საფრანგეთში (ქ. ლიონი) გენერალური საკონსულოს სრულყოფილად ამოქმედებისა და ფუნქციონირების დასაწყებად. გაიხსნა საპატიო კონსულის მეთაურობით საქართველოს 2 ახალი საკონსულო დაწესებულება ყირგიზეთში, ქ. ბიშკეკსა და ქ. ოშში.

საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით, საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, საქართველოს მოქალაქეებს საშუალება აქვთ, უვიზოდ იმოგზაურონ მსოფლიოს 81 ქვეყანაში როგორც საერთაშორისო შეთანხმებების, ასევე უცხო ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების უკეთ რეალიზებისთვის, სამართლებრივი ბაზის შექმნის მიზნით, გაგრძელდება უცხო ქვეყნებთან საკონსულო ურთიერთობების გაღრმავება. საანგარიშო პერიოდში გაიმართა საკონსულო კონსულტაციები ყაზახეთთან, უზბეკეთთან, თურქმენეთთან, აზერბაიჯანსა და იორდანიასთან.

საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებზე ზრუნვის მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა 3 საგრანტო პროგრამა. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სპეციალისტების მიერ საკვირაო სკოლების მოსწავლეებისთვის მომზადდა A1 და A2 დონის სახელმძღვანელოები, რომლებიც სკოლების მოთხოვნის შესაბამისად, ეგზავნებათ დიასპორის წარმომადგენლებს.

2026 წელს საქართველო უმასპინძლებს დიასპორის საკითხებში ყველაზე მაღალი საერთაშორისო პლატფორმის, **გლობალური დიასპორის პოლიტიკის ალიანსის** (Global Diaspora Policy Alliance) ფორუმს.

4.2 თავდაცვა

საანგარიშო პერიოდში, **ტოტალური თავდაცვის მიდგომის** ფარგლებში, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა თავდაცვის ძალების შესაძლებლობების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინსტიტუციური ბაზის, სამხედრო მრეწველობის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და უწყებათაშორისი კოორდინაციის განვითარების მიმართულებით.

დაიწყო თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის პროცესი 10-წლიანი (2035 წლამდე) პერსპექტივით. პროცესი მოიცავს, თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, მომავლის ოპერატიული გარემოს განსაზღვრას და მასზე დაფუძნებით, „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2026 – 2030“ დოკუმენტის შემუშავებას. ამ ეტაპისათვის, განისაზღვრა მომავლის ოპერატიული გარემო და შეფასდა „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2021 – 2025“ დოკუმენტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება. აღნიშნული ანალიზის გათვალისწინებით, შემუშავდა „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2026 – 2030-ის“ პირველადი პროექტი. სტრატეგიული მიმოხილვის მიგნებების, ასევე „თავდაცვის ძალები 2030“ დოკუმენტის შესრულების შეფასებისა და თანამედროვე საბრძოლო მოქმედებების ანალიზის საფუძველზე, დაიწყო მუშაობა გრძელვადიანი განვითარების განახლებულ დოკუმენტზე – „თავდაცვის ძალები 2035“.

ჯავშანსაწინააღმდეგო საშუალებებით თავდაცვის ძალების გაძლიერების მიმართულებით, გრძელდება თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების ნატოს სტანდარტებთან თავსებადი, მაღალი სიზუსტის ჯავშანსაწინააღმდეგო შეიარაღების სისტემების ეტაპობრივი დანერგვა.

საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით, მიმდინარეობს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არსებული რადიოლოკაციური სადგურებისა და მართვა-კონტროლის სისტემების ტექნიკური მომსახურება და მათი ფუნქციური გამართულობის უზრუნველყოფა. პარალელურად, ახალი საჰაერო თავდაცვის სისტემების შეძენის ფარგლებში, მიმდინარეობს საზენიტო-სარაკეტო და ანტიდრონული სისტემების კონტრაქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების ეტაპობრივი შესრულება. გრძელდება თანამედროვე მართვის, კონტროლისა და კომუნიკაციის (C3) სისტემის დანერგვა, რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს საჰაერო სივრცის ოპერირების კოორდინაციასა და მართვის ეფექტიანობას.

გრძელდებოდა **დაზვერვის ქვედანაყოფების თანამედროვე და ეფექტიანი სისტემებით ეტაპობრივი აღჭურვა**, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და ოპერატიული გამოყენების შესაძლებლობებს.

მიმდინარეობდა არსებული საარტილერიო შესაძლებლობების მოდერნიზება ცეცხლის მართვის ციფრული სისტემებით, ასევე საარტილერიო ქვედანაყოფების თანამედროვე მიზნის აღმომჩენი და თვალთვალის საშუალებებით აღჭურვა.

2025–2026 წლებში გაგრძელდა **საბრძოლო-საინჟინრო შესაძლებლობების განვითარება,** მათ შორის, სპეციალური საინჟინრო აღჭურვილობისა და ტექნიკის მიღება და სამხედრო კინოლოგიური შესაძლებლობების ჩამოყალიბება. საინჟინრო და რქბდ სკოლის გაძლიერებით უზრუნველყოფილია ნატოსთან თავსებადი მომზადება, ხოლო განახლებული აღჭურვილობის, დოქტრინებისა და სტანდარტიზებული პროცედურების დანერგვით ამაღლდა ქვედანაყოფების მზადყოფნის დონე. მოეწყო საინჟინრო საწვრთნელი ველი და მიმდინარეობს მისი შემდგომი განვითარება.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს თავდაცვის ძალებმა მიიღო როგორც **სატვირთო, ასევე მსუბუქი მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალებები,** რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სამანევრო ქვედანაყოფების სწრაფი გადაადგილებისა და მობილობის შესაძლებლობებს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს **საავიაციო პარკის აღდგენის პროცესის ფარგლებში,** საფრენი აპარატების აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობდა. მოდერნიზება ჩაუტარდა სასწავლო/სატრანსპორტო საფრენ აპარატებს, ასევე გარემონტდა შვეულმფრენები და სხვა საფრენი აპარატები.

სპეციალური ოპერაციების ძალების გრძელვადიანი და სისტემური გაძლიერების უზრუნველსაყოფად, მომზადდა სარდლობის განვითარების სტრატეგია და „განვითარების გეგმა 2030“. აქტიურად გრძელდება ქვედანაყოფების მატერიალურ-ტექნიკური მოდერნიზაცია თანამედროვე აღჭურვილობით. საანგარიშო პერიოდში სარდლობამ მიიღო 60-ზე მეტი ერთეული მაღალი გამავლობისა და სატვირთო ავტომობილი. პარალელურად, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სპეციალური ოპერაციების სარდლობის ინფრასტრუქტურისა და სასწავლო სისტემების განვითარება. აღსანიშნავია, რომ ქართული მხარის მიერ ორგანიზებული „საერთაშორისო სნაიპერის კურსი სხვადასხვა გარემოში“ აიტვირთა ნატოს საგანმანათლებლო კატალოგში (ETOC) და მასში მონაწილეობა მიიღო 7-მა ქვეყანამ, რაც ხაზს უსვამს მაღალი მომზადების დონესა და თავსებადობას ალიანსის სტანდარტებთან.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების მიზნით, მიმდინარეობდა უპილოტო და კონტრუპილოტო სისტემების ინტეგრირებისა და განვითარების მასშტაბური პროექტი, რომლის ფარგლებშიც, შეიქმნა უპილოტო და კონტრუპილოტო სისტემების განვითარების სამმართველო, აგრეთვე, შესაბამისი სასწავლო-კვლევითი სკოლა.

ბრძოლის ველზე თავდაცვის ძალების დაცული, მდგრადი და ეფექტიანი მართვისა და კონტროლის, ასევე კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემებით მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, მიმდინარეობდა ქვედანაყოფების აღჭურვის პროცესი თანამედროვე ტაქტიკური რადიოსისტემებით. უწყვეტ რეჟიმში გრძელდებოდა ქვედანაყოფების დაკომპლექტება კავშირგაბმულობის სპეციალური მანქანებითა და ტაქტიკური რადიოსადგურებით.

კიბერუსაფრთხოების მონიტორინგის გაძლიერების მიმართულებით, მუდმივად მიმდინარეობს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემების დანერგვა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მოდერნიზაცია. პარალელურად, ინტენსიურად მიმდინარეობს შესაბამისი სამხედრო-ტექნიკური პერსონალის რეკრუტირება-გადამზადებისა და დაკომპლექტების პროცესი.

საანგარიშო პერიოდში ქვედანაყოფები დაკომპლექტდა **თანამედროვე სამედიცინო ავტოტექნიკით.** აღსანიშნავია, რომ ROLE 2F დონის სამედიცინო ქვედანაყოფების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე აღიჭურვა საჭირო სამედიცინო ქონებით, ხოლო დარჩენილი კომპონენტების დაკომპლექტების პროცესი გეგმაზომიერად გრძელდება.

ქართული სამხედრო მრეწველობის განვითარების ფარგლებში, „დელტაში" უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს ჯავშანჩაფხუტებისა და ჯავშანჟილეტების წარმოებისა და თავდაცვის სამინისტროსთვის გადაცემის პროცესი. პარალელურად, აქტიურად გრძელდება ჯავშანმანქანების წარმოება, როგორც თავდაცვის სამინისტროსთვის, ასევე სხვა დამკვეთებისთვის. ხელშეკრულების ფარგლებში, პარტნიორ ქვეყანას გადაეცა „დელტაში" წარმოებული ჯავშანმანქანები. კომპანია **„დელტა ვებეს"** მიერ გრძელდება სხვადასხვა დანიშნულების უპილოტო საფრენი სისტემების პროტოტიპების შექმნა და გამოცდა. გრძელდება ავტოპილოტისა და მართვის პროგრამის შემუშავება. გაიზარდა **„დელტა ტექსტილის"** მიერ წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტი. ნაწილობრივ განახლდა დანადგარები, რის შედეგადაც, გაიზარდა წარმადობა. კომპანია სრულად უზრუნველყოფს თავდაცვის ძალებს შესაბამისი სანივთე ქონებით.

საქართველოს **თავდაცვის ძალების მზადყოფნის დონის ამაღლებისა და სამხედრო პერსონალისთვის ღირსეული პირობების შექმნის მიზნით,** საანგარიშო პერიოდში სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები ერთდროულად 180 ობიექტზე მიმდინარეობდა. დასრულდა სპეციალური ოპერაციების, ასევე ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობების თანამედროვე სტანდარტების ბაზების მშენებლობა.

ჯარის აღჭურვის ფარგლებში, პარტნიორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერით, თავდაცვის ძალებმა მიიღეს სპეციალური დანიშნულების 25 ერთეული ტექნიკა, მათ შორის, მოძრავი სახელოსნოები, კონტეინერმზიდები, მძიმე ტექნიკის გადამზიდები და მაღალი გამავლობის სატვირთო ავტომობილები. ასევე მიღებულია მნიშვნელოვანი ლოგისტიკური რესურსი. მიღებული ტექნიკის რაოდენობა ჯამში შეადგენს 186 ერთეულს.

2025 წლიდან **წვევამდელთა ეროვნული სამხედრო** სამსახურის გავლა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში. ერთიანი ელექტრონული სისტემა, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, უზრუნველყოფს გაწვევის პროცესის თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით განხორციელებას. 2025 წელს წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვეულ იქნა 4510 წვევამდელი.

2025 წლის 15 მარტიდან – 1 დეკემბრამდე პირველად განხორციელდა წვევამდელთა გაწვევა: ა) 8 თვის ვადით სამსახურისათვის – ოთხ ეტაპად, ბ) 6 თვის ვადით სამსახურისათვის – ერთ ეტაპად, გ) 11 თვის ვადით სამსახურისათვის – ერთ ეტაპად.

რეზერვის სისტემის გაძლიერების მიზნით, შემუშავების პროცესშია თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი დოკუმენტები: „თავდაცვის ძალების რეზერვის მართვისა და მობილიზაციის სისტემის განვითარების სტრატეგია" და „თავდაცვის ძალების რეზერვის მართვისა და მობილიზაციის პროცედურები".

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და ეროვნული მედეგობის გაძლიერების მიზნით, 2025 წლისთვის უკვე ფორმირებულია ათი ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონი და ათი ტერიტორიული რაზმი. ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნული ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობითა და აღჭურვილობით დაკომპლექტება, პარალელურად კი, ხორციელდება ახალი რაზმებისა და ასეულების ჩამოყალიბების ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა **მოქალაქეთა რეგისტრაცია და მიღება ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონებში.** ასევე ჩატარდა მე-10 და მე-20 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადების ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონების ტერიტორიული რეზერვისა და ტერიტორიული რაზმების სასწავლო შეკრებები.

სსიპ – თავდაცვის მოხალისის მიერ შემუშავდა და ჩატარდა 6 (ექვსი) „თავდაცვის მოხალისის საბაზისო მომზადების კურსი“, რომელიც წარმატებით გაიარა 175-მა სამოქალაქო პირმა, რომელთაც გამოთქვეს სურვილი და მზადყოფნა, გახდნენ რეგისტრირებული თავდაცვის მოხალისეები.

საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის რეკრუტირების მაჩვენებლის გაუმჯობესების მიზნით, არსებითად გაიზარდა სამხედრო მოსამსახურეების ფინანსური და სოციალური გარანტიები. მნიშვნელოვანი ძალისხმევა არის მიმართული მოქმედ სამხედრო მოსამსახურეთა კონკურენტუნარიანი ანაზღაურების უზრუნველყოფაზე, საპენსიო-საკომპენსაციო სისტემის ოპტიმიზაციაზე, ასევე საცხოვრებელი, სამედიცინო და საგანმანათლებლო მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერებაზე.

წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობას დაქვემდებარებულ ქვედანაყოფებში განხორციელდა 7 საერთაშორისო პროგრამა (NATO-Selected, NATO-Listed და PfP სტატუსებით). პარალელურად, ეროვნული ეგიდით, თავდაცვის ძალების პროფესიული განვითარებისთვის ჩატარდა 253 პროგრამა და კურსი.

განვითარდა აკადემიის **დისტანციური სწავლების ცენტრი,** სადაც შეიქმნა 20 ახალი ონლაინ სასწავლო კურსი. საანგარიშო პერიოდში წარმატებით დასრულდა 9 კვლევითი პროექტი.

საანგარიშო პერიოდში გაღრმავდა პარტნიორობა თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლასა და ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კოლეჯს შორის და წარმატებით ჩატარდა ნატოს მიერ სერტიფიცირებული პროგრამები. სკოლამ წარმატებით განახორციელა 2025-2026 წლების თავდაცვის უმაღლესი პროგრამა.

2026 წლის დასაწყისში, ნატოს პროფესიული განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, სკოლის ისტორიაში პირველად, სკოლის ბაზაზე დაინერგა პროექტის გამოცდისთვის მოსამზადებელი მენტორობის პროგრამა. საანგარიშო პერიოდში სკოლამ განახორციელა 38 სასწავლო ღონისძიება, რომელსაც საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის 600-ზე მეტი წარმომადგენელი დაესწრო.

ჩატარდა **მრავალეროვნული სწავლებები:** „NATO-GEORGIA EXERCISE 25“; „MILU 25“; „AGILE SPIRIT 25“. ამასთან, საქართველოს თავდაცვის ძალებმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო წვრთნებში საზღვარგარეთ.

2025 წლის 12 – 20 ნოემბერს ჩატარდა „ეროვნული უწყებათაშორისი სამეთაურო საშტაბო სწავლება დიდგორი 2025“.

2025 წლის მეორე ნახევარში თავდაცვის სამინისტროს მიერ განახლდა **წლიური ეროვნული პროგრამის 2025 წლის ვალდებულებების დოკუმენტის პროექტი.** ასევე, შემუშავდა წლიური ეროვნული პროგრამის 2026 წლის თავდაცვის კომპონენტი.

2025 წელს საქართველომ წარმატებით დაასრულა **ნატოსა და საქართველოს ინდივიდუალურად მორგებული პარტნიორობის პროგრამის** 2023-2024 წლების პირველი ციკლი. 2026 წლის მარტს, ნატოს „დუმილის პროცედურით“, დამტკიცდა ITPP-ის 2025-2028 წლების დოკუმენტი.

2025 წელს ნატოს „დუმილის პროცედურით“ დამტკიცდა ნატოს სამხედრო კომიტეტისა და საქართველოს სამუშაო გეგმის 2025-2026 და 2023-2024 წლების სამუშაო გეგმის 2024 წლის ერთობლივი შეფასების დოკუმენტი. ნატოსთან კონსულტაციების ფარგლებში, მიმდინარეობს 2025 წლის ერთობლივი შეფასების დოკუმენტის შემუშავების პროცესი.

ნატოს თავდაცვის განათლების განვითარების პროგრამისა და საქართველოს თანამშრომლობის ფარგლებში, 2025 წელს ჩატარდა 34 ღონისძიება. 2025 წელს, ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა 167 ღონისძიება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აქტიურად განაგრძობს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით განსაზღვრული ინიციატივების განხორციელებას. ამასთან, გრძელდება მუშაობა პარტნიორებთან არსებითი პაკეტის მხარდაჭერის გაძლიერების მიზნით, როგორც ფინანსური, ასევე ადამიანური რესურსების მოზიდვის გზით.

2025 წელს თავდაცვის სამინისტრომ უმასპინძლა რიგით მეოთხე ნატო-საქართველოს სწავლებას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ალიანსის წევრმა და პარტნიორმა 17-მა ქვეყანამ.

2025 წელს, ავიაციის ინიციატივის ფარგლებში, განსაკუთრებული ძალისხმევა იყო მიმართული ქართული მხარის ნატოს რეგიონული საჰაერო სივრცის უსაფრთხოების პროგრამაში იტეგრაციაზე. 2025 წლის აგვისტოში, ქართულმა მხარემ ხელი მოაწერა ნატოს რეგიონული საჰაერო სივრცის უსაფრთხოების პროგრამის ურთიერთგაგების მემორანდუმს.

სპეციალური ოპერაციების ინიციატივის ფარგლებში, მომზადდა და შეფასდა სპეციალური ოპერაციების ძალების დამატებითი ქვედანაყოფები. 2025 წლის აგვისტოს თვეში ჩატარდა სნაიპერთა საერთაშორისო კურსი.

საქართველო ნატოს პირველი არაწევრი სახელმწიფოა, რომელიც 2023 წლიდან მონაწილეობს ნატოს საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციაში – **„ზღვის მცველი“** (განხორციელდა ოთხი როტაცია). მომდევნო როტაცია დაგეგმილია 2026 წლის ივლისში, საბერძნეთის სამხედრო-საზღვაო ძალების კონტიგენტში.

საქართველო განაგრძობს კონტრიბუციას პარტნიორთა მიერ გაძლიერებულ ნატოს ძალებში ნატოს მიერ სერტიფიცირებული ერთი ქვეითი ასეულითა და ქართულ-პოლონური მრავალეროვნული სპეციალური ოპერაციების სახმელეთო დავალებათა ჯგუფით.

2025 წელს საქართველომ უმასპინძლა ნატოს ოპერატიული შესაძლებლობების კონცეფციის შეფასებისა და უკუკავშირის წლიურ კონფერენციას.

საქართველო აქტიურად მონაწილეობს ოპერატიული შესაძლებლობების კონცეფციის შეფასებისა და უკუკავშირის პროგრამაში ორი მსუბუქი ქვეითი ასეულითა და ერთი მრავალეროვნული სპეციალური ოპერაციების სახმელეთო დავალებათა ჯგუფით.

ნატოს წევრ და პარტნიორ 30 ქვეყანასთან (ნატოს 22 წევრი და 8 პარტნიორი) გრძელდება შედეგზე ორიენტირებული ორმხრივი თანამშრომლობა.

2026 წელს, აშშ-სთან ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს თავდაცვისა და შეკავების გაძლიერების ინიციატივის (GDDEI) წარმატებულ განხორციელებას.

2026 წელს აქტიურად მიმდინარეობდა **აშშ-სთან თანამშრომლობა** ისეთ კრიტიკულად მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა: დაზვერვა, კიბერუსაფრთხოება და სპეციალური ოპერაციების ძალები.

2026 წლის მაისში საქართველომ უმასპინძლა აშშ-ის სპეციალური ოპერაციების ევროპული სარდლობის მიერ დაგეგმილ მრავალეროვნულ სწავლებას – TROJAN FOOTPRINT-ს. ასევე დაიწყო აშშ-საქართველოს მრავალეროვნული სწავლება AGILE SPIRIT 2027-ის დაგეგმვა. 2026 წელს საქართველოს თავდაცვის ძალების წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის გარეთ აშშ-ის მიერ დაგეგმილ მრავალეროვნულ სწავლებებში.

მიმდინარე წლის 17-18 მარტს, პარიზში გაიმართა თავდაცვის სფეროში **ქართულ-ფრანგული სტრატეგიული დიალოგის** მორიგი შეხვედრა.

წარმატებით ფუნქციონირებს **აზერბაიჯანი-თურქეთი-საქართველოს სამმხრივი თანამშრომლობის ფორმატი,** რის ფარგლებშიც, იგეგმება ყოველწლიური სამმხრივი წვრთნების ჩატარება და მინისტრთა სამმხრივი შეხვედრის ორგანიზება.

გაგრძელდა **სამხედროების ხელფასების მატება** და გაიზარდა მათი ფინანსური და სოციალური დაცულობა. 2025 და 2026 წლებში სამხედროების წოდებრივი სარგო 10-10%-ით გაიზარდა.

აქტიურად მიმდინარეობს, ამხანაგობის ფარგლებში თანამონაწილეობით, **„ჯარის ქალაქის“** II ეტაპის მშენებლობა, რომლის შედეგადაც, ბინა გადაეცემა 1200-ზე მეტ სამხედრო მოსამსახურეს.

წარმატებით გრძელდება **სამხედროებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის განათლების მიღების ხელშეწყობის პროგრამა,** რაც გულისხმობს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე უწყების მიერ სწავლის 50%-ით დაფინანსებას სამხედროებისა და მათი ოჯახის

წევრებისათვის. გარდა ამისა, მათ მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის, სემესტრულად, ეძლევათ „მინისტრის სახელობითი სტიპენდია“, 750 ლარის ოდენობით.

2025 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს **სამხედრო მოსამსახურეთა კარიერის ტრანზიციის პროექტის** ფარგლებში, ახალი პროფესიის შეძენის მიზნით, გადამზადდა ზღვრულ ასაკს მიღწეული 46 სამხედრო მოსამსახურე.

თავდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს **სამხედროების საუკეთესო კვებით** პირობებს. ხორციელდება კვებითი პროდუქტების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი და კონტროლი, მაღალი ხარისხის სტაბილურად შენარჩუნების მიზნით. ამასთან, აქტიურად გრძელდება მუშაობა სურსათის სასაწყობე მეურნეობის განვითარებისა და მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად.

დაჭრილ-დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შპს „რეაბილიტაცია-ადაპტაციის ეროვნულ ცენტრს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, დაჭრილი და დაშავებული მოსამსახურეები უზრუნველყოფილნი არიან საპროთეზო-ორთოპედიული მომსახურებით, ასევე, გადაადგილებისთვის საჭირო დამხმარე საშუალებებით.

ჯარის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერების მიმართულებით, აქტიურად ხორციელდება პროექტი **„ჯარის ბანაკი“**. 2025-2026 წლების საანგარიშო პერიოდში პროექტმა – **„ჩვენი ჯარი“** – თბილისისა და რეგიონების 380 სკოლა მოიცვა. პროექტის – **„ერთი დღე ჯარში“** – ფარგლებში კი, თავდაცვის ძალების სამხედრო ბაზებს თბილისისა და რეგიონების 155 სკოლის მოსწავლე ესტუმრა.